ლომი

№006 (12 076)

10 იანვარი სამშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიტალი დარასელია 50

ვმასპინძლობთ ფაპორიტს
ხელბურთი. 12 იანვარი, საქართველო-რუმინეთი 12

საქართველოს ჩემპიონატის მთავარი სენსაციის ავტორი დავით ლორიაშვილი (ზემოდან) თბილისის ტურნირისთვის ნაკრებში ვერ მოხვდა

ჰაჯიმე, თბილისისკენ!

ძიუდოს საერთაშორისო სეზონი საქართველოში იხსნება. ჩვენი ნაკრების შემადგენლობა უკვე ცნობილია. ქევხიშვილის გარდა ყველა ლიდერი იჭიდავებს: ნესტორ ხერგიანი, ზაზა კედელაშვილი, ირაკლი ცირეკიძე... ზვიადაურის მომგები ლორიაშვილი ნაკრებში ვერ მოხვდა. მოსალოდნელია მორიგი ინტრიგა: ცირეკიძე-ზვიადაური

ირაკლი თავაძე

27-28 იანვარს თბილისის სპორტის სასახლე ოცდამეთოთხმეტედ უმასპინძლებს ძიუდოისტთა ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირს, რომელსაც ამჟამად მსოფლიო თასი ეწოდება. ძიუდოს საერთაშორისო სეზონი ამ შეჯიბრებით იხსნება, საქართველოს ნაკრების მწვრთნელთა საბჭომ კი გუნდის შემადგენლობა ოცი დღით ადრე დაასახელა.

შეგახსენებთ, რომ ევროპულ ტურნირებში მასპინძელს წონაში ოთხი მონაწილის გამოყვანა შეუძლია, სტუმარ ევროპელებს - ორის, არაევროპელებს კი მხოლოდ თითოსი. მოგეხსენებათ, 17-18 დეკემბერს საქართველოს პირველობა ჩატარდა, რომელსაც სწორედ საერთაშორისო ტურნირში მონაწილე ოთხეული უნდა გამოევლინა. ცხადია, **შოთა ხაბარელი** ძირითადად მის შედეგებს დაეყრდნო, თუმცა ბოლომდე არა. საქართველოს პრიზიორთაგან ვინც ახლა ვერ იჭიდავებს, მათ, მოგვიანებით, სხვა საერთაშორისო ტურნირებში გამოცდიან.

საქართველოს ნაკრები

60 კგ: ნესტორ ხერგიანი, დავით ასუმბანი, ვახტანგ ხოსიტაშვილი, ბეთქილ შუკვანი

66: ზაზა კედელაშვილი, მინდია ხომიზური, სერგო ციხელაშვილი, ალექსანდრე იაკობაშვილი

73: დავით კობერიძე, დავით ბოდაველი, გიგა ნიკლაური, ბექა ბაიდაური

81: გიორგი ბაინდურაშვილი, გრიგოლ შინჯიკაშვილი, გრიგოლ მამრიკიშვილი, საბა გავაშელიშვილი

90: ირაკლი ცირეკიძე, იოსებ მსხალაძე, ზურაბ ზვიადაური, მინდია ბოდაველი

100: გიორგი ყიზილაშვილი, ლომერ ჟორჟოლიანი, რევაზ ჩიკოიძე, ნოდარ მეტრეველი

მძიმე: ლაშა გუჯეჯიანი, ზვიად ხანჯალიაშვილი, ადამ ოქრუაშვილი, ზვიად ჩინჩალაძე

მე-13 გვერდზე

ლევან ცქიტიშვილი ჯერ არ წასულა

სამწუხაროდ, **ლევან ცქიტიშვილი** "პანიონიოსის" ძირითად შემადგენლობაში ვერაფრით დამკვიდრდა. ბუნებრივია, საქართველოს ნაკრების ერთ-ერთ გამორჩეულ ფიგურას სათადარიგოს სტატუსი არ აკმაყოფილებს და კლუბის გამოცვლა სურს. ბერძნებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, ლევანმა და "პანიონიოსმა", ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, კონტრაქტი გაწყვიტეს.

ამ ცნობის გადასამოწმებლად ცქიტიშვილს გუშინ საბერძნეთში დავუკავშირდით. მან გავრცელებული ხმები უარყო, მაგრამ არც ის დაუმალავს, რომ "პანიონიოსიდან" წასვლის დიდი სურვილი აქვს, რაც ჩვენთან ორი კვირის წინანდელ ინტერვიუშიც თქვა.

"მიუხედავად იმისა, რომ კლუბი არ მაბრკოლებს, ჯერ არსად ნავსულვარ, კვლავინდებურად, "პანიონიოსის" წევრი ვარ. ჩემს ამჟამინდელ კლუბთან კონტრაქტი ზაფხულში მიმთავრდება, მაგრამ უკეთესი იქნება, თუ ადგილსამყოფელს ახლავე გამოვიცვლი. არ მინდა იმ გუნდში ყოფნა, სადაც ცოტა სათამაშო პრაქტიკა მექნება. მიუხედავად იმისა, რომ "პანიონიოსიდან" წასვლა მსურს, მას მხოლოდ იმ შემთხვევაში დავტოვებ, თუ ხელსაყრელი წინადადება მივიღე. ჯერჯერობით, ძლიერ კლუბს ჩემთვის არ მოუმართავს, მაგრამ იმედი არ დამიკარგავს, სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე ჯერ საკმაო დროა დარჩენილი". - გვითხრა გუშინ ცქიტიშვილმა.

ლევან ჯანეზაშვილი

ლევან ცქიტიშვილი

მოსკოვის ლოკომოტივი გოგუაზე უარს ამბობს

ფეხბურთელი თბილისშია და ოლიმპთან ერთად ვარჯიშობს

სიონი

შეკვეცილი დელეგაცია

კამერუნელებს სომხეები არ ატარებენ

ბოიომოს ვიზის პრობლემა შეექმნა

გადაწყდა, რომ ბოლნისის "სიონის" მოსკოვში გამგზავრებას წინ ვეღარაფერი დაუდგება, მაგრამ საქართველოს ჩემპიონებისთვის დაწესებული არაერთი შეზღუდვა ძალაში დარჩა.

ქვემოქართლელთა არაერთი მცდელობისა და პროტესტის მიუხედავად, დსთ-ის თასზე გასამგზავრებელი დელეგაცია მაინც შეიკვეცა. თანაც, სიიდან ამოღებული ხალხის რაოდენობა კიდევ უფრო გაიზარდა და დელეგაციის წევრთა საერთო რაოდენობა, ფეხბურთელთა ჩათვლით, მხოლოდ და მხოლოდ 25-ს შეადგენს. შესაბამისად, გამორიცხა რუსეთში ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელთა და ჟურნალისტთა წასვლა.

რასაკვირველია, ასეთი რანგის ტურნირისთვის 18 ფეხბურთელი მეტისმეტად ცოტაა, მაგრამ "სიონის" მესვეურებს სხვა გზა აღარ დარჩენიათ. კიდევ კარგი, გათამაშების საორგანიზაციო-კომიტეტმა და რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ბოლნისელთა ყბადაღებული მეორე სია მაინც დაამტკიცეს, თორემ გუნდი ტურნირში კიდევ უფრო შეთხელებული შემადგენლობით ითამაშებდა. 18-კაციანმა განაცხადმა საბოლოოდ, ასეთი სახე მიიღო.

მეკარეები: **ზურაბ მამალაძე, მინდია ბობღიაშვილი.**

მცველები: **მიხეილ კობაური, ლაშა ჭელიძე, დავით ჭიჭვეიშვილი, გიორგი სეთურიძე, გიორგი ონიანი, ბოიომო ფრიდოლინი.**

ნახევარმცველები: **არჩილ ალავიძე, ლევან სილაგაძე, გიორგი ოქროპირიძე, ვიტალი დარასელია, თორნიკე აფციაური, ლაშა ქებაძე, გიორგი კახელიშვილი.**

თავდამსხმელები: **ერიკ რომეო ჩასემი, გასტონ ევოჩე, ბაჩანა ცხადაძე.**

ამათთან ერთად, რუსეთს ეწვევიან გუნდის მთავარი მწვრთნელი **კახა ცხადაძე**, გენერალური დირექტორი **მალხაზ აბრამიშვილი**, გენერალური მენეჯერი **ჯემალ ჭიპაშვილი**, ვიცე-პრეზიდენტი **დავით სილაგაძე**, ექიმი **ზურაბ ხარხელაური** და მასაჟისტი **ირაკლი სახვაძე**. დელეგაციის წევრთა შეზღუდული რაოდენობის გამო, მოსკოვში ცხადაძის მხოლოდ ერთი ასისტენტი გაემგზავრება – **გიორგი ყიფშიძე** ან **ბადრი კვარაცხელია**.

როგორც იცით, **თორნიკე აფციაური** და **ვიტალი დარასელია** ტრავმების გამო ვერ ვარჯიშობენ. მწვრთნელები მათი დსთ-ზე ასპარეზობის იმედს არ კარგავენ, მაგრამ თუ რომელიმე მათგანმა ან ორივემ ვერ შეძლო ტურნირზე თამაში, მათ სარეზერვო შემადგენლობიდან ჩაენაცვლება ვინმე. უახლოესი "რეზერვისტები" **ლევან ბაჯელიძე, გიორგი კვიტაიშვილი** და **ვლადიმერ უგრეხელიძე** არიან.

დღეიდან "სიონი" ვაკეში მდებარე სასტუმრო "ლიზიში" იცხოვრებს, ვარჯიშებს კი კვლავ 35-ე საფეხბურთო სკოლის მოედანზე ჩაატარებს. ის სიონელები, რომლებიც სამოსკოვე განაცხადში ვერ მოხვდნენ, შეკრებას დსთ-ის თასის პარალელურად გააგრძელებენ ყიფშიძის ან კვარაცხელიას ხელმძღვანელობით.

კიდევ ერთი ახალი პრობლემა, რომელიც "სიონს" გაუჩნდა, კამერუნელ ლეგიონერებთანაა დაკავშირებული. მოგეხსენებათ, ბოლნისელები მოსკოვში ერევნის გავლით მიემგზავრებიან, სომხები კი **ჩასემს, ევოჩესა** და **ბოიომოს** თავიანთ ტერიტორიაზე არ ატარებენ. "სიონის" ხელმძღვანელობის ყველა ცდა, ჯერჯერობით, ამაოა. სომხებს რუსები სთხოვენ ამ პრობლემის მოგვარებას, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ კამერუნელები ერევანში ვერ მოხვდებიან. ამ შემთხვევაში, წინასწარ შემუშავებული ვარიანტი ამოქმედდება და აფრიკულ ტრიოს მოსკოვში სტამბოლის გავლით გაამგზავრებენ.

ქართული დელეგაციის წევრებმა ვიზები, წესით და რიგით, ხვალისთვის უნდა მიიღონ. "სიონი" თბილისიდან 18 იანვრის საღამოს დაიძვრება.

ლევან ჯანეზაშვილი

თევდორაძე დაბრუნდა

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მეკარე **რევაზ თევდორაძე** უკრაინიდან დაბრუნდა. იგი ზაფხულში ზაპოროჟიეს "მეტალურგში" ჩაირიცხა, მაგრამ ახლა რუსთავის "ოლიმპში" ვარჯიშობს.

"ზაპოროჟიელებთან მხოლოდ ოთხთვიანი კონტრაქტი გავაფორმე. ზამთარში მისი ვადა ამოიწურა და წამოსვლა ვამჯობინე. მწვრთნელი არ მენდობოდა და დარჩენას აზრი აღარ ჰქონდა. სკამზე ჯდომით მეკარე ვერ გაიზრდება, მე კი 19 წლამდელთა ნაკრებში სერიოზული თამაშებისთვის უნდა მოვემზადო. გუნდი ელიტრაუნდში გადასასვლელად ემზადება და უთამაშებელ მეკარეს ნაკრებში არაფერი ესაქმება. ახლა "ოლიმპში" ვვარჯიშობ, მაგრამ სად ვითამაშებ, ჯერ ვერაფერს გეტყვით. ჩემპიონატი ერთ თვეში იწყება და მანამდე რაიმეს გავარკვევ. ისეთ გუნდში მინდა გადავიდე, სადაც სათამაშო პრაქტიკა მექნება", - აღნიშნა თევდორაძემ.

ოლიმპმა გაგრას მოუგო

რევაზ ძოძუაშვილი ოპტიმალური შემადგენლობის ძიებაშია. რუსთავის "ოლიმპის" მთავარ მწვრთნელი ამ მიზნით, თითქმის ყოველდღე საკონტროლო თამაშებს ატარებს.

გუშინ რუსთაველებმა მორიგი საკონტროლო მატჩი ჩაატარეს და 5:2 მოიგეს. ამჯერად, მეტოქე პირველლიგელი "გაგრა" იყო.

ერთ-ერთი გოლი "ოლიმპში" საქართველოს ნაკრების ნახევარმცველმა **გოგიტა გოგუამ** გაიტანა. ახალი გუნდის გამონახვამდე, იგი ფორმის შენარჩუნებას რუსთაველებთან ვარჯიშით ცდილობს. თუმცა სერიოზული არაფერია, "ოლიმპში" მის გამოჩენას ნუ ელით.

მეორე ტაიმში **ლაშა ქებაძე** ფეხის ტკივილის გამო შეცვალეს, მაგრამ ეს იყო მცირე ტრავმა.

შეხვედრაში რუსთაველები დიდ უპირატესობას ფლობდნენ და პირველ ტაიმში 5:0 დაწინაურდნენ. მეორე ტაიმში რეზო ძოძუაშვილმა რამდენიმე ახალწვეულს მისცა თავის გამოჩენის შანსი, მაგრამ ეს შანსი "გაგრის" ფეხბურთელმა **მგალობლიშვილმა** უკეთ გამოიყენა და დუბლი შეასრულა. რუსთაველთაგან კი თავი დვალიშვილმა (ორჯერ), კახელიშვილმა, გოცირიძემ და გოგუამ გამოიჩინეს.

ალავერდაშვილი მომჯობინდა

თბილისის "ლოკომოტივის" ერთ-ერთი ლიდერი, თავდამსხმელი **გიორგი ალავერდაშვილი** საქართველოს ჩემპიონატის პირველი წრის ბოლო ტურში დაშავდა. ექიმმა მძიმე დიაგნოზი, ლავიწის ძვლის მოტეხილობა დაუდგინა.

ფეხბურთელმა მკურნალობა საკმაოდ მალე დაასრულა და გუნდთან ერთად 8 იანვარს ვარჯიში განაახლა.

"საბედნიეროდ, ტრავმა მალე მოვირჩინე და ჩვეულებრივად ვვარჯიშობ. მართალია, წასვლას ვაპირებდი, მაგრამ "ლოკომოტივში" ოთხი თვით დარჩენა გადავწყვიტე. მენეჯერი მესაუბრა, რომ უკრაინაში ვარიანტი გამოჩნდა, მაგრამ ახლა ჩემთვის დროებით აქ დარჩენა აჯობებს" – გვითხრა ალავერდაშვილმა.

კუსრაშვილი არ გაუშვეს

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, "ვიტ ჯორჯიას" ნიჭიერი ნახევარმცველი **ფარნა კუსრაშვილი** დაუბრუნდა. 19 წლის ფეხბურთელს თავის დროზე, **დავით დიღმელაშვილის** შემცვლელად მიიჩნევდნენ. თუმცა იგი წელიწადნახევარი არსად თამაშობდა, რადგან მძიმე ავადმყოფობა გადაიტანა და არათუ თამაში, მსუბუქი ვარჯიშიც არ შეეძლო. ახლა ფარნა მომჯობინდა და მის მიმართ ინტერესი თბილისის "ლოკომოტივმა" გამოიჩინა.

თუმცა, როგორც გაირკვა, "ვიტ ჯორჯიის" ხელმძღვანელობა ნიჭიერ მოთამაშესთან შელევას არ აპირებს და მეორე წრეს კუსრაშვილი სწორედ ამ გუნდში ითამაშებს.

მერაბ მამულაშვილი

მერანი

უკონტრაქტო მწვრთნელი



სერგო კუტივაძე

პირველი წრის შედეგებით უკმაყოფილო ხელმძღვანელობამ „მერანის" გაძლიერება გადაწყვიტა. კლუბში უკვე დაიწყო ცვლილებები, დავით ეჯიბიშვილის ნაცვლად "მერანს" გამოცდილი სერგო კუტივაძე გაწვრთნის. თუმცა "ლელოსთან" საუბარში კუტივაძემ აღნიშნა, რომ კონტრაქტი კლუბთან ჯერ არ გაუფორმებია...

- გუნდთან კონტრაქტი ჯერ არ გამიფორმებია, როცა გუნდის ხელმძღვანელობა მეტყვის მაშინ გავაფორმებ. ჯერჯერობით, მხოლოდ პირველი ვარჯიში ჩავატარე.

- "მერანში" თქვენს დანიშვნაზე დიდი ხანი მიდიოდა საუბარი. ამდენი ხანი რატომ გაიწელა ეს ამბავი?

- არ ვიცი, კლუბის ხელმძღვანელობას სხვა კანდიდატებიც ჰყავდა განსახილველი, მაგრამ ვინ, არ ვიცი. მე მათ სამზარეულოში არ ვერევი.

- რამ გადაგაწყვეტინათ "მერანში" წასვლა?

- ამ გუნდს მომავალი აქვს, პრეზიდენტმა სტადიონი, ბაზა გააკეთა. მოკლედ ყველაფერს აკეთებს გუნდისთვის. თავისთვის ხომ არ იშენებს ყველაფერს, გუნდისთვის უნდა, წინ დიდი პერსპექტივაა...

- გუნდს ალბათ კარგად იცნობთ და გეგმებიც უკვე დასახული გექნებათ, ვინმეს გაშვებას ან დამატებას ხომ არ აპირებთ?

- ჯერ 80 კაცი მყავს გუნდში, ნელ-ნელა ამოვარჩევ სუსტებს და გავუშვებ, შეიძლება ახლებიც მოვიდნენ, არ ვიცი.

- ამ 80 კაციდან გუნდში რამდენის დატოვებას აპირებთ?

- 30 ფეხბურთელს დავიტოვებ. ბიჭები ვარჯიშზე ორმხრივი თამაშის დროს ვნახე და შვიდი კაცი უკვე ამოვარჩიე. მართალია არ დაფრინავენ, მაგრამ, სხვებთან შედარებით, გამორჩეულები არიან.

- თქვენ პირადად ვინმე ხომ არ გყავთ შეგულებული "მერანისთვის"?

- მე პირადად არავინ მყავს შეგულებული, ამაზე ცალკე შტაბი მუშაობს.

ავთო ცეცხლაძე

ლეგიონი

კობი გელზენკირხენს გადაუფრენს

საახალწლო შვებულებიდან დაბრუნებული შალკელები სეზონის მეორე ნახევრისთვის სამზადისს უკვე შეუდგნენ, მაგრამ გულშემატკივრებთან სასაუბროდ მაინც იცლიან. კლუბში დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით, ფეხბურთელები იმ ქალაქებსა და დაბებს სტუმრობენ, სადაც "შალკეს" გულშემატკივრები ცხოვრობენ და მათ ახალ წელს ულოცავენ.

ლევან კობიაშვილს ნილად ხვდა გელზენკირხენთან არცთუ ახლო მდებარე რადეფორმვალდში გამგზავრება. "ხუმარათა" ქომაგებმა მას სპორტულ ბარში უმასპინძლეს და გულთბილად გაესაუბრნენ. იქაურებმა ქართველ ნახევარმცველს "შალკეს" ყველაზე კულტურული, ინტელიგენტი და სიმპათიური ფეხბურთელი უწოდეს.

შეხვედრამ საკმაო ხანს გასტანა, რომლის დასრულების შემდეგაც რადეფორმვალდელმა ფანებმა კობის საჩუქარი გადასცეს, რომლის არსიც იმაში მდგომარეობს, რომ რამდენიმე დღეში ლევანი მათთან ერთად საჰაერო ბურთით გელზენკირხენის თავზე გაისეირნებს და რა თქმა უნდა, "ველტინს არენასაც" გადაუფრენს.

თავის მხრივ, კობიაშვილმა ამ დაბის მკვიდრთ "შალკეს" სიმბოლიკითა და საკუთარი ავტოგრაფებით დამშვენებული მაისურები და სხვადასხვა სუვენირები უსახსოვრა და პირობა დადო, რომ თანაგუნდელებთან ერთად, მათ გასახარებლად ძალ-ღონეს არ დაიშურებს.

ლევან ჯანეზაშვილი

მენთეშაშვილი შინიკს დაშორდა

იაროსლავლის "შინიკი" ქართველი ფეხბურთელების გარეშე დარჩა. კიევის "დინამოს" კუთვნილ **ალეკო ამისულაშვილს** "შინიკთან" კონტრაქტის ვადა რომ დაუსრულდა და გუნდი დატოვა, ცნობილი იყო.

იაროსლავლში თამაშობდა საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი **ზურაბ მენთეშაშვილიც**. მართალია, მას "შინიკთან" ხელშეკრულება კიდევ ორი წლით აკავშირებდა,მაგრამ მას კლუბი არ უშვებდა.

პირველ ლიგაში დაქვეითებულ "შინიკში" მთავარი მწვრთნელი შეიცვალა. მან კი ლეგიონერებზე შემოღებული ლიმიტის გამო, საკადრო პოლიტიკა შეცვალა, უცხოელებზე უარი თქვა და პრემიერლიგაში დაბრუნება რუსი ფეხბურთელებით გადაწყვიტა.

"ახალ მწვრთნელს, სერგეი იურანს ვესაუბრე და მითხრა, რომ ჩემი დატოვება აღარ სურდა. ეს მეც ძალიან გამიხარდა, თუმცა ცოტა საწყენიც იყო. იმედია, პირველ ლიგაში გავარდნას მე არ დამაბრალებენ. ისე გამოუვიდა, თითქოს მე ვეხვეწებოდი. გამეცინა, როდესაც ეს მითხრა. თავად აღარ მინდოდა პირველ ლიგაში თამაში და ეს თავისი პირით მითხრეს", - "ლელოსთან" საუბარში აღნიშნა მენთეშაშვილმა.

საქართველოს ნაკრების ნახევარმცველის თქმით, ის შეეცდება, ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე დაარღვიოს კონტრაქტი.

"წესით, "შინიკსაც" არ უნდა აწყობდეს, უგუნდოდ დარჩენილს ხელფასი რომ მიხადოს. დაველაპარაკები და იქნებ ჩემს წინადადებას დათანხმდნენ და კონტრაქტი გაწყვიტონ. ჯერ არ ვიცი, სად გადავალ. ახლა რიგაში გავემგზავრები. ან "სკონტოსთან" ერთად მოვემზადები, ან ინდივიდუალურად. მთავარია, რომ არ გავჩერდე, ფორმა შევინარჩუნო, უგუნდოდ კი ნაღდად არ დავრჩები. ისე, ვერაფერს იტყვი, წელი ძალიან "მაგრად" დამეწყო. ახლა მიშიკო ძოძუაშვილი მოსკოვში გაემგზავრება და ჩემს ტრანსფერზე იმუშავებს", - გვითხრა ფეხბურთელმა.

მერაბ მამულაშვილი



იუბილე

ვიტალი დარასელია 50

დიუსელდორფის მატჩში გამარჯვების გოლის გამტანი **ვიტალი დარასელია** დღეს 50 წლის გახდებოდა. ამ თარიღის აღსანიშნავად, გუშინ, 13 საათზე ეროვნული სტადიონის სკვერში ვიტალი დარასელიას თანაქალაქელები, ოჩამჩირელები შეიკრიბნენ. ფეხბურთის უბრალო ქომაგთა გარდა, ვიტალი დარასელიას პირველი მწვრთნელ **ბონდო კაკუბავას** იოლად გამოარჩევდით. შეკრებილთა შორის გახლდათ ვიტალის ქალიშვილი **ქრისტინე**, მეუღლე **გიორგი ანჩაბაძისა** და ორი შვილის, სანდროსა და ნინიკოს თანხლებით.

"ვიტალი დარასელიას წვლილი უდიდესია ქართულ ფეხბურთში. მის მიერ დიუსელდორფში გატანილმა გოლმა მთელ საქართველოს უდიდესი სიხარული აჩუქა. სამწუხაროდ ის ჩვენ გვერდით აღარაა... დღეს ის 50 წლის გახდებოდა. მიმდინარე წლის 13 დეკემბერს კი მისი გარდაცვალებიდან 25 წელი შესრულდება.

ბავშვობიდან თბილისის "დინამოში" გადასვლამდე მისი მწვრთნელი გახლდით. ძალიან შრომისმოყვარე იყო და სწორედ ამით მიაღწია მწვერვალს", - ამ სიტყვებით დაიწყო დარასელიას გახსენება ბონდო კაკუბავამ.

მერე კი ვიტალისთან დაკავშირებული ამბებიც მოგვიყვა:

"ვიტალი თბილისის "დინამოში" რომ გადავიდა ხშირად მიყვებოდა ხოლმე თავის ამბებს. ახალწვეული იყო და მეც გარკვეული რჩევებით ვეხმარებოდი. ერთხელაც მითხრა, ვარჯიშზე ორმხრივი თამაშისას, მანუჩარ მაჩაიძე კარგ პოზიციაზე იყო თუ არა გახსნილი, განუწვეტლივ პასს მთხოვდა, მე კი მხოლოდ მას ვაწვდიდი პასს ვინც უკეთეს პოზიციაზეა გახსნილიო. თამაშის შემდეგ კი მანუჩარ მაჩაიძე ჩემთან მოვიდა და მითხრა, შენ მართალი იყავი პასი რომ არ მომეცი და სხვას დაუგორე ბურთი. ის სხვა უკეთეს პოზიციაზე იყოო".

რაღა თქმა უნდა ყველასათვის საინტერესოა თუ როგორ აღმოჩნდა არასრულწლოვანი ვიტალი დარასელია ქუჩიდან ოჩამჩირის "ამირანში".

"როგორც ყველა ბავშვი, ვიტალიც ეზოში ეზიარა ფეხბურთს. ერთხელაც "ამირანში" მორიგი ვარჯიში რომ დავამთავრე ნაცნობი სტუდენტები მოვიდნენ და მთხოვეს, ფეხბურთი ვითამაშოთო. ჩემი ფეხბურთელების ნაწილი უკვე შინ იყო წასული და სტუდენტთა გუნდზე კაცნაკლულნი აღმოვჩნდით. იქვე დავლანდე პატარა შავი, გახდარი ბიჭი სტადიონის სიახლოვეს ბურთიანად რომ დარბოდა. ვკითხე, თამაში გინდა-თქო. თანხმობის ნიშნად მორცხვად თავი დამიქნია და დავიმატე. სწორედ ის პატარა ბიჭი იყო ვიტალი დარასელია... ისე კარგად ითამაშა სტუდენტების წინააღმდეგ, რომ უმალ თვალში მომივიდა და ვუთხარი, ახლა ზაფხულია და სექტემბერში ჩემთან მოდი სპორტსკოლაში-მეთქი. სპორტსკოლის გუნდსაც ვავარჯიშებდი და სწორედ იქ ავიყვანე პირველად ვიტალი. ერთი ვარჯიში არ გაუცდენია. სპორტსკოლის გუნდიდან "ამირანში" გადასვლა მალე დაიმსახურა, მერე კი თბილისის "დინამოსაც მოაწონა თავი...

ოთხთა ტურნირზე, რომელშიც B კლასის, თბილისის, დასავლეთი, აღმოსავლეთი საქართველოს ნაკრებები ასპარეზობდნენ, ვიტალიმ დასავლეთის ნაკრებში ითამაშა. მიხაილ იაკუშინმა დარასელიას ერთი თამაში ნახა და უმალ თქვა - ამ ბიჭს ჩვენ ავიყვანთ "დინამოშიო". მაშინ "დინამოს" გუნდის უფროსი ნოდარ ახალკაცი იყო, სერგო კუტივაძე კი - იაკუშინის თანაშემწე.

ერთი სიტყვით, ვიტალი მოეწონათ და ისიც უთქვამთ, განცხადება დაწერე "დინამოში" გადმოსვლაზეო. დარასელიას უარი უთქვამს, ჩემი მწვრთნელის გარეშე ასეთ განცხადებას ვერ დავწერო. ახალკაცმა სერგო კუტივაძეს ჩემზე მიანიშნა დაელაპარაკე, ვიტალის მწვრთნელიაო. კუტივაძემ მკითხა, ამ ნიჭიერ ბიჭს ვისთვის ამზადებ, გუნდში მისი აყვანა გვინდა და განცხადების თაობაზე უარი გვითხრაო. ვიტალის დაველაპარაკე, გზა დავუულოცე და იმ ტურნირის მეორე თამაშის შემდეგ თბილისის "დინამოში" აიყვანეს. ეს დეკემბერში მოხდა და მალევე "დინამო" შეკრებაზე წავიდა ლესელიძეში. იქ ვოვა გუცაევმა ტრავმა მიიღო და ვიტალი პირველად ტაშკენტის "ფახთაქორთან" ათამაშეს, თანაც მისთვის უჩვეულო მარჯვენა ფრთაზე.

მარჯვენა ფლანგ-დარასელიასთვის უჩვეულო იყო. ის "ამირანში" ასპარეზობისას გამოკვეთილი ფორვარდი იყო. ფინტებით, ლამაზი და გონივრული პასებით გამოირჩეოდა, გოლებიც ბევრი გაჰქონდა", - იხსენებს კაკუბავა, - "ოჩამჩირის „ამირანში" აყვანისას განაცხადში ვიტალი დარასელიას შეყვანაზე პრობლემებიც კი შეგვექმნა, რადგან ის მხოლოდ 16 წლისა გახლდათ. ამ ასაკის მოთამაშე გუნდში რომ აგვყვანა, ექიმის ნებართვა იყო საჭირო. ამასთან არასრულწლოვნებზე გარკვეული ლიმიტიც კი იყო დაწესებული. განაცხადში ვიტალის შეყვანაზე თავდაპირველად უარი მითხრეს. სპორტკომიტეტში ფეხბურთის სამმართველოს ნოდარ ახალკაცი ხელმძღვანელობდა. დამიძახა, მკითხა ასეთი კარგია ეგ ბიჭი? ყველაფერი დაწვრილებით გამომკითხა. ორ ტაიმს არა, მაგრამ 20-30 წუთი კი ვათამაშებ-თქო, ვუთხარი. ვიტალის მაშინვე შეეძლო ორი ტაიმი ეთამაშა, მაგრამ არ ვათამაშებდი, ნელ-ნელა ვაჩვევდი და, მიუხედავად ამისა, იმ სეზონში 18 გოლი გაიტანა. იმდროინდელი საქართველოს ჩემპიონატი, დღევანდელ ჩვენს უმაღლეს ლიგაზე უკეთესი დონისა იყო", - აღნიშნა კაკუბავამ.

"მამა რომ გარდაიცვალა მხოლოდ 4 წლის ვიყავი... ძალიან ცოტა რამ მახსოვს მასზე. მისი თამაშის არაერთი ვიდეოკასეტა მაქვს ნანახი.

ბავშვი ვიყავი და კარგად მახსოვს, უცხოეთიდან ყველა ჩამოსვლაზე საჩუქრები ჩამოჰქონდა ჩემთვის - სათამაშოები, კანფეტები, შოკოლადი, ტკბილეული, ტანსაცმელი. კარგად მახსოვს, 4 წლის ვიყავი, უკვე ჯინსები რომ მეცვა, ფოტოსურათებიც კი მაქვს გადაღებული იმ ჯინსებში...

რაც წლები გადის უფრო დიდ ტკივილს ვგრძნობ. უფრო მეტად ვაცნობიერებ, თუ რაოდენ ძვირფასი და სახელოვანი მამა დავკარგე. გვერდით რომ მყოლოდა, ალბათ, ჩემი ცხოვრება სხვაგვარი, უფრო უკეთესი იქნებოდა", - ასე იხსენებს მამას ქრისტინე დარასელია.

დავით ცაბაძე

ჩიხურა

მიქიაშვილი საჩხერეში

საჩხერის "ჩიხურას" მეორე წრისთვის გაძლიერება სურს, მაგრამ ჯერ საბოლოოდ მაინც არაა გადაწყვეტილი, რომელი ფეხბურთელები აღმოჩნდებიან საჩხერეში.

ხვიჩა ქასრაშვილს რუსთავის "ოლიმპის" თავდამსხმელის **ირაკლი სირბილაძის** დამატება სურს, მაგრამ მისი კონკურენტი ქუთაისის "ტორპედოა". სხვათა შორის, მას რუსთაველებმაც სთხოვეს დაფიქრება, უღირს თუ არა კლუბის შეცვლა.

საჩხერელებმა თვალი დინამოელებსაც დაადგეს - მეკარე **ზვიად სტურუასა** და ნახევარმცველ **შოთა ბაბუნაშვილს**. თუმცა ჯერ საბოლოო შეთანხმება არ არსებობს. სტურუას თქმით, ასეთივე ხმები დადის "მერანისა" და "ბათუმის" დაინტერესებაზეც, მაგრამ ჯერ კონტრაქტი არავისთან გაუფორმებია.

გადაწყვეტილი ტრანსფერებიდან მხოლოდ ერთს მოგახსენებთ: მეორე წრეში საჩხერეში ითამაშებს რუსთავის "ოლიმპის" მცველი, საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების ყოფილი კაპიტანი და ახალგაზრდულის ასევე ყოფილი წევრი **ბესო მიქიაშვილი**.

მერაბ მამულაშვილი

ლეგიონერი

ბიშოვეცმა ჩვენება შეცვალა: გოგუა გეგმებში არ მყავდა!

კრასნოჟანმა გაამხილა: ქართველი სპარტაკთან მოემზადება

გოგიტა გოგუას მომავალი ზამთრის სატრანსფერო პერიოდის ერთ-ერთი უმთავრესი მოვლენაა. მას დიდ დროს ამიტომაც ვუთმობთ. ბოლო დრომდე ცნობილი იყო, რომ საქართველოს ნაკრების ნახევარმცველით მოსკოვის "ლოკომოტივი" და ყაზანის "რუბინი" იყვნენ დაინტერესებულები. ეს ფეხბურთელის მენეჯერმა **ახრიკ ცვეიბამ** გაამხილა.

სამი დღის წინ, "ლოკომოტივის" მთავარმა მწვრთნელმა **ანატოლი ბიშოვეცმა** "სპორტ-ექსპრესის" ჟურნალისტს ამ საკითხზე ორაზროვნად უპასუხა – გოგუაზე ჯერ კონკრეტულს ვერაფერს გეტყვითო.

დღეს კი იმავე გაზეთთან მოსკოველთა მწვრთნელი აბსოლუტურად განსხვავებულად ალაპარაკდა, ქართველ ნახევარმცველის დამატებაზე საუბარიც არ ყოფილაო.

მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვის "ლოკომოტივში" მწვრთნელი და პრეზიდენტი შეიცვალნენ, ქართველი ფეხბურთელის მენეჯერები მოლაპარაკების გაგრძელებას იმედოვნებდნენ. საბოლოოდ, ეტყობა, ვითარება მაინც შეიცვალა.

ეს ინფორმაცია ჩვენთვის ორი დღის წინ გახდა ცნობილი, მაგრამ ვერ გადავამოწმეთ. ახლა ბიშოვეცმა ოფიციალურად დაადასტურა, რომ გოგუასა და "ლოკომოტივის" გზები გაიყარა. ასევე გამოირიცხა ტრანსფერი ყაზანის "რუბინშიც".

ჯერჯერობით გოგუა დუმს და არაფერს ამბობს. წესითა და რიგით, ერთ კვირაში ყველაფერი უნდა გაირკვეს.

ამასობაში ნალჩიკის "სპარტაკის" მთავარმა მწვრთნელმა **იური კრასნოჟანმა** საინტერესო სიახლე გაამხილა: *"გოგუამ მთხოვა, რომ თურქულ შეკრებაზე გუნდთან ერთად მომზადების საშუალება მივცეთ. იგი მენეჯერების პასუხს ელის და დროის დაკარგვა არ სურს".*

მერაბ მამულაშვილი



საქართველოს ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა. გუნდები. პირველი წრის შეჯამება

www.pfl.ge

დინამო

ბონაგარი

	მატჩი	ქრედიტებიდან	ბოლო	საბოლოო ანგარიშით	ფასიანი	ასისტი
შ. კაშია	13	13	1	1	3	-
კობახიძე	13	13	-	2	-	-
იაშვილი	13	11	6	2	1	-
ბობოხიძე	13	7	5	2	2	-
გიგაური	11	11	1	-	-	-
გ. მერებაშვილი	11	9	2	2	3	1
ხუციშვილი	11	7	4	-	-	-
დვალი	11	4	3	1	1	-
ნავალოვსკი	10	10	-	-	1	-
ამბროზიო	9	9	1	-	1	-
ხმალაძე	8	7	-	-	2	-
გ. კაშია	7	7	1	-	-	-
ლორია (მეკ.)	7	7	-6	-	1	-
გრიშიკაშვილი(მეკ)	6	6	-5	-	3	-
ლ. ნოზაძე	6	3	-	2	1	-
გრიგალაშვილი	5	4	-	1	1	-
ნერგაძე	4	4	-	1	-	-
ანგულო	4	2	-	-	-	-
ჯანაშია	4	1	-	1	-	-
თომაშვილი	3	3	-	-	-	-
აკოშია	3	2	-	-	1	-
ოდიკაძე	2	-	-	1	-	-
ჩირიკაშვილი	1	1	-	-	-	-
ბაბუნაშვილი	1	1	-	-	-	-
ახალაია	1	1	-	1	-	-
მახარაძე	1	-	-	-	-	-
ურტაძე	1	-	-	-	-	-

პრინციპული მატჩებიდან დინამომ მხოლოდ ოლიმპთან იმარჯვა

"დინამოს" გამოსვლა პირველ წრეში არაერთგვაროვნად შეიძლება შეფასდეს. ორი მოგება, რასაც მოჰყვა ორი მარცხი, მერე ისევ მოგებები და ნაგება. უგრინის მოსვლის შემდეგ გუნდმა უფრო მეტი მოიგო, მაგრამ ისევე, როგორც კახა კაჭარავას მთავარმწვრთნელობისას, უგრინის "დინამომაც" ვერ გაიბრწყინა პრინციპულ მატჩებში.

პირველი წრე კი კახა კაჭარავას იმიტომ შევაფასებინეთ, რომ უგრინმა 6 ტურის შემდეგ ჩაიბარა გუნდი, მანამდე კი გუნდს სწორედ კაჭარავა ხელმძღვანელობდა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

კახა კაჭარავა

მეორე მწვრთნელი



ის პოზიცია, რომელიც პირველი წრის ბოლოს გვიჭირავს, თბილისის "დინამოს" ნამდვილად არ შეეფერება. ეს შედეგი იმით იყო განპირობებული, რომ ახალგაზრდა, გამოუცდელი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდით ვიასპარეზეთ. თუმცა, ზამთრის მოსამაზდებელი ეტაპი მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ და მეორე წრეში ბევრად უკეთესი შედეგები ვაჩვენოთ.

საუკეთესო მატჩი

ჩემი აზრით, პირველი წრის საუკეთესო მატჩები "ოლიმპთან" გვქონდა. ორივე თამაშს ვგულისხმობ, ჩემპიონატში 1:0-სა და თასის გათამაშებაში 3:0 მოგებულს.

ყველაზე ცუდი მატჩი

ვფიქრობ, ყველაზე ცუდად "ამერის" წინააღმდეგ ვითამაშეთ და 2:0 ნავაგეთ.

პლუსი

ჩვენ ახალგაზრდული გუნდით ვიასპარეზეთ და პლუსად იმას მივიჩნევ, რომ ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელი გამოჩნდა. ასეთებად შეგვიძლია დავასახელოთ კობახიძე, თომაშვილი, ფირცხალავა, ვაწაძე, ბოლქვაძე, გურამ კაშია...

მინუსი

ჩვენი მინუსი გამოუცდელობა გახლდათ, ისევ და ისევ, ახალგაზრდული გუნდის გამო.

პროგრამა მინიმუმი

თბილისის "დინამო" ყოველთვის მაქსიმალური შედეგისთვის იბრძვის... პროგრამა მინიმუმი ალბათ ის პოზიციაა, რომელიც სატურნირო ცხრილში პირველი წრის ბოლოს გვიჭირავს.

პროგრამა მაქსიმუმი

ჩვენი მაქსიმალური მიზანი ყოველთვის ჩემპიონობისა და თასის მოპოვებაა.

მზადება მეორე წრისთვის

სეზონის მეორე ნახევრისთვის მზადებას ჯერ კიდევ დეკემბერში შევუდექით. დიღმის ბაზაზე ვარჯიშის შემდეგ, ბაკურიანში გავიარეთ შეკრება, ახლა კი 10-დღიან მოსამზადებელ ეტაპს ანთალიაში გავივლით.

მეორე წრისთვის მზადება გეგმის მიხედვით მიდის. ჩვენი გუნდისთვის ერთობ სასარგებლო იყო "ვიტ ჯორჯიის" კაპიტან დავით დიღმელაშვილის დამატება. ეს ფეხბურთელი დიდი ძალაა და გვჯერა "დინამოს" დიდ სარგებლობას მოუტანს.

ანთალიურ შეკრებაზე კიდევ რამდენიმე ახალწვეულს, ლეგიონერს ველოდებით და მათგან საუკეთესოებს დავიტოვებთ.

საკადრო პოლიტიკა

ზამთრის პაუზისას ჩვენს გუნდში არცთუ მცირე ცვლილებები მოხდა. გუნდი ერთბაშად რამდენიმე ფეხბურთელმა დატოვა. ესენია ამბროზიო, ბობოხიძე, ბაბუნაშვილი, მახარაძე, გრიგალაშვილი, მახარაძე, ახალაია. ასე რომ, დიღმელაშვილის შემდეგ სხვა ფეხბურთელების დამატებას ველოდებით... ჩვენთან ვარჯიშობს ავსტრალიის ნაკრების ყოფილი მცველი ნედ ზელიჩი და მისი საკითხიც მალე გადაწყდება.

პირველი წრის რჩეულნი

ასეთებად კობახიძეს, იაშვილს, შოთა კაშიას დავასახელებ.

სხვა გუნდების გამორჩეულ მოთამაშეებს რაც შეეხებათ, ერთ-ერთი ასეთი დათო დიღმელაშვილი იყო, რომელიც დავიმატეთ კიდეც. ასევე კარგად იასპარეზეს პირველ წრეში ამირან მუჯირმა, გიორგი სეთურიძემ, გიორგი კახელიშვილმა.

ფინანსური მდგომარეობა

ამ მხრივ არანაირი პრობლემა არ გვაქვს. ჩვენი კლუბი ფინანსური სტაბილურობით გამორჩეულია და მჯერა, ასე გაგრძელდება.

დინამო და ძომაგი

კლუბის ფანკლუბი ამ ცოტა ხნის წინათ აღდგა. ფეხბურთი ქომაგის გარეშე წარმოუდგენელია და მით უფრო, თანამედროვე ფეხბურთი. იმედი მაქვს, ჩვენი გუნდის ქომაგთა რიცხვი კიდევ უფრო მრავალრიცხოვანი გახდება. ერთსაც დავამატებდი, ჩვენი გუნდის გულშემატკივართა მიმართ მადლობის მეტი რა გვეთქმის, მაგრამ ქომაგების სიმწირე, სამწუხაროდ, დღეისთვის მთლიანად ქართული ფეხბურთის პრობლემაა. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ საიმისოდ, რომ შედეგთან ერთად სანახაობრივი თამაში ვაჩვენოთ და ტრიბუნაზე გულშემატკივართა რიცხვი გავზარდოთ.

ჩემპიონატის ახალი ფორმატი

ამ სეზონში უმაღლეს ლიგაში 14 გუნდი ასპარეზობს. ცუდი არაა, კარგია. თუმცა, რაც უფრო მეტი და ფინანსურად ძლიერი თუ არა, სტაბილური გუნდი იქნება, მით უკეთესი. თუკი კლუბებს სტაბილური დაფინანსება არ ექნებათ, მაშინ კლუბების სიმრავლეს არანაირი მნიშვნელობა არ აქვს.

თასის ახალი ფორმატი

ჯგუფურ რაუნდს გულისხმობთ? კარგია, ცუდი ნამდვილად არაა. ამ ფორმატით მეტ გუნდს, მათ შორის პირველი ლიგის კლუბებსაც მეოთხედფინალში გასვლის კარგი შანსი აქვთ.

კოლეგები

უმთავრესად ჩვენი გუნდის მთავარ მწვრთნელ **დუშან უგრინს** გამოვარჩევდი. ყოველდღიურად ვრწმუნდები, რომ ჩეხი მწვრთნელი მაღალკვალიფიციური სპეციალისტია. მისგან ყოველდღიურად ახალს ვსწავლობ. უგრინის შემდეგ, "ამერის" მთავარ მწვრთნელ გიორგი ჩიხრაძეს გამოვარჩევდი.

მსაჯობა

მსაჯობა ჩვენი კი არა, თითქმის ყველა ქვეყნის ჩემპიონატში პრობლემატური თემაა. შეცდომებისგან არავინაა დაზღვეული და ამ მხრივ არბიტრებიც არ არიან გამონაკლისი. მსაჯთა კორპუსი გაახალგაზრდავდა და შეცდომებიც გამოუცდელობით უფრო მოსდით. თუმცა, იმედი მაქვს, თავს გაართმევენ და მეორე წრეში უკეთესი დონის მსაჯობა იქნება და არავინ დაიჩაგრება.

გარიგებული მატჩები

რაღა თქმა უნდა, გარიგებულ მატჩებს ყველანი ვეწინააღმდეგებით. სამწუხაროდ, ეს ქართული ფეხბურთის სენიცაა და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ საიმისოდ, რომ ასეთი თამაშები სულ თუ არ აღმოიფხვრება, მინიმუმადე მაინც შემცირდეს.

დავით ცაბაძე

I ტური

29.07	შ	ბორჯომი	3:0

ხუციშვილი, შ. კაშია, მერებაშვილი

II ტური

06.08	შ	დილა	6:1

დვალი (3), იაშვილი (2), ბობოხიძე,

III ტური

20.08	ს	ამერი	0:2

IV ტური

27.08	შ	ტორპედო	0:1

V ტური

09.09	ს	სიონი	1:0

იაშვილი

VI ტური

17.09	შ	ქასეთი	2:1

გიგაური, ამბროზიო

VII ტური

23.09	ს	ზესტაფონი	0:1

VIII ტური

14.10	შ	ლოკომოტივი	1:0

იაშვილი

IX ტური

21.10	ს	მერანი	3:1

ბობოხიძე, მერებაშვილი, ხუციშვილი

X ტური

29.10	შ	ოლიმპი	1:0

ბობოხიძე

XI ტური

05.11	ს	ვიტ ჯორჯია	1:2

ხუციშვილი

XII ტური

18.11	შ	ჩიხურა	3:1

ხუციშვილი, იაშვილი (2)

XIII ტური

26.11	ს	ბათუმი	3:1

გ. კაშია, ბობოხიძე (2)

სულ: 13 მატჩი, 4 მოგება, 2 ფრე, 7 წაგება, ბურთები 10-17, 14 ქულა



ილია კანდელაკი

ლეგიონერები

კანდელაკი პირველ წრეს აჯამებს

ერთადერთი, რომელმაც "ჩერნომორეცის" რიგებში პირველი წრის ყველა მატჩში ითამაშა, საქართველოს ნაკრების მცველი ილია კანდელაკია. ეს საკვირველი სულაც არაა, ილია ხომ ჩამოყალიბებული პროფესიონალი და უნივერსალია. მან ამ სეზონში ძალები მოსინჯა დაცვაშიც და ნახევარდაცვაშიც.

ოდესის "ჩერნომორეცის" ოფიციალურ საიტზე ქართველი ფეხბურთელის ინტერვიუ გამოქვეყნდა, რომელსაც აქვე გთავაზობთ:

- რა შთაბეჭდილება დაგიტოვათ პირველმა წრემ?

- პირველი წრე ჩვენი გუნდისთვის მძიმე გამოდგა, ძალიან ბევრი ქულა დავკარგეთ, ბევრი დაძაბული შეხვედრა დავთმეთ. რა თქმა უნდა, უსიამოვნოა, რომ წრე სატურნირო ცხრილის ქვედა ნახევარში დავასრულეთ. მეიმედება, რომ მეორე წრეში დაკარგულს აღვიდგენთ და საბოლოოდ მესამე ადგილს მოვიპოვებთ.

- თქვენი აზრით, რომელი იყო "ჩერნომორეცის" ყველაზე იღბლიანი და უიღბლო მატჩი პირველ წრეში?

- "სტალთან" მატჩში მოედანზე ვდომინერებდით, მაგრამ ვერაფრით მოვიგეთ, უაზროდ დავკარგეთ ქულები. "დნიპროსთანაც" არ აეწყო საქმე კარგად. ყველაზე იღბლიანი კი დონეცკის "მეტალურგთან" მოგებული მატჩი იყო.

- ჩემპიონატში რომელი გუნდი მოგეწონათ, რომელი - არა?

- ძალიან გამაკვირვა ლვოვის "კარპატმა", ეს გუნდი უმაღლეს ლიგაში დაბრუნდა და აუტსაიდერობის მაგივრად მაღალი მიზნებისთვის იბრძვის. არ მომეწონაო, ვერც ერთ გუნდზე ვიტყვი - ყველა კლუბს ჰქონდა ძლიერი მხარეები.

- პირველ წრეში კლუბსა და ჩემპიონატში ვის გამოარჩევდით?

- მე ასეთად სერგეი დანილოვსკის მივიჩნევ, იმიტომ რომ კარგადაც ითამაშა და საჭირო გოლებიც გაიტანა. რაც შეეხება მთელ ჩემპიონატს, ყველა მატჩი არ მინახავს, ჩვენ წინააღმდეგ კი განსაკუთრებით ნაზარენკო მომეწონა.

- წლეულს ევროთასებზე უკრაინულმა კლუბებმა კარგად ვერ ითამაშეს, რაშია საქმე?

- მიმაჩნია, რომ წლევანდელი წარუმატებლობა დროებითი მოვლენაა და არა კანონზომიერი, ყველა კლუბს პრობლემა ჰქონდა და ამიტომაც თავი, სათანადოდ ვერ გამოავლინეს.

მოამზადა
ნიკოლოზ ნეფარიძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიტუაცია ქართულ კლუბებში

გუნდი	მიდიან	მოდიან	გეგმები
ოლიმპი	**კიკნაძე, ზამთარაძე** (მწვრთნელები) **რ. ონიანი (ზესტაფონი), ხოჯავა, ნაჭყეპია,** სირბილაძე (ტორპედო), ხოხონიშვილი, მიმინოშვილი, მიქიაშვილი, გ. თოდუა (?), ვ. კვარაცხელია (?) **ქებაძე, სეთურიძე, კახელიშვილი, აფციაური, გ. ონიანი** (სიონი, დსთ-ის თასისთვის)	**რ. ძოძუაშვილი (მწვრთნელი, ტორპედო) ვ. კილასონია (მწვრთნელი) მერლანი (ვეტრა, ლიტვა), რ. გოცირიძე (კამაზ, რუსეთი), არზიანი (რუბინი),** სილაგაძე (მეტალურგი ზ.) ნავალოვსკი (დინამო)	თბილისი, თურქეთი
ვიტ ჯორჯია	**დიღმელაშვილი (დინამო),**		თბილისი, ანტალია (თურქეთი)
ამერი	**ჩანგელია (უკრაინა)** ნიკოლაიშვილი, სილაგავა (?)	**მესხი (ჩიხურა), დიდავა (კონტრ. გააგრძელა)** ბაბუნაშვილი (დინამო), კაკაშვილი (რილსკი, ბულგ.)	ორი შეკრება ანტალიაში, იანვარი, თებერვალი
ზესტაფონი	**იმედაძე** (?)	**რ. ონიანი (ოლიმპი)**	თბილისი, ბაკურიანი + კვიპროსი, ანტალია ან საემიროები
დინამო	**ბობოხიძე, ახალაია, ბაბუნაშვილი, გრიგალაშვილი, მახარაძე** (?) ნავალოვსკი (დინამო)	**დიღმელაშვილი (ვიტ ჯორჯია)** ზელიჩი (ავსტრალია, თავისუფალი აგენტი)	ბაკურიანი, ანტალია
გორპედო	**ძოძუაშვილი** (მწვრთნელი, ოლიმპი), გამეზარდაშვილი (სკონტო ლატვია) მ. ღონღაძე (ლოკომოტივი)	**კიკნაძე, ზამთარაძე (მწვრთნელები),** სირბილაძე (ოლიმპი)	—
სიონი	**სიჭინავა, შავგულიძე ბათიაშვილი** ჭიჭვეიშვილი (?)	**ქებაძე, სეთურიძე, კახელიშვილი, აფციაური, გ. ონიანი, (ოლიმპი,) მამალაძე (ჩიხურა), დარასელია (შახტიორი ყარაღანდა)** ყველა დსთ-ის თასისთვის	დსთ-ის თასი, იანვარი
ლოკომოტივი	ყენია (ლევანტე, ესპანეთი), ყიფიანი, მხეიძე, ებანოიძე, ცხომარია მენაბდე, მიხაილიდი(?).	სოსელია, წუწუნავა (კახეთი). მ. ღონღაძე (ტორპედო)	ლაგოდეხი + ბორჯომი ან უცხოეთი
ბორჯომი	**ნკემი, მონგუე**		10 იანვრიდან ბორჯომი, შესაძლებელია უცხოეთიც
მერანი	ბესარაშვილი (ბათუმი)	აკობია (მწვრთნელი, დინამო 2), სტურუა, ქემოკლიძე, ბაბუნაშვილი, (დინამო)	ორი შეკრება
ჩიხურა	**მესხი (ამერი), გ. მანწკავა (ირანი), მამალაძე (სიონი)**	ბობოხიძე, ახალაია, ბაბუნაშვილი, გრიგალაშვილი, მახარაძე, სტურუა (დინამო), კოშკაძე (ბათუმი),	შეკრება 8 იანვრიდან დაგეგმილია შეკრება უცხოეთში
ბათუმი	**ა. მუჯირი (ბაქი)** კოშკაძე, ლობჟანიძე, აფშილავა (ვიტ ჯორჯია), ნაჭყებია	**ჩარგეიშვილი, კერესელიძე, ბარამიძე (დინამო 2),** ბესარაშვილი (მერანი), შალამბერიძე (მეშაქრე)	**შეკრება ბათუმში**
დილა	**ბეგიაშვილი (პრეზიდენტი), მამესწარაშვილი (მწვრთნელი)**	**ლურსმანაშვილი (პრეზიდენტი), ვარდოსანიძე, ელიაური (მწვრთნელები)**	შეკრება გორში
კახეთი	სოსელია, წუწუნავა (ლოკომოტივი), იაშვილი (?), კევლიშვილი (მერანი),	**კუპრაშვილი (გურჯაანი)**	თელავი, შესაძლებელია ბაკურიანიც

იმედაშვილს შანსი მისცეს

გუშინ დილით კიევის "დინამო" პირველ შეკრებაზე გაემართა გაერთიანებულ საემიროებში. მწვრთნელთა შტაბმა თან 29 ფეხბურთელი წაიყვანა. მათ შორისაა ქართველი მცველი **დავით იმედაშვილი**. **კახა ალადაშვილი**, რომელმაც სეზონის პირველი ნახევარი იჯარით "დნიპროში" გაატარა, ტრანსფერზეა. არაბეთში არ წაიყვანეს საქართველოს ნაკრების ფორვარდი **ოთარ მარცვალაძეც**, რომელიც ტრავმირებულია. კიევის "დინამო" საემიროებში სამ მატჩს გამართავს: 13 იანვარს "ჰამბურგთან", 16 იანვარს ირანის ნაკრებთან და 19 იანვარს ბულგარულ "ლიტექსთან". მეორე შეკრება ისრაელშია დაგეგმილი.

თარხნიშვილმა მოგებით დაიწყო

წლის პირველი მატჩი, ოლონდ საკონტროლო, მოიგო მოლდოვის ჩემპიონმა ტირასპოლის "შერიფმა". კლუბმა "პოლიტექნიკას" 3:0 აჯობა. გუნდის ქართველმა კაპიტანმა **ვაჟა თარხნიშვილმა** სრულად, 70 წუთი ითამაშა (მატჩი 35-35 წუთიანი ტაიმებისგან შედგებოდა). "პოლიტექნიკას" კიდევ ერთხელ მოუგო "შერიფმა" ამჯერად მეორე გუნდით, სადაც **ყველაშვილმა** ითამაშა. ეს შეხვედრაც "შერიფმა" 3:0 მოიგო.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ქართველები სკონტოში: საბის ნაცვლად ორი

რიგის "სკონტოს" ქართველებით დაინტერესებაზე უკვე ვნერდით. **დავით გამეზარდაშვილი** "სკონტოს" საკუთრებაა და ბუნებრივია, რომ პირველი წრის დასრულების შემდეგ ლატვიაში გაემგზავრა. ამის გარდა ბალტიისპირეთში გაემგზავრა რუსთავის "ოლიმპის" ნახევარმცველი **რევაზ გენაძე**. რაც შეეხება **მურთაზ ბურნაძეს**, რომლის მიმართ ლატვიელთა დაინტერესებაზეც გავრცელდა ხმები, მისი თამაში "სკონტოში" გამოირიცხა.

CDN ტბილისის სიფრცელი ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
ბოლოდროინდელ სატელეკომუნიკაციო მოვლენებზე სრული პაკეტი:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 555 ტელეფონის დაფიქსირება;
CDN 8-67 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGA ISDN ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
• უსაფრთხო მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადასვლა ხანგრძლივ გაუჩვენლად
სატელეფონო საუბრების წამიერი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკეთ, შეუკვეთეთ, ბაერთეთ!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

მოსალოდნელი დანიშვნა

მიდის თუ არა ერიქსონი მარსელში?

ბექჰემს ფრანგული ვარიანტიც გამოუჩნდა...

სვენ გორან ერიქსონის "მარსელში" დანიშვნის შესახებ ურთიერთგამომრიცხავი ცნობები ვრცელდება. გუშინ "სქაი სპორტსმა" გვაუწყა, რომ მხარეებმა სამწლიანი ხელშეკრულება გააფორმეს და რომ ამის შესახებ ოფიციალური განცხადება კვირის ბოლოს გაკეთდება. გუშინვე ერიქსონმა "ოლიმპიკში" დანიშვნის შესაძლებლობა კატეგორიულად უარყო.

გასულ უმეტესზე მწვრთნელი დუბაი ქაფის ნახევარფინალში, "ლაციო"-"მარსელის" მატჩს (3:1) დაესწრო. ის შეხვედრას საპატიო სტუმრებს ლოჟიდან ადევნებდა თვალს. ამ ფაქტმა სპეკულაციები ერთი-ორად გაამძაფრა. ერიქსონმა სტადიონზე მისვლა იმით ახსნა, რომ დუბაიში დასასვენებლადაა ჩასული, მაგრამ მისმა არგუმენტებმა ეჭვები ვერ გაფანტა.

უახლოეს დღეებში "მარსელის" ახალი მფლობელის ვინაობა უნდა გაირკვეს. მომავალი ხელმძღვანელი რადიკალური რეფორმების გატარებას გეგმავს. რეფორმა, რა თქმა უნდა, ახალი მწვრთნელის დანიშვნასაც გულისხმობს. თვეზე მეტია, ერიქსონს "მარსელში" გადაბარგებას უწინასწარმეტყველებენ. ის კრიზისის დაძლევაში უნდა დაეხმაროს კლუბს, რომელსაც 14 ნელია, ტიტული არ ღირსებია.

სვენისა და "მარსელის" თემას "ნიუს ოფ ზე უორლდიც" გამოეხმაურა. ტაბლოიდი ვარაუდობს, რომ პირველი ფეხბურთელი, რომელსაც ერიქსონი კონტრაქტს შესთავაზებს, **დევიდ ბექჰემი** იქნება. მოგეხსნებათ, გალაქტიკოს მადრიდული ხელშეკრულება ივნისში მთავრდება. ამ დონის მოთამაშის უკომპენსაციოდ აყვანა დიდი ცდუნებაა, მაგრამ სვენს 31 წლის ნახევარმცველის დარწმუნება გაუჭირდება. ბექჰს უკვე შესთავაზა თანამშრომლობა "ლოს ანჯელეს გალაქსიმ" და წლიურად 5 მილიონი გირვანქა ალუთქვა. აქტიურობს "ინტერიც", რომელსაც წელს 100 წელი უსრულდება, მისი პრეზიდენტი **მასიმო მორატი** კი საიუბილეოდ 100 მილიონი გირვანქის დახარჯვას აპირებს.

სვენი და ბექჰი ისევ ერთად?



ჰენრიკ ლარსონი

მანჩესტერ იუნაიტედი

ლარსონი: დებიუტი გოლით

35 წლის **ჰენრიკ ლარსონმა** მანჩესტერული კარიერა გოლით დაიწყო. "ასტონ ვილასთან" ასოციაციის თასის მესამე რაუნდის მატჩში ანგარიში მან 55-ე წუთზე გახსნა (2:1). ინგლისურმა ტაბლოიდებმა უმალ გააჩაღეს სპეკულაციები იმასთან დაკავშირებით, მოხერხდება თუ არა თავდამსხმელის სეზონის ბოლომდე მანჩესტერში დატოვება, თუ მისი იჯარა, კონტრაქტის შესაბამისად, მხოლოდ 10 კვირას გასტანს.

"ჰელსინგბორგის" (ლარსონი ამ კლუბის საკუთრებაა) თავმჯდომარე **სტენ-ინგე ფრედინმა** განმარტა: *"იჯარის გასახანგრძლივებლად "იუნაიტედმა" ოფიციალურად უნდა მოგვმართოს. ჯერჯერობით, ინგლისიდან მსგავსი წერილი არ მიგვიღია. შეთანხმების თანახმად, ჰენრიკი 12 მარტს უნდა დაბრუნდეს."*

"ვილასთან" ნამატჩევს **სერ ალექს ფერგიუსონმა** ლარსონის შესახებ საგანგებო კომენტარი გააკეთა: *"მისი თამაშით კმაყოფილი ვარ. მინდოდა, მენახა, როგორ ფორმაშია. დავრწმუნდი, რომ შემიძლია, მშვიდად ვიყო. ის არაერთ მნიშვნელოვან გოლს გაიტანს. ჰენრიკი "მანჩესტერს" დიდ სამსახურს გაუწევს."*

ორშაბათს შვედური სპორტული გაზეთების პირველ გვერდებზე ლარსონის სურათი იყო გამოტანილი. მიმომხილველებმა მას ნაკრებში დაბრუნებაც კი სთხოვეს. ჰენრიკი ეროვნულ გუნდს შარშანდელი მუნდიალის შემდეგ დაემშვიდობა.

ვეტერანი

რომარიო ფიფას განაჩენის მოლოდინში

რომარიო ფიფას გადაწყვეტილებას ელის. 41 წლის თავდამსხმელს "ვასკო და გამასთან" ერთწლიანი კონტრაქტის პირობები შეთანხმებული აქვს, მაგრამ საქმეს ის ართულებს, რომ ფიფას კანონმდებლობით, მოთამაშეს ეკრძალება ერთი კალენდარული წლის განმავლობაში ორზე მეტ კლუბში თამაში. რომარიომ ბოლო 12 თვეში სწორედ ამდენი სამსახური გამოიცვალა. ის ჯერ "მაიამიში" ასპარეზობდა, შემდეგ ოთხი მატჩით სიდნეის საფეხბურთო კლუბს მიაშურა. ახლა კი "ვასკოში" დაბრუნება სურს.

ცნობილია, რომ რომარიო კარიერის დასრულებას იმ დრომდე არ აპირებს, სანამ 1 000 გოლს არ მოუყრის თავს. ფორვარდის გამოთვლით, მის აქტივში უკვე 987 გოლია. ბრაზილიელი მიმომხილველები კი რომარიოს არითმეტიკას ეჭვქვეშ აყენებენ. მათი თქმით, ამ რიცხვში ახალგაზრდულ გუნდებში გატანილი ბურთებიცაა შეტანილი, ეს კი ჭეშმარიტი სურათის შექმნის საშუალებას არ იძლევა.

რომარიო სკეპტიკოსთა საუბრებს ყურადღებას არ აქცევს. ბრაზილიის ეროვნული ჩემპიონატის დაწყებამდე "ვასკოს" კარიოკის შტატის პირველობა ელის. ამ ტურნირში მას სუსტი მეტოქეები ეყოლება. ეს კი რომარიოს აქტივის გაზრდის იდეალურ შანსს აძლევს. აი, მისი კომენტარი: *"იმედია, ფიფა გაგებით მოეკიდება ჩემს მდგომარეობას. სანუკვარი მიზნისგან 13 გოლი მაშორებს. რა თქმა უნდა, მისი გატანა ადვილი არ იქნება, მაგრამ მთავარია, მინდორზე გასვლის უფლება დამრთონ."*

ლიონელ მესი

საუკუნის ტრანსფერის მოლოდინში

მორაბი 100 მილიონს ამზადებს

ბარსელონას დიდი განსაცდელი ემუქრება...

"ინტერი" სერიოზული ბრძოლისთვის ემზადება. მილანელებმა **ლიონელ მესის** გადაბირება გადაწყვიტეს. **რობერტო მანჩინი** ბედნიერი იქნებოდა, არგენტინელ ვარსკვლავს იანვარშივე თუ შეიძენდნენ, მაგრამ "ნერაძურის" მთავარი მწვრთნელი აცნობიერებს, რომ "ბარსელონასთან" მოლაპარაკებების წარმატებით დასრულება დროის ამ მცირე მონაკვეთში არ მოესწრება. კატალონიელები, რა თქმა უნდა, ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ მესი შეინარჩუნონ, თუმცა "ლა გაძეტა დელო სპორტის" მტკიცებით, **მასიმო მორატი** ტრანსფერის განსახორციელებლად ზღაპრულ თანხას ამზადებს. მართალია, კონკრეტული ციფრი არ სახელდება, მაგრამ საქმეში ჩახედული ხალხის თქმით, საუბარი 100 მილიონ ევროზეა. ლეოსთვის "ინტერში" გადაბარგება, ფინანსური თვალსაზრისით, უაღრესად მომგებიანი იქნება. იტალიელი ნავთობმაგნატი მზადაა, ფეხბურთელს ხელფასი 50 პროცენტით გაუზარდოს. გარდა ამისა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებული 100 მილიონიდან მინიმუმ 12 პროცენტი მესის კუთვნილი წილი იქნება. თუ არგენტინელი ამ პირობებით მოიხიბლება და აპენინელთა შეთავაზებას დათანხმდება, "ბარსელონას" ნიჭიერი ახალგაზრდის შენარჩუნება წარმოუდგენლად გაუჭირდება. მანჩინის აზრით, მესი **ლუიშ ფიგუს** ჩინებული მემკვიდრე გახდება. მილანელები დარწმუნებულები არიან, რომ ტრანსფერის განხორციელების შემთხვევაში, მათ კლუბს სპონსორები მიაწყდებიან, რაც დიდძალი ფულის გაკეთების წინაპირობა გახდება. მასიმო მორატი გულშემატკივრებს პირობას აძლევს, რომ "ინტერი" წელს სკუდეტოს მოიპოვებს. მომავალი სეზონის დაწყების წინ კი ხმაურიან ტრანსფერებს გაჩარხავს და ახალი დიადი კლუბის მშენებლობას ჩაუყრის საფუძველს.

როგორც გითხარით, ამ საქმეში ლეო მესის პოზიციამ, შესაძლოა, გადამწყვეტი როლი ითამაშოს. იტალიელი ჟურნალისტები ბუნებრივია, მისი მოსაზრებით დაინტერესდნენ. მრავალი მცდელობის მიუხედავად, სამხრეთამერიკელს მათთვის საინტერესო ვერაფერი ათქმევინეს. მესიმ მხოლოდ ის აღნიშნა, რომ მსგავსი რამ არ სმენია.

საუკეთესონი საუკეთესოთა შორის

ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ასოციაციამ გასული წლის შედეგები შეაჯამა. საუკეთესო ლუბად "ლივერპული" დასახელეს ნაკრების საუკეთესო მწვრთნელის ნოდებას ბარსელონელ-ლაპის ხვდა წილად. საუკეთესო არბიტრი **ორასიო ელისონდო** გახდა. მეკარეთა ნომინაციაში, რა თქმა უნდა, **ჯიჯი ბუფონმა** გაიმარჯვა. საუკეთესო ლიგად სერია A შეირაცხა. **ფრანკ რიიკაარდი** აღნიშნულმა ორგანიზაციამ 2006 წლის საუკეთესო საკლუბო მწვრთნელად მიიჩნია. **რონალდინიო** გასული სეზონის საუკეთესო ფლეიმეიქერად აღიარეს. მთავარი პრიზი კი **ზინედინ ზიდანს** ხვდა წილად. ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ასოციაციის ვერსიით, ზიზუ წლის საუკეთესო ფეხბურთელია.

კრაუჩი ნიუკასლში, ვილია ლივერპულში

"ლივერპული" თანახმაა, **პიტერ კრაუჩი** "ნიუკასლს" 12 მილიონ გირვანქად მიჰყიდოს, სანაცვლოდ კი ვალენსიელი **დავიდ ვილია** ჩაიგდოს ხელში. 25 წლის კრაუჩი "ენფილზე" 18 თვის წინათ "საუთჰემპტონიდან" 7 მილიონად გადავიდა. ჯორდების თავკაცი **გლენ როუდერი** ტრავმებისგან დასუსტებული თავდასხმის გაძლიერებას ცდილობს.

რაც შეეხება ვილიას, ესპანეთის ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი 25 მილიონი გირვანქა ღირს. ვალენსიელებს ფეხბურთელის გაყიდვა არ სურთ, მაგრამ თუ ტრანსფერი გარდაუვალი გახდება, აპირებენ, სანაცვლოდ მაქსიმალური სარგებელი ნახონ. მოლაპარაკებები გრძელდება.

ეინდჰოვენმა ლუკე მოიკითხა

"ეინდჰოვენმა" "ნიუკასლის" თადარიგში ჩაკარგული **ალბერტ ლუკე** მოიკითხა. თავდამსხმელი "სენტ ჯეიმს პარკზე" 2005 წლის ზაფხულში 9.5 მილიონ გირვანქად გადავიდა, მაგრამ მას შემდეგ ძირითად შემადგენლობაში მხოლოდ ექვსი მატჩი ჩაატარა. ჰოლანდიის ჩემპიონებს 18-თვიანი საიჯარო კონტრაქტის გაფორმება სურთ. "დეპორტივოს" ყოფილ ვარსკვლავს რამდენიმე მეორეხარისხოვანი ესპანური კლუბიც ეპატიჟება.

ფრედი ლიუნგბერგი

"არსენალის" გადაწყვეტილება, **ფრედი ლიუნგბერგის** ტრანსფერზე დაყენების თაობაზე, უპასუხოდ არ დარჩენილა. "ვესტ ჰემმა" "მეთოფეებს" შვედი ნახევარმცველის სანაცვლოდ 7 მილიონი გირვანქა შესთავაზა. ორი დღით ადრე შედგა შეთანხმება "ჩელსისთან" **შონ რაიტ-ფილიპსის** ტრანსფერზე. "ჩაქუჩებს" ახალგაზრდა გარემარბი 9.8 მილიონი გირვანქა უჯდებოდათ, მაგრამ ფეხბურთელმა "აატონ პარკზე" გადასვლა არ ისურვა. "ვესტ ჰემი" დაუყოვნებლივ ლიუნგბერგის აგენტებს შეეხმიანა. კლუბი მზადაა, სრულად გადაიხადოს ფრედის დღევანდელი ხელფასი, კვირეული 70 ათასი გირვანქა. 29 წლის ვარსკვლავს კომენტარი ჯერ არ გაუკეთებია.

არსენალი. ტრანსფერები

ლიუნგბერგი ვესტ ჰემში

ჩაქუჩებმა 7 მილიონი გაამზადეს, ფრედის აიაქსელი ბაბელი შეცვლისო...

ამასობაში, ცნობილი გახდა, რომ "არსენალი" "აიაქსის" ახალგაზრდა თავდამსხმელ **რაიან ბაბელს** ეპატიჟება. სავარაუდოდ, ლიუნგბერგის ადგილს სწორედ ეს 20 წლის ყმანვილი დაიკავებს.. ბაბელის ტრანსფერი სეზონის ბოლომდე ვერ განხორციელდება. ამიტომ იანვარში **არსენ ვენგერს** ვიღაცის დამატება მოუწევს. ორიოდე თვის წინათ ჰოლანდიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **მარკო ვან ბასტენმა** თქვა, რომ ბაბელს აქვს პოტენციალი, რათა ახალი **ტიერი ანრი** გახდეს.

და კიდევ, "რეალისა" და "ბაიერნის" შემდეგ, "არსენალმაც" დაადასტურა, რომ მარსელელი ნახევარმცველის **ფრანკ რიბერის** შეძენა სურს. ბრიტანული გამოცემა "დეილი მირორი" იტყობინება, რომ ვენგერი მზადაა, მოლაპარაკებები განაახლოს. შეგახსენებთ, რომ მოსიე არსენს 23 წლის ნახევარმცველის გადაბირება აგვისტოშიც უნდოდა, მაგრამ მაშინ ტრანსფერი არ შედგა, რადგან "არსენალის" ბოსებს ფეხბურთელის ფასი ეძვირათ. ზაფხულში "მარსელმა" რიბერის სანაცვლოდ 23 მილიონი ევრო მოითხოვა.



მირომ მაცდუნებელი წინადადება მიიღო

ბაიერნი vs ვერდერი

ჰიონესი კლოზეს უხმობს: მირო, წამოდი მიუნხენში!

ალოფსი კონტრშეტევისთვის ემზადება: დაბრუნდება კლაუდიო პისარო ბრემენში?

"ბაიერნის" მენეჯერი **ული ჰიონესი** ახალ წელს ახალი შემართებითა და უდიდესი ამბიციებით შეხვდა. რეკორდმაისტერის ენაჭარტალა ბოსმა ყველას და ყველაფერს ომი გამოუცხადა და შესაძლოა, კაცს ისეთი შთაბეჭდილებაც კი დარჩეს, რომ თვითონაც არ იცის, ვის და რატომ ებრძვის ეს კაცი. რამდენიმე დღის წინათ **ფრანკ რიბერიზე** ერთი ამბავი ატეხა, "რეალი" ამ ფეხბურთელს ვერ წაგვართმევსო, ახლა კი ამბობს, რომ ფრანგი ნახევარმცველი მისთვის სასურველ მოთამაშეთა სიაში არც პირველ ადგილზეა და არც მეორეზე. რიბერის ტრანსფერი თურმე, **სებასტიან დაისლერზე** ყოფილა დამოკიდებული. კერძოდ, ული აცხადებს, რომ ბავარიელები მარსელის "ოლიმპიკს" რიბერის თაობაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში დაუკავშირდებიან, თუ დაისლერი ფორმაში არ შეავა და ტრავმები შეაწუხებს.

"რიბერი, რა თქმა უნდა, ძალიან კარგი ფეხბურთელია. მაგრამ მისი ტრანსფერი დაისლერზეა დამოკიდებული. თუკი სებასტიანი ძველ ფორმას დაიბრუნებს და ტრავმას საბოლოოდ მოიშუშებს, რიბერიზე საერთოდ არ ვიფიქრებთ," - ამბობს დუბაიში გუნდთან ერთად მყოფი ჰიონესი.

სამაგიეროდ, ულიმ გუშინ "ვერდერთან" ბრძოლაში ახალი ფრონტი გახსნა. ობიექტი **მიროსლავ კლოზე** გახლავთ, რომელსაც ბრემენულ კლუბთან კონტრაქტი 2008 წლის ზაფხულში უმთავრდება. დისკუსია "ბაიერნის" ჰოლანდიელმა ნახევარმცველმა, **მარკ ვან ბომელმა** წამოიწყო, რომელმაც განაცხადა, მიუნხენში გერმანიის ნაკრების რაც შეიძლება მეტი ფეხბურთელი გვჭირდება და პირველ რიგში, კლოზეო. ჰიონესმა კი, რომელმაც ორი დღის წინათ საჯაროდ თქვა, **შლაუდრაფს** კონტრაქტი იმის გამო გავუფორმეთ, რომ "ვერდერი" გაგვბრაზებინაო (აახენელი ფეხბურთელის გადაბირება ბრემენულ კლუბსაც სურდა), "ბილდს" უთხრა: *"საკმარისია მხოლოდ ერთი "დიახ" მიროსგან და მას მაშინვე ვიყიდით! თუ ჩვენ "ვერდერთან" მოლაპარაკებები დღემდე არ დავიწყეთ, მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ კლოზე ამბობდა, თუ სადმე წავალ, მხოლოდ უცხოეთშიო. ასე რომ, თუ მირო "ბაიერნში" გადმოსვლაზე თანახმა იქნება, მაშინვე ხელებს დავიკაპიწებთ და მოლაპარაკებებს დავიწყებთ."*

ესეც ასე, "ბაიერნს" გერმანიის ნაკრების ნომერ პირველი გოლეადორის გადაბირება სურს. ჰიონესს ოპტიმისტურად ყოფნის უფლებას ის ფაქტი აძლევს, რომ დეკემბრის მიწურულს კლოზემ "ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, კარიერის გაგრძელება უცხოეთში მინდა, მაგრამ გამორიცხული არც ის არის, რომ "ვერდერში" დავრჩე და არც ის, რომ "ბაიერნში" გადავიდეო. ჰიონესი კი აგრძელებს: *"მირო ნებისმიერი გუნდისთვის უდიდესი შენაძენი იქნება, მაგრამ თუ ჩვენ მას გადმოვიბირებთ, ეს აუცილებლად ზაფხულში მოხდება და არა 2008 წელს!"*

ვერაფერს იტყვი, კლოზეზე შეტევა საუკეთესო იარაღია იმისთვის, რომ "ბაიერნმა" მოსისხლე მტრად ქცეული და უკვე ძალიან სერიოზული კონკურენტი "ვერდერი" მაგრად გააბრაზოს. და რა ხდება ამ დროს ბრემენულ კლუბში? ჰიონესის სიტყვებზე, ჩვენმა მეტოქეებმა ძალიან თბილად უნდა ჩაიცვან, რადგან უმძაფრესი შეტევებისთვის ვემზადებითო, რომელშიც ულიმ, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, "ვერდერი" იგულისხმა, "მუსიკოსების" მთავარ მწვრთნელ **თომას შაფს** ირონიულად ეღიმება. *"მე საკმაოდ თბილად მაცვია და ნამდვილად არ მეშინია, რომ გავიყინები. არა მგონია, ბავარიელები რაიმე სერიოზულს ამზადებდნენ. უბრალოდ, როგორც ყოველთვის, ბევრს ლაპარაკობენ,"* - ამბობს შაფი. *"მიუნხენიდან წამოსული აგრესიით გაკვირვებული ვარ. არ მეგონა, თუ მიუნხენელები ჩვენზე ასე გაბრაზებულები იქნებოდნენ. ეს "ვერდერისთვის" კარგის ნიშანია. ეს იმას ნიშნავს, რომ "ბაიერნის" სერიოზული კონკურენტები ვართ. ვფიქრობ, ჰიონესი იმის გამოა გადარეული, რომ ფრიტცი, მერტეზაკერი და კლოზე ჩვენთან თამაშობენ. და კიდევ, მას ვერ მოუნელებია ის, რომ "ვერდერი" გაცილებით ლამაზ და შედეგიან ფეხბურთს თამაშობს, ვიდრე "ბაიერნი",* - ეს უკვე **ალოფსის** სიტყვები გახლავთ.

რაც შეეხება, უშუალოდ კლოზეს თემას. "ვერდერის" მენეჯერი ამბობს, უფრო დიდი შანსია, რომ მირო ჩვენთან დარჩეს, ვიდრე "ბაიერნში" გადავიდესო: *"მეტსაც გეტყვით, წარმოუდგენელია ის, რომ ჩვენი ლიდერი უშუალო კონკურენტს მივყიდოთ. მზად ვარ, ბოლომდე ვიბრძოლო იმისთვის, რომ ეს ასე არ მოხდეს."*

ალოფსი ამით არ კმაყოფილდება და "ბაიერნზე" კონტრშეტევას ამზადებს. კერძოდ, ბრემენელებს **კლაუდიო პისაროს** დაბრუნება სურთ. როგორც იცით, პერუელ თავდამსხმელს, რომელიც მიუნხენში სწორედ "ვერდერიდან" გადავიდა, რეკორდმაისტერთან კონტრაქტი სეზონის ბოლოს უმთავრდება. "მიუნხენერ თაგესცაითუნგისთვის" მიცემულ ინტერვიუში კლაუდიოს მამამ, რომელიც მისი მრჩეველიცაა, განაცხადა, რომ პისაროს სხვა გუნდებთან ერთად ბრემენელებიც ეპატიჟებიან.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ გუშინწინ "ბაიერნმაც" და "ვერდერმაც" ტესტმატჩები გამართეს. მიუნხენური გიგანტი დუბაიში, ადგილობრივ ტურნირზე, ლისაბონის "ბენფიკასთან" პენალტების სერიაში დამარცხდა. ძირითადი დრო 0:0 დასრულდა, თერთმეტმეტრიანები კი პორტუგალიელებმა უფრო ზუსტად შეასრულეს. "ბაიერნიდან" **სალიჰამიჯიჩმა, ლუსიომ** და **პოდოლსკიმ** გაიტანეს, **ვან ბომელმა** და **პისაროომ** კი ვერა. ამრიგად, რეკორდმაისტერი დუბაის თასის ფინალში ვერ გავიდა, არადა, ტურნირი რომ მოეგო, 1 მილიონ დოლარს მიიღებდა. ფინალში "ბენფიკა" "ლაციოს" შეხვდება, რომელმაც "მარსელი" 3:1 დაამარცხა. "ბაიერნი" და "მარსელი" მესამე ადგილისთვის იბრძოლებენ. რაც შეეხება "ვერდერს": ბრემენელებმა ბელეკში, "ეფესის თასზე" "ბეშიქთაში" 4:0 გაანადგურეს და ფინალში გავიდნენ, სადაც "ფეიენოორდისა" და "გალათასარაის" შორის გამარჯვებულს შეხვდებიან. "ბეშიქთაშს" ორი გოლი **უგო ალმეიდამ** გაუტანა, ერთი კლოზემ, ერთი კი **ნალდომ**.

გოტფრიდ ლენცი



ქალბატონის ერთგული კავალერი ალექს დელპიერო

პორტრეტი. ალესანდრო დელ პიერო

მელანქოლიური კაცი

კავალერი, რომელმაც თავისი ქალბატონი არ მიატოვა...

"იუვენტუსი" ისევ ერთ-ერთი ლიდერია, ოღონდ სერია B-ში. ალესანდრო დელ პიერო ისევ "იუვენტუსის" ღირსებას იცავს, სერია B-შიც კი და ისევ "ბებერი ქალბატონის" კაპიტანია. ალბათ არ არსებობს ადამიანი, ვისაც გაუკვირდა, დელ პიერო "იუვეს" ქვედა ლიგაში რომ ჩაჰყვა, რადგან თავიდანვე ნულის ტოლი იყო იმის შანსი, რომ "ბებერი ქალბატონი" დაეტოვებინა. ტურინული გრანდი სერია A-ში ალბათ უპრობლემოდ დაბრუნდება და ალექსიც კვლავინდებურად "იუვეს" კაპიტანი იქნება. კარიერის ბოლომდე.

რა შეიცვალა **დელ პიეროს** ცხოვრებაში ზაფხულის შემდეგ? ძალიან ბევრი რამ. დავიწყოთ იქედან, რომ ალექსი მსოფლიოს ჩემპიონი გახდა და მიაღწია იმას, რაც ნებისმიერი ფეხბურთელისთვის უდიდესი ოცნებაა. დაქვეითდა სერია B-ში, რაც მისი კალიბრის ფეხბურთელისთვის სრული ფიასკოა. და კიდევ: ზაფხულის შემდეგ მას ერთ ქვეყანაში ვეღარ იტანენ. ალბათ, მისი არცთუისე გრანდიოზული კარიერის ბრალი იყო ის, რომ ზაფხულამდე არავის ეჯავრებოდა. ზაფხულის შემდეგ კი, ნებისმიერ გერმანელს დელ პიეროზე რომ ჰკითხოთ, ლანძღვა-გინებას მოჰყვება. თუკი **ფაბიო გროსოს** გოლმა ეიფორიაში მყოფ გერმანიას სუნთქვა შეუკრა და შოკში ჩააგდო, ალექსის გოლმა ბუნდესგუნდის ქომაგებს გულები დაუშანთა და იმედის ის პატარა ნაპერწკალიც ჩაუქრო, ინერციით რომ მიეცათ გროსოს გოლიდან თამაშის განახლების შემდეგ.

ის მომენტი იყო, როცა გერმანელი ფეხბურთელები იტალიის ნაკრების საჯარიმოს მიაწყდნენ და უსისტემო, გიჟური და უკანმოუხედავი შეტევების წამოწყება სურდათ, როცა **ფაბიო კანავარომ** საჯარიმოდან ბურთი გამოიტანა და **ფრანჩესკო ტოტის** ჩაბარა. ტოტიმ მაშინვე **ალბერტო ჯილარდინოს** უპასა და იმ მომენტში ალბათ ვერავინ მიხვდა, თუ როგორ გაჩნდა დელ პიერო ასე სწრაფად გერმანიის ნაკრების საჯარიმოს ხაზთან. იტალია უკანასკნელ წუთზე ხომ მთელი გუნდით აპირებდა თავის დაცვას. მერე გაირკვა: "იუვენტუსის" კაპიტანმა საკუთარი საჯარიმოდან 80 მეტრი ირბინა. დელ პიერომ უკვე არაერთხელ აღიარა, სხვა დროს შესაძლოა არ მერბინა, ეს ალბათ იდიოტურ გადაწყვეტილებად მომეჩვენებოდაო. ალექსის ამ გოლს იტალიელებმა La Matonella შეარქვეს.

დელ პიერო გერმანიასთანაც შეცვლაზე შევიდა, ისევე, როგორც ძალიან ხშირად ბოლო წლებში. იტალიის ნაკრების ძირითადი შემადგენლობის მოთამაშის სტატუსი დიდი ხნის დაკარგული აქვს. მიუხედავად იმისა, რომ კარიერის დასაწყისში მწვრთნელებმაც და გულშემატკივრებმაც ალექსში ახალი ლიდერი და უდიდესი მოტივატორი დაინახეს. ასეთი იყო **რობერტო ბაჯო** და ასეთ ფეხბურთელებს იტალიაში La Bandiera-ს (დროშა) ეძახიან. მაგრამ დელ პიერო არასდროს ყოფილა "წამყვანი მგელი" ან "ყოჩის" მენტალიტეტის მქონე პიროვნება.

1993 წელს **ჯოვანი ტრაპატონიმ** ის "პადოვადან" "იუვენტუსში" გადაიყვანა. დღევანდელზე რომ გადმოვიანგარიშოთ, გამოვა, რომ "ბებერ ქალბატონს" ალექსი 2 მილიონი ევრო დაუჯდა. ელექტრიკის შვილმა, ყველასთვის მოულოდნელად, ძალიან. მალე დაიმკვიდრა ადგილი "იუვეს" ფანების გულებშიც და გუნდის ძირითად შემადგენლობაშიც, სადაც იგი ლეგენდარულ **ჯანლუკა ვიალის** შეუწყვილეს. ოდნავ მოგვიანებით ტიფოზებმა საჯარიმოს მარცხენა ნაწილს და მის მისადგომ ტერიტორიას "დელ პიეროს ზონა" შეარქვეს. იმიტომ, რომ ალექსი სწორედ მოედნის ამ ნაწილში ბატონობდა და სწორედ ამ ნაწილიდან ამწუხრებდა მეკარეებს.

1994 წლიდან "იუვენტუსის" ათნომრიანი მაისურა აცვია. ალექსი გუნდს იმდენად კარგად შეეწყო და ისე კარგად ათამაშდა, რომ ტურინული კლუბის ბოსებმა თავს უფლება მისცეს, ბაჯოსთვის კონტრაქტი აღარ გაეგრძელებინათ და მთელი იმედები მელანქოლიურ დელ პიეროზე დაემყარებინათ. *"ძალიან გთხოვთ, ნუ შემადარებთ ბაჯოს! ჯერ ერთი, რობი სულ სხვა ყაიდის მოთამაშეა და ესეც არ იყოს, ის გენიოსია, მე კი, შესაძლოა, ფეხბურთი ძალიან კარგად ვითამაშო, მაგრამ გენიოსი ალბათ ვერასდროს ვიქნები,"* - ამბობდა დელ პიერო, მაგრამ მას მაინც ადარებდნენ ბაჯოს. ყოველთვის ადარებდნენ.

დელ პიერო არასდროს ფეთქდება ისე, როგორც **ჯენარო გატუზო**, არც ისეთი მბრძანებლური აურა აქვს, როგორიც კანავაროს და არც ისეთი უტიფარი და ირონიული სახე, როგორიც ტოტის - მოედანზეც და მოედანს მიღმაც ალექსი სხვანაირია - მორიდებული, გულახდილი და მეგობრული. *"ნამდვილი კავალერი თავის ქალბატონს არასდროს მიატოვებს!"* - თქვა ალექსმა, როცა გადაწყდა, რომ სკანდალში გახვეული "იუვენტუსი" მინიმუმ სერია B-ში ითამაშებდა. არადა, ბევრი წავიდა - კავანარო, **ძამბროტა, ემერსონი, ტურამი, იბრაჰიმოვიჩი, ვიეირა**.

"სერია B არც ისე ცუდი ყოფილა, როგორიც აქამდე მეგონა. ისე, ხშირად აქ უფრო რთული შეხვედრები გვიწევს, ვიდრე სერია A-ში," - ამბობს "ქალბატონის" კაპიტანი. ასეცაა, გასვლითი შეხვედრების დროს ტრიბუნები ყოველთვის გადაჭედილია და სერია B-ს სტადიონებზე, "იუვენტუსთან" მატჩზე დასასწრები ბილეთები თვეებით ადრე იყიდება. მაგრამ ქვედა ლიგაში გატარებული თუნდაც ერთი წელი, "იუვეს" კალიბრის გუნდისთვის ფინანსურ ფიასკოს ნიშნავს. პრეზიდენტი **კობოლი ჯილი** სეზონის ბოლოს დაახლოებით 100-მილიონიან წაგებას ელის. შესაბამისად, დიდი შანსია, რომ "იუვენტუსს" **ჯანლუიჯი ბუფონის** გაყიდვა მოუხდეს. დელ პიეროს კი, მან უკვე შესთავაზა "კონტრაქტი ცხორების ბოლომდე". სწორედ ალექსისა და 34 წლის **პაველ ნედვედის** გარშემო უნდა აშენდეს ახალი "იუვენტუსი".

"ჩვენ ჩვენს ღმერთს ველით," - თქვა "იუვეს" საპატიო პრეზიდენტმა **ჯანი ანიელიმ** 1998 წელს, როცა ალექსი დამტვრეული იყო. სწორედ ანიელი ეძახდა მას "პინტურიკიოს". "დიდ პრეზიდენტს", როგორც მას "იუვენტუსის" გულშემატკივრები მოიხსენიებენ, ძალიან უყვარდა დელ პიეროს "გემრიელი სტილი". მაგრამ ზუსტად ისე, როგორც ფანების უდიდეს ნაწილს, ანიელისაც ჰქონდა პრეტენზიები ალექსის მიმართ. ამბობდა, ამ ბიჭმა უდიდესი, ღვთიური ტალანტი ქარს გაატანა, ზედმეტად მელანქოლიური, ლეთარგიული, მეგობრული და თავმდაბალია, ძალიან ცოტა სჭირდება იმისთვის, რომ დაკმაყოფილდესო. *"გაიღვიძე, ნუ გძინავს, ალექს!"* - ეწერა ხოლმე ტრანსფარანტზე, რომელიც "იუვეს" ფანებს "დელე ალპის" ტრიბუნაზე ჰქონდათ გამოკიდებული.

მიუხედავად ამისა, ის უკვე არის იტალიური ფეხბურთისა და განსაკუთრებით კი, "იუვენტუსის" ლეგენდა. "იუვესთვის" დელ პიერო ლეგენდაზე მეტიცაა, უფრო სიმბოლოა. 204 გოლით "ბებერი ქალბატონის" ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირია, უსწრებს რა "იუვეს" ექს-რეკორდსმენ **ჯამპიერო ბონიპერტის**. ცოტა ხნის წინათ ალექსის მშობლიურ კონელიანოში სტადიონს მისი სახელი უწოდეს.

ალბათ ხვდება, რომ მეტი შეეძლო, მაგრამ მიღწეულითაც კმაყოფილდება: *"სანდრო მაცოლასა და ჯანი რივერას გვერდით ალბათ, არავინ მომიხსენიებს, მაგრამ იმითაც ბედნიერი ვიქნები, თუ ის გულშემატკივრები, რომლებიც ჩემი თამაშის დროს ქომაგობდნენ "იუვენტუსს" ან იტალიის ნაკრებს, სიბერეში თავის შვილებსა და შვილიშვილებს ეტყვიან, რომ იყო ერთი კარგი ფეხბურთელი, გვარად დელ პიერო და მან იცოდა ფეხბურთის თამაში..."*

გოტფრიდ ლენცი

იუვენტუსი. ტრანსფერები

ჰაინცე კიელინის ნაცვლად

შაბათს, ბერლუსკონის თასზე "მილანი"-"იუვენტუსის" მატჩისას (3:2) ტურინელებს ორი ცენტრალური მცველი - **ჯორჯო კიელინი** და **ჟან ალენ ბუმსონგი** დაუშავდათ. კიელინიმ ექვსკვირიანი შვებულება გამოიწერა, ბუმსონგი - სამი-ოთხი კვირა დაისვენებს. საკადრო პრობლემებმა, ფაქტობრივად, გარდაუვალი გახადა იანვრის ფანჯრისას ახალი მოთამაშეების შეძენა.

მთავარი მწვრთნელი **დიდიე დეშამი** მანჩესტერელი **გაბრიელ ჰაინცეთი** დაინტერესდა. 28 წლის არგენტინელმა მუხლის ტრავმა მოიშუშა, მაგრამ ძირითადში დაბრუნებას ვეღარ ახერხებს. **სერ ალექს ფერგიუსონი** დაცვის მარცხენა ფლანგზე **პატრის ევრას** ათამაშებს. ჰაინცე უმეტესად თადარიგში გამწესებული. სპეკულაციების თანახმად, ფერგი კიდევ ერთი მარცხენა მცველის, საუთჰემპტონელი **გარეთ ბეილის** შეძენას აპირებს. ეს კი გაბრიელის პოზიციებს კიდევ უფრო შეასუსტებს. დეშამი: *"გაბის კარგად ვიცნობ. ის ორი წელი საფრანგეთში თამაშობდა. ჩემი აზრით, "მანჩესტერში" თავის პოზიციაზე არ ათამაშებენ. ის უფრო ცენტრალური მცველია და არა - მარცხენა. იმის გათვალისწინებით, თუ რამდენი მარცხენა მცველი ჰყავს "იუნაიტედს", წესით, ჩვენს წინადადებას ინტერესით უნდა გაეცნოს. ჰაინცეს კიდევ ერთი უპირატესობა აქვს - ის ევროკავშირის მოქალაქეა."*



გაბრიელ ჰაინცე

ზაფხულის ტრანსფერებისას "იუვენტუსი" აიაქსელ **ზდენეკ გრიგერასაც** შეეხმიანება. ჩეხ მცველს ამსტერდამული კონტრაქტი ზაფხულში ეწურება. ის თავისუფალი აგენტი ხდება. გრიგერას ტრანსფერზე გავლენის მოხდენა შეუძლია "იუვენტუსის" ჩეხ ლიდერ **პაველ ნედვედსაც**.

შესაძლო სამწვრთნელო გადაადგილება

მოურინიო: მორიგი გაჩერება მადრიდი?

რა შემთხვევაში შეიძლება აღმოჩნდეს არისტოკრატების დამრიგებელი სამეფო კლუბში...

მოგეხსენებათ, **რომან აბრამოვიჩმა ჟოზე მოურინიოს** სატრანსფერო ბიუჯეტი შეუმცირა. ინგლისური ტაბლოიდები არ გამორიცხავენ, ეს მოურინიოს ბოლო სატრანსფერო ფანჯარა აღმოჩნდეს ლონდონურ სამსახურში. ასეთ შემთხვევაში, მისი გემოვნებით ათეულობით მილიონის დახარჯვა მიზანშეუწონელი იქნებოდა. "სანის" ცნობით, დაახლოებით ერთი თვის წინანდელ შეხვედრაზე გადაწყდა, რომ აბრამოვიჩი კვლავაც სიამოვნებით შეიძენს ახალგაზრდა მოთამაშეებს - ისეთებს, როგორიც "მანჩესტერ სიტის" მარჯვენა მცველი **მიკა რიჩარდსია**. ყველა სხვა მოთამაშის ტრანსფერისთვის კი მოურინიოს ზედმეტი ფეხბურთელების გაყიდვა დასჭირდება.

მოურინიო და მისი სამწვრთნელო შტაბი

ჟოზეს სურვილი, თავიდან მოიშოროს **შონ რაიტ-ფილიპსი**, "ჩელსის" ახალი ფინანსური პოლიტიკის შედეგი უნდა იყოს. "სანი" გვაუწყებს, რომ "ვესტ ჰემი" "არისტოკრატებს" 9.8 მილიონიან ტრანსფერზე მოურიგდა (შედარებისთვის, 18 თვის წინ "მანჩესტერ სიტის" 21 მილიონი გირვანქა გადაუხადეს), მაგრამ ფეხბურთელმა პრემიერლიგის აუტსაიდერში გადასვლა კატეგორიულად იუარა.

მოურინიომ "ჩელსიში" მისვლის დღიდან 200 მილიონ გირვანქაზე მეტი დახარჯა. ბევრჯერ უთქვამთ, "არისტოკრატებმა" ორი საჩემპიონო ტიტული კი არ მოიგეს, იყიდესო. ჟოზე ბრალდებებს ყოველთვის კატეგორიულად უარყოფდა. ამიტომ, დღეს, როცა გუნდი კრიზისშია და ახალი ფეხბურთელებში ფულის დახარჯვასაც აღარავინ აპირებს, დროა, მწვრთნელმა სკეპტიკოსები გააჩუმოს.

ლონდონელთა აღმასრულებელი დირექტორი **პიტერ კენიონი** ამბობს, მართალია, ჩვენი სატურნირო მდგომარეობა იდეალური არ არის, მაგრამ მჯერა, გუნდს პრობლემების მოგვარება შეუძლიაო: *"ჩვენ რომ ექვსი ქულით წინ ვიყოთ, ბევრად უკეთესი იქნებოდა, მაგრამ ეს არ არის სეზონის ბოლო, "ჩელსის" საკმაოდ კარგი პოზიცია უჭირავს და ძლიერი შემადგენლობაც გააჩნია."*

მოურინიო "არისტოკრატების" ბოლოდროინდელ კრიზისს ორი ცენტრალური მცველის - **რობერტ ჰუთისა** და **ვილიამ გალასის** გაყიდვას აბრალებს. ჟოზემ ერთ-ერთ ინტერვიუში ისიც კი თქვა, მე მათი წასვლის წინააღმდეგი ვიყავიო. მწვრთნელის განცხადებამ "ჩელსის" ბოსები ძალიან გააკვირვა. ინგლისური ტაბლოიდები წერენ, სამწვრთნელო შტაბისა და ადმინისტრაციის ურთიერთობა დღითიდღე იძაბებაო.

პარალელურად, უფრო მწვავე კრიზისი მძვინვარებს "რეალში". არავის გაკვირვებია, როცა ესპანურ გაზეთების სპეკულაციების ახალმა ტალღამ გადაუარა - მოურინიო სამეფო კლუბში. გუშინდელმა "ასმა" მადრიდელებთან დაახლოებული პირის კომენტარი გამოაქვეყნა, რომელიც ამ თემას ეხება: *"თუ ჟოზე ლონდონიდან წავა, "რეალი" აუცილებლად მოისურვებს მასთან შეხვედრას. ის პირველი ნომერია სასურველი მწვრთნელების სიაში. სამეფო კლუბი მიიჩნევს, რომ ზაფხულში მისი ტრანსფერის ალბათობა საკმაოდ დიდი იქნება."*

გუშინდელ ნომერში მადრიდელთა კრიზისზე ვრცელი მასალა შემოგთავაზეთ. მხოლოდ შეგახსენებთ, რომ "რეალმა" პრიმერა დივიზიონის ბოლო ორი მატჩი პირწმინდად ჩააგდო, ხუთი გოლი გაუშვა და ვერც ერთი გაიტანა. ფაბიო კაპელოს გავლენა თვალსა და ხელშუა იკარგება. იმასაც კი ამბობენ, ფეხბურთელებს მისი მითითებები უკვე ფეხებზე კიდიათო.

დორტმუნდი. ახალი ამბები

პიენაარს უშვებენ!

ბორუსიამ მისი შემცვლელი შეიგულა

სტივ პიენაარი

დორტმუნდის "ბორუსია" მზადაა, **სტივენ პიენაარი** გაანათხოვროს ან გაყიდოს და თანაც ახლავე! ზაფხულში "აიაქსიდან" დიდი ზარ-ზეიმით ნაყიდმა ნახევარმცველმა იმედები ვერ გაამართლა და პირველი წრის მიწურულს მუდმივად BVB-ს წათადარიგოთა სკამზე იჯდა. არადა, პიენაარს ვესტფალიურ გუნდში წესით **ტომაშ როსიცკი** უნდა შეეცვალა, ფეხბურთელი, რომელმაც შარშან "არსენალს" მიაშურა. არცაა გასაკვირი, დორტმუნდელებმა სამხრეთაფრიკელი გამთამაშებლის თავიდან მოცილება რომ გადაწყვიტეს. *"პიენაარი ტრანსფერზე დავაყენეთ და თუ მას მთხოვნელი გამოუჩნდება, მზად ვართ, მოლაპარაკებები დავიწყოთ."* - აცხადებს "ბორუსიის" სპორტული დირექტორი **მიხაელ ცორკი**.

სამაგიეროდ, დორტმუნდელები პოლონეთის ნაკრების ახალგაზრდა ფლეიმეიქერით, 21 წლის **იაკუბ ბლაჟჩიკოვსკით** დაინტერესდნენ, რომელიც კრაკოვის "ვისლაში" თამაშობს. ცორკი: *"ბლაჟჩიკოვსკი ძალიან საინტერესო ფეხბურთელია და ჩვენ მას უკვე დიდი ხანია ვაკვირდებით. ეს არ არის ჭორი, დიახ, ჩვენ მისი შეძენა გვინდა, მაგრამ მოლაპარაკებები ჯერ არ დაგვიწყია."* როგორც გაირკვა, "ვისლა" ახალგაზრდა ნახევარმცველის სანაცვლოდ 3 მილიონ ევროს ითხოვს. იტალიური "კორიერე დელო სპორტის" ცნობით, ამ ფეხბურთელის გადაბირება რომის "ლაციოსაც" უნდა.

დიდი აღიარება

შვაინი: ფეხბურთი სექსზე მეტია

გასტიან შვაინშტაიგერი გერმანიაში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ფეხბურთელია. მართალია, გამაოგნებელი გარეგნობით ვერ დაიკვეხნის, მაგრამ მდედრობითი სქესის წარმომადგენელს მაინც ძალიან მოსწონთ. მეტიც, ბევრისთვის შვაინი სექსსიმბოლოც კი არის. მაგრამ თვითონ ფეხბურთელისთვის სექსი მეორეხარისხოვანი ყოფილა. ჟურნალმა "ბრავომ" გამოაქვეყნა ინტერვიუ, სადაც შვაინი ამბობს, ჩემთვის ფეხბურთი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სექსი და გოლების გატანით უფრო დიდ სიამოვნებას ვიღებ, ვიდრე ორგაზმითო.

"როცა კარში დარტყმის შემდეგ ბადე ირხევა, ეს შეუდარებელი გრძნობაა. არც კი ვიცი, როგორ აგიღწეროთ. მთელ ტანში ჟრუანტელი მივლის და ჭკუიდან ვიშლები ხოლმე. იმისათვის, რომ გოლი გავიტანო, ყველაფერს გავაკეთებ, სექსისთვის კი ყველაფერს ნამდვილად არ გავაკეთებ," - ამბობს შვაინი და სიცილით ამატებს, - *"თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ იმპოტენტი ვარ. ძალიან მომწონს მსახიობები კეირა ნაითლი და ჯესიკა ალბა. მომწონს, როცა გოგოს ვიწრო ჯინსი და მაღალი ფეხსაცმელები აცვია. ისე, რომანტიკოსი ნამდვილად არ ვარ, ამისათვის ზედმეტად მხიარული გახლავართ."* შეგახსენებთ, რომ შვაინის ჰყავს მეგობარი გოგონა, რომელსაც **დანიელა** ჰქვია...

ფული და ფეხბურთი

ჩელსის აზიური ამბიცია

სამხრეთი კორეის შემდეგ ჩინეთი და ინდოეთი...

კენიონი ჩინურ პრეზენტაციაზე

"ჩელსის" ჩინეთის ბაზარზე დიდი გეგმები აქვს. ორშაბათს "არისტოკრატებმა" ამ ქვეყნის წარმომადგენლებთან პირველი კონტრაქტი გააფორმეს, მაგრამ იქაური ფეხბურთელის ყიდვას ჯერ არ გეგმავენ. ჩინეთში ჯერ არ გამოჩენილა **იაო მინის** საფეხბურთო ვერსია. გიგანტი კალათბურთელი, რომელიც "ჰიუსტონ როკეტსის" ღირსებას იცავს და "ჩინეთის დიდ კედელს" უწოდებენ, საკუთარ სამშობლოში NBA-ს კომერციული წარმატების უმთავრესი მიზეზია. ანალოგიურ ფუნქციას შეიძენს ჩინელი ფეხბურთელი, რომელიც ევროპულ გრანდთან გააფორმებს კონტრაქტს, მაგრამ პრემიერლიგაში ჯერ მხოლოდ ერთმა ჩინელმა გამოიჩინა თავი - "მანჩესტერ სიტის" მცველმა **სუნმა**. ჩინეთის ნაკრების კაპიტანი **ჟენგ ჟი** კი მხოლოდ ერთი კვირის წინ ჩაირიცხა "ჩარლტონში".

ორშაბათს "ჩელსიმ" ხელი მოაწერა შეთანხმებას ჩინეთის უმსხვილეს ინტერნეტპორტალ Sina.com-თან. ის პირველი ინგლისური კლუბი ხდება, რომელსაც ჩინურ ენაზე ოფიციალური ვებგვერდი ექნება, თანაც ამ გვერდს - www.chelsea.sina.com.cn - ჩინელი სპეციალისტები საკუთარ ქვეყანაში დაამზადებენ. მასზე მკითხველი გაეცნობა "არისტოკრატების" ორიგინალური ვებგვერდიდან ნათარგმნ სტატიებს, აგრეთვე ჩინური ბაზრისათვის განკუთვნილ სპეციფიკურ მასალებს. "ჩელსი" ჩინეთში საზაფხულო საწვრთნელ ბანაკებს მოაწყობს, ადგილობრივ სკოლებში გამოცდილ სპეციალისტებს მიავლენს, ხოლო ჩინეთის 23-წლამდელთა ნაკრებს კობემის ბაზაზე, ლონდონში დაპატიჟებს.

"არისტოკრატების" აზიური ექსპანსია ამით არ ამოიწურება. მათი მორიგი სამიზნეა ინდოეთი, სადაც ფეხბურთზე მეტად კრიკეტსა და ბალახის ჰოკეის თამაშობენ. "ჩელსის" წარმომადგენლობითმა დელეგაციამ ინდოეთში ათი დღე დაყო და პოტენციურ პარტნიორებთან ნაყოფიერი შეხვედრები ჩაატარა. გადანყვეტილია, სახელგანთქმული "ბოლივუდი" გადაიღებს ფილმს, რომელშიც პოპულარული მსახიობები "ჩელსის" ფანების როლში იქნებიან.

დასასრულს შეგახსენებთ, რომ 2004 წელს ლონდონელთა აღმასრულებელმა დირექტორმა **პიტერ კენიონმა** წამოიწყო პროექტი, რომელიც 10 წლის განმავლობაში "ჩელსის" ყველაზე ცნობად საფეხბურთო ბრენდად გადაქცევას ითვალისწინებს. პროექტის წარმატებაში დიდი როლი ეკისრება აზიურ ბაზარზე ფეხის მოკიდებას. მისი ნაწილი იყო 2005 წლის ზაფხულში სამხრეთკორეულ გიგანტ "სამსუნგთან" მრავალმილიონიანი სპონსორული შეთანხმების გაფორმება.

ინტერვიუ პრედრაგ მიატოვიჩთან

კაპელოს გაშვება აზრადაც არ გაგვივლია

გენერალური დირექტორი დელ ბოსკეს დაბრუნების შესაძლებლობას კატეგორიულად გამორიცხავს, მისი თქმით, ხელმძღვანელობა კაპელოს უსიტყვოდ ენდობა, თუმცა კულუარებში საწინააღმდეგო საუბრები დაიწყო...

პრეზიდენტი რამონ კალდერონი და მისი მარჯვენა ხელი პედია მიატოვიჩი

"რეალის" კრიზისის შესახებ "ლელოს" გუშინდელ ნომერში ვრცელი მასალა შემოგთავაზეთ. ვინც იმ პუბლიკაციას გაეცნო, ეცოდინება, რომ "დეპორტივოსთან" განცდილი მარცხით განრისხებულმა რამონ კალდერონმა ფაბიო კაპელო საკუთარ კაბინეტში დაიბარა. შეხვედრას პრედრაგ მიატოვიჩიც ესწრებოდა. კრების დასრულების შემდეგ პრეზიდენტს სიტყვაც არ დაუძრავს. გენერალურმა დირექტორმა კი ჟურნალისტები ერთი წინადადებით ჩამოიცილა, საგანგაშო არაფერი ხდებაო. ბუნებრივია, ჩვენი კოლეგები მიატოვიჩთან გასაუბრების გარეშე ვერ მოისვენებდნენ. საგანგებო პრესკონფერენცია გუშინ გაიმართა. ჟურნალისტებმა ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ რესპონდენტისგან ინფორმაციები დაეცინცლათ. თუ რამდენად შეძლეს დასახული ამოცანის გადაჭრა, თავად შეგიძლიათ განსაჯოთ.

- როგორ ფიქრობთ, კაპელოსთან დაუგეგმავმა შეხვედრამ შედეგი გამოიღო?

- რა თქმა უნდა. პრეზიდენტი და გენერალური დირექტორი მთავარ მწვრთნელს შეხვდნენ. ეს უკვე პოზიტიური მოვლენაა. მოუცლელობის გამო ხშირად საუბარს ვერ ვახერხებთ. ახლა კი სამივე ერთად შევიკრიბეთ. აბსოლუტურად ყველა პრობლემა განვიხილეთ. რებუსებისა და გამოცანების გარეშე ვსაუბრობდით. შევთანხმდით, რომ სირთულეები დროის უმცირეს მონაკვეთში უნდა მოგვარდეს. გარედან შესაძლოა ისე ჩანდეს, თითქოს "რეალი" უმწვავესმა კრიზისმა მოიცვა, მაგრამ მერწმუნეთ, ეს ასე არ არის. "რეალი" ცოცხალია და ამას კიდევ არაერთხელ დავამტკიცებთ. შესანიშნავი შანსი გვაქვს, რომ ერთბაშად სამ ტიტულს დავეუფლოთ. ბუნებრივია, სამეფო თასზე, პრიმერა დივიზიონსა და ჩემპიონთა ლიგაზე ვსაუბრობ.

- მაინც, როდისთვის უნდა ველოდოთ პროგრესის ტალღას?

- მე და კაპელომ ბევრი ვიფიქრეთ, ვიმსჯელეთ, სიტუაციაც გავაანალიზეთ და დავასკვენით, რომ თვის ბოლოსთვის სიტუაცია რადიკალურად შეიცვლება. ეს ცვლილებები, რა თქმა უნდა, უკეთესობისკენ იქნება მიმართული. სამწუხაროდ, ციაენტოტში ვართ. უკვე საკმაოდ ბევრი ქულა დავკარგეთ და უკან დასახევი გზა აღარ დაგვრჩა. მნიშვნელობა არ აქვს, "ბერნაბეუზე" ვითამაშებთ თუ სტუმრად. ნებისმიერ თამაშში სამი ქულა უნდა მოვიპოვოთ.

- ასეა თუ ისე, "რეალი" ამაზრზენად გამოიყურება. დიახ, არაფერს ვაჭარბებ, ამაზრზენად. სჯობს, ნუ შემეკამათებით, რადგან საპირისპიროს ვერ დამიმტკიცებთ. ამ სიტუაციაში კარგი იქნება, თუ დამნაშავეს გამოავლენთ. თქვენი აზრით, კრიზისი ვისი ბრალია?

- ალბათ, გსურთ, მხოლოდ ერთ კაცს დავადო ხელი და ყველაფერი მას დავაბრალო. იმედები უნდა გაგიცრუოთ. ჩემი აზრით, ბრალი ყველას მიგვიძღვის.

- ყველას ვის?

- მე, ფეხბურთელებს, მწვრთნელს, პრეზიდენტს. სამწუხაროდ, რამდენიმე თვეში წლების განმავლობაში დაგროვილი პრობლემები ვერ გადავჭერით. ობიექტური ადამიანი დამეთანხმება, რომ მრავალი სირთულე მოვაგვარეთ, თუმცა გასაკეთებელი ჯერაც ძალიან ბევრია. ვფიქრობ, ახლა პასუხისმგებელი პირი არ უნდა ვეძიოთ. უკეთესი იქნება, თუ დროს არ დავკარგავთ, ერთ მუშტად შევიკვრებით და საერთო ძალისხმევით ფონს გავალთ. კალდერონი, კაპელო და მიატოვიჩი ძალიან ბევრს ფიქრობენ. შეიძლება ითქვას, რომ ღამეებს ვათენებთ. საკმაოდ საინტერესო იდეები გვაქვს. თუმცა, ახლა მათ ვერ გაგიმხელთ.

- როგორც გავიგეთ, კაპელო ნანობს, რომ მეტისმეტად ბევრ კომპრომისზე წავიდა...

- ვერაფერს გეტყვით, ამის შესახებ არ გვისაუბრია. ერთი რამ უდავოა - გუნდში გარკვეული წესები უნდა არსებობდეს, მწვრთნელი კი მის შესრულებაზე ზრუნავდეს. არ ვიცი კომპრომისში რა იგულისხმება. ძნელია, მუდმივად სწორ ხაზზე იარო. ზოგჯერ გადახვევაც მოგიწევს, მაგრამ მთავარია, კალაპოტს დაუბრუნდე.

- სამეულის შეხვედრის დეტალებს არ გაგვიმხელთ?

- უკვე გითხარით, რომ საჭირბოროტო საკითხებზე ვისაუბრეთ. ლუდის დასალევად არ შევკრებილვართ. სხვას ვერაფერს გეტყვით.

- სიმართლე ფეხბურთელებს მაინც თუ გაუმხილეთ?

- ისინი პროფესიონალები არიან და ჩვენს გარეშეც იციან, რა ხდება. ფეხბურთელთა ერთი ნაწილი მრავალი წელია რაც "რეალში" თამაშობს და სხვებზე მეტი მოვალეობები აქვთ. "ხეტაფესთან" განცდილი კრახის შემდეგ ბიჭებს პირადად შევხვდი და პირში მივახალე, რომ სამარცხვინოდ ითამაშეს. პროტესტი არავის გამოუთქვამს, ყველა უსიტყვოდ დამეთანხმა. თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ იმ წამის შემდეგ ფეხბურთელებმა ჩვენი პროექტის ყველა ნიუანსი გააცნობიერეს.

- გააცნობიერეს და შემდეგ "რეკრეატივოსთან" თავი მოიჭრეს. მათ ესეც არ იკმარეს და ახალი წლის პირველივე ორთაბრძოლაში "დეპორტივოსთან" დამარცხდნენ. პროექტის გაცნობიერებას ამას უწოდებთ?

- არა, "რეკრეატივოსა" და "დეპორტთან" წაგებას ქულების დაკარგვა ჰქვია. პროექტის გაცნობიერება კი ხელმძღვანელობის მიერ დასახული ამოცანების გასიგრძეგანებაა. ოდნავ დემაგოგიურად გამოგივიდათ, მაგრამ არაუშავს. როცა ემოციები ზღვარზეა, სისულელეებსაც ვამბობთ ხოლმე.

- რობინიოსთან დაკავშირებით ათასგვარი ჭორი ვრცელდება. ითქვა, ბრაზილიელმა ანტონიო კასანოს სოლიდარობა გამოუცხადა და კაპელოს დაუპირისპირდაო. მეორე ვერსიით, მან ორდღიანი ლოთობა მოაწყო და 2007 წლის პირველი ვარჯიში საშინლად ჩაატარა.

- ასეთი ჭორები "რეალს" უდიდეს ზიანს აყენებს. კაპელომ ტექნიკური მოტივებით მარტივი გადაწყვეტილება მიიღო. მან რობინიო ვარჯიშიდან გააძარა. ეს ფაქტი ბევრ ეჭვს ბადებს. ეს ფაქტი ბევრ ეჭვს ბადებს. ეს ფაქტი ბევრ ეჭვს ბადებს

ინტერვიუ ლუის არაგონესთან

ვინც ამტკიცებს, რომ ევროპის ჩემპიონატზე ვერ გავალთ, დივერსანტი ან იდიოტია

ესპანელთა მთავარმა მწვრთნელმა ფიფას გამოკითხვაში სამუელ ეტოოს მისცა ხმა, კანავარო მას სამეულშიც არ შეუყვანია, თუმცა იტალიელს ღირსეულ გამარჯვებულად მიიჩნევს...

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ესპანელი გულშემატკივრებისთვის "სელექსიონი" წლის ყველაზე დიდ იმედგაცრუებად იქცა. ლუის არაგონესის გუნდმა, ფაქტობრივად, ყველაფერი წააგო, რისი წაგებაც შეიძლებოდა. პრობლემები ჩაფლავებული მუნდიალის შემდეგაც არ დასრულებულა. ეროვნულმა გუნდმა 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის რამდენიმე მატჩიც ჩააგდო. შეიძლება ისე მოხდეს, რომ ესპანელებმა კონტინენტის პირველობაზე ვერ იასპარეზონ. მოკლედ, არაგონესსა და მის ბიჭებს თავსატეხი არ ელევათ. გუშინ "დიარიო ასის" კორესპონდენტი ქვეყნის მთავარი გუნდის დამრიგებელს შეხვდა და ვრცელი ინტერვიუ ჩამოართვა.



ლუის არაგონესი

- სიმართლე გითხრათ, ფიფას ღონისძიებაზე თქვენი ხილვა ძალიან გამიკვირდა...

- თქვენ კი არა, მეც გაოცებული დავრჩი, მაგრამ ფიფამ წერილი გამოგვიგზავნა, რომლითაც გვაუწყებდა, რომ ბრაზილიელებთან ერთად განვლილი მუნდიალის ფეარ ფლეის პრიზი მოვიპოვეთ. ესეც ფეხბურთის შემადგენელი ნაწილია, რადგან ამ ტიტულით დავამტკიცეთ, რომ თამაშის შემტევ და სუფთა სტილს მივსდევთ.

- ანუ, იმის თქმა გსურთ, რომ გერმანიის მუნდიალზე მომხდარი ფაქტები კარგად გააანალიზეთ, დაასკვნინთ, რომ შეცდომები დაუშვით და მსოფლმხედველობა შეიცვალეთ?

- სისულელეა! რატომ ივიწყებთ, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე საფრანგეთთან დავმარცხდით. საფინალო სასტვენამდე 10 წუთით ადრე კი საყაიმო ანგარიში გახლდათ. ესპანეთის ეროვნულ გუნდში მსოფლმხედველობა არავის შეუცვლია. იცით რატომ? იმიტომ, რომ ფეხბურთში ყველას ერთნაირი მსოფლმხედველობა აქვს: გამარჯვება, გამარჯვება და კიდევ ერთხელ გამარჯვება.

- ეს-ესაა თავმომწონედ აღნიშნეთ, რომ ფიფამ შემტევი და სუფთა ფეხბურთის გამო დაგაჯილდოვათ. პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტული კი მცველმა კანავარომ მოიპოვა...

- შესანიშნავია და საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. კანავარომ ეს აღიარება ნამდვილად დიმსახურა. ჩემთვის მისი მისამართით გამოთქმული კრიტიკა აბსოლუტურად გაუგებარია. მასმედიელებს თავიანთი პოზიცია და შეხედულებები აქვთ. გასაგებია, რომ პრესის მოტივაცია ტირაჟის სისტემატური მატებაა, მაგრამ ისიც არ შეიძლება, რომ ყოველგვარ ზღვარს გადავაჭარბოთ. კანავაროს ისე აგინებენ, თითქოს ფეხბურთელი საერთოდ არ იყოს. კარგით, რა, როგორ არ გრცხვენიათ?! ფაბიომ იტალიის გაჩემპიონებაში უდიდესი წვლილი შეიტანა.

- თქვენ შემტევი ყაიდის ნახევარმცველი იყავით. გულწრფელად მიპასუხეთ, არ გერჩივნათ წლის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტული იმ მოთამაშისთვის მიეცათ, რომელიც მთელ ენერგიას შეტევას ახმარს?

- მოდით, ასე ნუ დავწვრილმანდებით. ფეხბურთელობისას წინ წასვლა და გოლის გატანა ძალიან მიყვარდა, მაგრამ თავს მშვიდად მხოლოდ მაშინ ვგრძნობდი, როცა ზურგი გამაგრებული მქონდა. ჩემი აზრით, კანავაროს დაცვაში ბადალი არ ჰყავს. ის ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო უკანახაზელია. თქვენ გგონიათ, საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ზრუნვა დანაშაულია? სულაც არა. ჩემი აზრით, ძლიერი მცველის ეფექტური თამაში საფეხბურთო სპექტაკლის ერთ-ერთი ფუნდამენტური ნაწილია. ჩვენ ხომ პროფესიულ ფეხბურთზე ვსაუბრობთ. ქუჩაში თამაშისას ბევრი გოლი ყოველთვის სასიხარულოა, მაგრამ პროფესიულ ასპარეზზე გოლების ნვიმა დაუშვებელია. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს აქსიომის დამტკიცებას ვცდილობთ.

- თქვენ ვის მიეცით ხმა?

- სამუელ ეტოოს, ტიერი ანრისა და რონალდინიოს.

- და ამ დროს კანავაროზე ამდენს გვესაუბრებოდით?

- ეტოო ჩემი მეგობარია და გული მწყდება, რომ აქამდე არ დააფასეს. სწორედ სამუელის დამსახურებაა, რომ "ბარსელონამ" გასულ სეზონში ფენომენალურ წარმატებებს მიაღწია. სამწუხაროდ, კამერუნის ნაკრები მუნდიალზე ვერ გავიდა და ჩემს უსაყვარლეს მეგობარს გერმანიაში ასპარეზობის საშუალება არ მიეცა. განა ეს მისი დანაშაულია? მერწმუნეთ, სამუელი მსოფლიო ჩემპიონატზე რომ მოხვედრილიყო, ყველას გააოცებდა. მეორე ნომრად ტიერი ანრი დავასახელე, რადგან ის თვით მშვენიერებაა. ფრანგი ფორვარდი შეტევაში საოცრებებს ჩადის. თამაშს სწორად კითხულობს და გუნდის ინტერესებზე მაღლა საკუთარ ამბიციებს არასოდეს აყენებს. რაც შეეხება რონალდინიოს, ის ყოველთვის საუკეთესოთა შორის უნდა იყოს. გაუჩოს მსოფლიო პირველობაზე ფეხი აუცდა და კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხურიდან დროებით ჩამოვარდა. ბრაზილიელი გენიოსია და მასზე ახალს ვერაფერს ვიტყვი.

- "ბარსელონამ" საკლუბო მუნდიალი წააგო. გაოცებული დარჩით?

- თამაშის დღეს ბარსელონაში ვიყავი. კატალონიური გრანდის ხელმძღვანელობამ 2 ათასი ბავშკისთვის საქველმოქმედო ღონისძიება მოაწყო. ერთ-ერთი ასაკოვანი სოსიო გამომელაპარაკა და მას ვუთხარი, რომ "ბარსას" ბრაზილიელების დამარცხება ძალიან გაუჭირდებოდა. მან, რა თმა უნდა, არ დამიჯერა, მაგრამ შემდეგ გაირკვა, რომ მართალი მე ვიყავი. ვფიქრობ, თქვენს კითხვას ამომწურავად გავეცი პასუხი.

-"რეალი" თუ მოგწონთ?

- სანახაობრივი თვალსაზრისით მადრიდელები წელსაც ვერ ბრწყინავენ, მაგრამ მთლიანობაში გუნდი აშკარად გაიზარდა. ფეხბურთელები ახლა უფრო გონივრულად თამაშობენ.

- ვატყობ, კაპელოთი მოხიბლული ხართ.

- ზოგჯერ როცა მისი მისამართით გამოთქმულ კრიტიკას ვკითხულობ, თავში ხელებს ვიცემ. გულწრფელად არ მესმის, ესა თუ ის მიმომხილველი რა მოტივებით ხელმძღვანელობს. მათ უნდა ახსოვდეთ, რომ ფაბიომ ყველაფერი მოიგო, რისი მოგებაც შეიძლებოდა. კარგით, ბატონო, წერონ კრიტიკული სტატიები, მაგრამ თავად შერცხვებიან, რადგან კაპელოს მთელი მსოფლიო იცნობს და ამ ზღაპრებს არავინ დაიჯერებს. იტალიელი მხოლოდ და მხოლოდ რამდენიმე თვეა "რეალში" მუშაობს, მაგრამ სერიოზულ წარმატებას მიაღწია. მისმა შეგირდებმა უკვე დაამტკიცეს, რომ საკუთარი შესაძლებლობების რწმენა დაიბრუნეს და მენტალური მდგომარეობაც გაიუმჯობესეს. მერწმუნეთ, ასეთი შედეგის მიღწევას ზოგჯერ წლებიც არ ჰყოფნის.

- გაზაფხულზე დანიის ნაკრებთან გადამწყვეტი ორთაბრძოლის გამართვა გვინევს. რაული ისევ კაპიტანად მოგვევლინება?

- თუ ფორმაში იქნება, შესაძლოა, მართლაც მოირგოს კაპიტნის სამკლავური. რატომაც არა?!

- გწამთ, რომ ესპანეთი ევრო 2008-ის დასკვნით ეტაპზე გავა?

- ჩვენ აუცილებლად ვითამაშებთ ევროპის ჩემპიონატზე. ვინც ახლა საპირისპიროს ამტკიცებს ან დივერსანტია, ან უბრალო იდიოტი. მართალია, მრავალი ქულა დავკარგეთ და მდგომარეობა გავირთულეთ, მაგრამ ვერავინ იტყვის, რომ საგზურის მოპოვების შანსი აღარ გვაქვს.

- როგორ ფიქრობთ, ესპანეთმაც ისევე უნდა ითამაშოს, როგორც საბერძნეთმა და იტალიამ?

- არ მგონია, სხვა გუნდების მოდელების კოპირება წარმატების წინაპირობა იყოს. ჩვენ საკუთარ გზას უნდა მივაგნოთ და ყველაფერი გავაკეთოთ იმისთვის, რომ ეფექტური სამოქმედო გეგმა შევადგინოთ.

- ხუანდე რამოსი ახალი ესპანური ფეხბურთის სახეა?

- არ ვიცი, ეს რამდენად სწორი შეფასებაა, თუმცა, უდავოა, რომ "სევილია" გამართული მანქანასავით მოქმედებს. არ გამიკვირდება, თუ ანდალუსიელები ესპანეთის ჩემპიონები გახდებიან.

- რაულს რას ერჩით?

- არაფერს... როგორც ჩანს, თავად მერჩით და გსურთ თავგზა ამიბნიოთ.

ილია ნიკოლაიშვილი

ბურამმა მარსელი უარყო

ლილიან ტურამმა "მარსელში" ტრანსფერის ალბათობა კატეგორიულად გამორიცხა. სპეკულაციების თანახმად, ფრანგი ქალბატონი მაინ იფიქრებდა "ბარსელონის" თადარიგში ჯდომით და ახალ სამსახურს ეძებს. ფრანგულმა გაზეთებმა ოლანდიელ პარაკეტების დაწყების შესახებაც გვაუწყეს, მაგრამ ტურამმა ინფორმაცია უარყო: *"ბარსელონითაც" ძალიან კმაყოფილი ვარ. რა თქმა უნდა, არაერთს კამერიერსა არ შეიძლება, მაგრამ ჩემი ტრანსფერის საკითხი დღის წესრიგში საერთოდ დამდგარა. ამიტომ თუ "ოლიმპიკის" პრეზიდენტი დამირეკავს, ზუსტად ამას ვეტყვი."*

ლაუდრუპები: ბარსა თუ რეალი?

"ბარსელონამ" **მიხაელ ლაუდრუპის** შვილები - **მადსი** (17) და **ანდრეასი** (16) სინჯებზე მიიწვია. ლაუდრუპი-უფროსს კატალონიელთა შემადგენლობაში ზედიზედ ოთხი საჩემპიონო ტიტული აქვს მოგებული, ხოლო 1992 წელს ჩემპიონთა თასიც დაისაკუთრა. მისი ვაჟები "კოპენჰაგენისა" და "ლინგბიუს" ახალგაზრდულ გუნდებში ასპარეზობენ. ისინი შემტევი ნახევარმცველები არიან და დიდ იმედს იძლევიან. სე ზონის დასაწყისში მადს ლაუდრუპის აყვანა "აიაქსს" სურდა, მაგრამ შეთანხმება არ შედგა. ახლა ბარსელონელთა ჯერია. მიხაელის ვაჟებით "რეალიც" დაინტერესდა. არაა გამორიცხული, ესპანურმა გრანდებმა სატრანსფერო ომი გააჩაღონ.

ფერნანდესი ტრანსფერებს არ გეგმავს

"ბეტისის" ახალი თავკაცი **ლუის ფერნანდესი** ფეხბურთელების შეძენას არ აპირებს. გასულ უქმეებზე მისი გუნდი ვიგოს "სელტას" შეხვდა და 1:0 გაიმარჯვა. **რაფაელ სობისის** გოლმა სევილიელები უსაფრთხო ზონას მიაახლოვა. ფერნანდესი: *"კმაყოფილი ვარ იმ შემადგენლობით, რომელიც დამხვდა. ამ ჯგუფთან ინტენსიურ მუშაობას გავაგრძელებ. ვსარგებლობ შემთხვევით და მადლობას ვუხდი ჩემს წინამორბედ ხავიერ ირურეტას, რომელმაც ფეხბურთელები ფიზიკურად შესანიშნავად მოამზადა."* მოსიე ლუისი მორიგ მატჩს ხვალ, ესპანეთის თასზე გამართავს. "ბეტისის" მეტოქე კრიზისით მოცული მადრიდის "რეალი" იქნება.

სმერტინი ლონდონში ბრუნდება

მოსკოვის "დინამომ" **ალექსი სმერტინის** გაყიდვა გადაწყვიტა. კლუბმა მიზანშეუწონლად ჩათვალა ფეხბურთელისთვის წლიურად 2 მილიონი ევროს გადახდა. რუსეთის ნაკრების ყოფილ კაპიტანზე პრეტენზიას აცხადებს "ვესტ ჰემი". ის მზადაა, მოსკოვურ კლუბს კომპენსაციის სახით 1 მილიონი გირვანქა გადაუხადოს - ზუსტად იმდენი, რამდენიც ერთი წლის წინ "დინამომ" "ჩარლტონს" მიუთვალა.

დაუნდობელი ბასკური ჩხუბი

"სოსიედადის" საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა საინტერესო ინფორმაცია გაავრცელა. რამდენიმე კვირის წინ გუნდის ვარჯიშზე **ხუანიტომ** და **როსატომ** სერიოზულად იჩხუბეს. მუშტიკრივი იმდენად დაუნდობელი და სასტიკი გახლდათ, რომ მათი გაშველება ვერავინ შეძლო. შედეგად, ხუანიტოს ცხვირი გაუტყდა, როსატოს კი ყბის ძვალი. ბასკური კლუბის ხელმძღვანელობამ ინციდენტი უმკაცრესად შეაფასა და საკუთარი ფეხბურთელები სამაგალითოდ დასაჯა. ორივე მათგანს ორი კვირის ხელფასი დაექვითება. ფაქტის გამეორების შემთხვევაში კი ტრანსფერზე დაყენება არ ასცდებათ.

ლაუთი შტუტგარტში?

იმ შემთხვევაში, თუ **იონ დალ ტომასონი** "შტუტგარტიდან" წავა, შვაბები "ჰამბურგის" ფორვარდ **ბენიამინ ლაუთს** გადაიბირებენ. მოგეხსენებათ, რომ დიდი შანსია, ტომასონმა VFB დატოვოს, რადგან გუნდის მთავარი მწვრთნელი **არმინ ფეჰი** მას ძალიან იშვიათად ენდობა. ტომასონი მყარად დამკვიდრდა სათადარიგოთა სკამზე, რის გამოც მას სასწრაფოდ გუნდის გამოცვლა უნდა. როგორც ცნობილია, ტომასონს "ტორინო" ეპატრონება. იმავე მდგომარეობაშია ლაუთიც. ერთ დროს უნიჭიერეს გერმანელ ფორვარდს HSV-ს დამრიგებელი **თომას დოლი** არანაირ მნიშვნელობას აღარ ანიჭებს. ლაუთი დოლისთვის, ფაქტობრივად, არ არსებობს. "შტუტგარტის" მენეჯერი **ჰორსტ ჰელდტი** ამბობს, რომ ლაუთის თაობაზე უკვე ესაუბრა "ჰამბურგის" შეფ **დიტმარ ბაიერსდორფერს** და მასთან წინასწარ შეთანხმებასაც მიაღწია.

ჰამბურგმა ირანი დაამარცხა

დუბაიში მყოფმა "ჰამბურგმა" 2007 წელს პირველი შეხვედრა ჩაატარა და ირანის ეროვნულ ნაკრებთან ტესტმატჩი 2:1 მოიგო. HSV-დან გოლები **პაულო გერერომ** და **ბესარტ ბერიშამ** გაიტანეს. აღსანიშნავია, რომ გუნდის ახალწვეულმა **ფრანკ როსტმა** თავიდან ბოლომდე ითამაშა და ჰამბურგელთა კარი საიმედოდ დაიცვა. მართალია, "შალკეს" ექსმეკარემ გოლი გაუშვა (**ხატიბი**, 65-ე წუთზე), სამაგიეროდ დოლის გუნდი რამდენჯერმე გადაარჩინა გაშვებული გოლს.

ამასობაში, "ჰამბურგის" არგენტინელმა მცველმა **ხუან პაბლო სორინმა** "შპორტ-ბილდს" ინტერვიუ მისცა, რომელშიც ის დოლს სრულ მხარდაჭერას უცხადებს. *"ძალიან გამიხარდა, როცა ხელმძღვანელებმა თომასის გათავისუფლება გადაიფიქრეს და პოსტზე დატოვეს. გუნდის კრიზისი დოლის ბრალი არაა, პირიქით, მან ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ პირველი წრე სხვანაირად, გაცილებით უკეთ ჩაგვეტარებინა. შესანიშნავი მწვრთნელია და მე მას ვენდობი."* - ამბობს სორინი, რომელიც ჯერ ისევ ტრავმირებულია და საკარაუდოდ, მეორე წრის პირველ მატჩსაც (ბილეფელდში) გამოტოვებს.

სევილია

ლუიშ ფაბიანოს ცოდვა მოინანია

"სარაგოსისა" და "სევილიის" დაპირისპირება სამარცხვინო ფაქტით დასრულდა. საფინალო სასტვენის შემდეგ ემოციებით დახუნძლულმა **ლუიშ ფაბიანუმ** ნერვები ვერ მოთოკა და **კარლოს დიოგოს** სახეში მუშტი უთავაზა. ვალში ურუგვაელიც არ დარჩა და "ლა რომარედაზე" გემრიელი ჩხუბი გაიმართა. მსაჯმა ორივე მათგანს წითელი ბარათი აუფრიალა. უახლოეს დღეებში ესპანეთის ფეხბურთის სამეფო ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტი ამ ინციდენტს განიხილავს. მიმომხილველები ვარაუდობენ, რომ დიოგოს სამმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასჯიან, ფაბიანუს კი მინიმუმ ექვს შეხვედრაში აუკრძალავენ მონაწილეობას.

სადისციპლინო კომიტეტის შეკრებამდე ლუიშ ფაბიანუმ დრო იხელთა და საზოგადოებას გულის ამაჩუყებელი განცხადებით მიმართა: *"ასეთი რამ არასოდეს მომსვლია. უპირველეს ყოვლისა, მსურს, მთელ "სევილიას" ბოდიში მოვუხადო. ვაცნობიერებ, რომ კლუბი შევარცხვინე. კარლოს დიოგომ სიტყვიერი შეურაცხყოფა მომაყენა. სამწუხაროდ, განრისხებას ვერ გავუმკლავდი და არასპორტული საქციელი ჩავიდინე. საკუთარი თავის მრცხვენია. მეორე დღეს ჩემი შვილი ახალ ამბებს უყურებდა და როცა მოჩხუბარი დამინახა, ტირილი დაიწყო. შემდეგ კი მითხრა, მამიკო, ეს რა საშინელება გაგიკეთებიაო. გულს ყველაზე მეტად სწორედ ეს მტკენს. გულწრფელად გეტყვით, რომ ქუჩაში გასვლისაც კი მრცხვენია. თანაგუნდელებს, მწვრთნელებს, დირექტორატის წევრებსა და გულშემატკივრებს ბოდიშს ვუხდი. იმედია, მაპატიებენ. ასე ცუდად აღარასოდეს მოვიქცევი."*

მიმომხილველები დარწმუნებულნი არიან, რომ ფაბიანუმ ეს განცხადება სადისციპლინო კომიტეტის წევრების მოსათაფლად გააკეთა, თუმცა ძნელი წარმოსადგენია, მონანიებამ გადაწყვეტილებაზე რაიმე გავლენა იქონიოს. ბრაზილიელს მკაცრი სასჯელი არ აცდება.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ინტერვიუ ბესიკ ლიპარტელიანთან

რაჭომ უნდა გვქონდეს 2007 წლის იმედი?



ფაჩულიას საგრძნობი პროგრესი აქვს
ბოისა და მარკოიშვილი სტაბილურად თამაშობენ
ცქიტიშვილი და სანიკიძე ესპანეთში მოეწყვნენ
ცინცაძემ თავისი კლუბი მონახა
ნაცვლიშვილი საბოლოოდ გამოჯანმრთელდა
სტეფანიამ ვარჯიში დაიწყო

როგორ ფიქრობთ, 2007 წლის საკალათბურთო მოვლენებს ყველაზე უკეთ ვინ შეაფასებს? ალბათ ის, ვინც საკალათბურთო პირამიდის თავში დგას - ფედერაციის პრეზიდენტი ბესიკ ლიპარტელიანი. იგი წინა წლის მოვლენების პარალელურად 2007 წლის გეგმებზეც გვესაუბრება.

2006 წელი წინასთან შედარებით წარმატებული გამოდგა. ამის თქმის უფლებას მაძლევს ახალგაზრდული და კადეტთა ნაკრებები, რომლებმაც, B დივიზიონიდან A-ში გადაინაცვლეს. 20-წლამდელები მანუჩარ მარკოიშვილის არყოფნის მიუხედავად B ლიგის ჩემპიონები გახდნენ. არ შეიძლება უკმაყოფილონი ვიყოთ გუნდის მწვრთნელების დავით უსტიაშვილისა და გელა წულაძის მუშაობით. 16-წლამდელებმა ნიკო ჩერქეზიშვილისა და მიხეილ კობეშავიძის ხელმძღვანელობით, მართალია B დივიზიონში მეორე ადგილი დაიკავეს, მაგრამ ევროპის ჩემპიონატზე (იგივე A ლიგა) გასასვლელად ესეც საკმარისი იყო. აქვე დავამატებ, რომ ახალგაზარდულ და კადეტთა ნაკრებებში მწვრთნელთა შტაბი არც გაისად შეიცვლება.

- ეროვნული გუნდის გამოსვლით რამდენად კმაყოფილი დარჩით?

- პირველ რიგში, ნაკრებში მომხდარ ცვლილებებს შევეხებით. ამერიკელი შემონდ უილიამსი შარშან ტაირონ ელისმა შეცვალა, ხოლო სამწვრთნელო შტაბს კენი ატკინსონი დაემატა. გუნდის შემადგენლობას ორივე უმტკივნეულოდ მოერგო. "ატლანტას" ხუთეულში ჩაჯდა და საგრძნობი პროგრესი განიცადა ზაზა ფაჩულიამ; ვლადიმერ ბოისამ ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო ლიგას, სერია A-ს გაუგო გემო; მანუჩარ მარკოიშვილმა ტრავმა მოიშუშა, "ოლიმპიას" ძირითად შემადგენლობაში მყარად დამკვიდრდა და დეკემბერში ადრიატიკის თასის "ოლსტარიც" ითამაშა. სასიხარულოა გიორგი ცინცაძის ამბავიც, რომელმაც ესტონეთში გადასვლის შემდეგ მნიშვნელოვანი სათამაშო დრო მიიღო. ვიქტორ სანიკიძე ახალგაზრდული ჩემპიონატის საუკეთესო კალათბურთელად დასახელდა, ხოლო ვატო ნაცვლიშვილი ტრავმის შემდეგ "დიუონში" უკვე 20-25 წუთს თამაშობს. იმედია, ნიკა ცქიტიშვილიც კარგად მოერგება ესპანეთს. ამ ჩამონთვალის მიხედვითაც ნათლად ჩანს, რომ ნაკრების წევრები დღითიდღე პროგრესირებენ...

- ვლადიმერ სტეფანია?

- ბოლო ინფორმაციით, ვოვამ ვარჯიში უკვე დაიწყო და თუ აგვისტოსთვის მწყობრში იქნება, ნაკრებს დიდად გამოადგება. ახლა, რაც შეეხება უშუალოდ სექტემბრის სანაკრებო მატჩებს. ისევე როგორც შარშან, უშუალო კონკურენტის, ფინეთის დამარცხება ვერც წელს მოვახერხეთ, ჰელსინკში გუნდს ერთგვარი ჩავარდნა ჰქონდა. თუმცა, ბიჭებს ყველანაირად ხელს შევუწყობთ, რომ ფინეთთან მატჩისთვის სათანადოდ მოემზადონ და მეტოქე 10 ქულაზე მეტი სხვაობით დაამარცხონ. ქართველი ქომაგების მხარდაჭერით ეს უნდა შევძლოთ. აქვე იმასაც დავამატებ, რომ დანარჩენ ორ ჯგუფში სიტუაცია ისე ვითარდება, რომ მოსალოდნელია ჩვენი ქვეჯგუფიდან ფლეი ოფში ორი ნაკრები გავიდეს.

- მწვრთნელის მუშაობაზე რას იტყვით?

- გორდონ ჰერბერტის მუშაობაში იყო მინუსებიცა და პლუსებიც. იგი სწორი მიმართულებით მიდის, მაგრამ ჩვენი მთავარი მინუსია შეკრების ხანგრძლივობა. მჯერა, ნაკრები ოფიციალურ მატჩებამდე 30 დღის ნაცვლად, თვენახევრით ადრე რომ შეიკრიბოს, გაცილებით უკეთეს შედეგს უჩვენებს, მეტად შეიკვრება. ეს მინუსი გამოსწორებადია. ვფიქრობ, 2006 წელს რაც იყო, გაისად იგივე არ განმეორდება...

- ბოლო წინადადებაში გორდონ ჰერბერტის შეკრებიდან დროებით მოწყვეტა ხომ არ იგულისხმეთ?

- ნაკრების შეკრებიდან მწვრთნელის თუნდაც ორი დღით წასვლას, ნამდვილად არ მივესალმებით. ამას არც თავად გორდონ ჰერბერტი ამართლებს, მაგრამ ზაფხულში ისეთ სიტუაციაში აღმოვჩნდით, რომ სხვა გამოსავალი არ იყო. 2007 წელს იგივე არ განმეორდება, მით უმეტეს, რომ მატჩები აგვისტოში გადმოიტანეს და გუნდი მინიმუმ ერთი თვით ადრე, 20 ივლისს სრულად უნდა იყოს შეკრებილი. თუ საჭირო გახდა საფრანგეთში, "პო ორტეზის" ხელმძღვანელობასთან სასაუბროდ პირადად ჩავალ. იანვრის ბოლოსთვის სანაკრებო განრიგის შესახებ ყველა ლეგიონერს ჩავაყენებთ საქმის კურსში. ხოლო საქართველოში მოთამაშე ნაკრების წევრებთან ხშირი ურთიერთობა გვაქვს. ისინი დავით უსტიაშვილთან ერთად ფედერაციაში ამასწინათაც იყვნენ.



- ეროვნული გუნდისთვის საკონტროლო ტურნირების განრიგს როდის გაგვაცნობთ?

- იანვარში ევროპული ნაკრებები საზაფხულო გეგმებს დახვეწენ და რამდენიმე მათგანისგან მიწვევასაც ველით. იანვრის ბოლოსთვის შემოთავაზებების შესახებ გორდონ ჰერბერტსაც ვაცნობებთ და მასთან კონსულტაციის შემდეგ გავარკვევთ, სად ვითამაშებთ. სურვილი გვაქვს სამ ტურნირში მივიღოთ მონაწილეობა, ძლიერ, საშუალო და სუსტ ნაკრებებთან...

- გადავიდეთ შიდა ჩემპიონატზე. როგორ ფიქრობთ, ამართლებს "სუპერლიგა"?

- მართალია, მას სრულყოფილი სახე ჯერ არ მიუღია, მაგრამ დღესვე შეიძლება ითქვას, რომ "სუპერლიგის" დაარსება სწორი ნაბიჯი იყო. სამწუხარო მხოლოდ ისაა, რომ ჩემპიონატში მხოლოდ 6 გუნდი მონაწილეობს. ფინანსური პრობლემების გამო არც კახეთის, არც იმერეთისა და არც აჭარის გუნდები თამაშობენ. "სუპერლიგის" მთავარი ამოცანა მაყურებლის კალათბურთით დაინტერესება იყო, რაც მეტ-ნაკლებად ხორციელდება კიდეც - მაგალითად, "ავიამშენი", "აზოტის" მატჩისას სპორტის სასახლის ტრიბუნები თითქმის მთლიანად შეივსო. რეგულარული ჩემპიონატის შეხვედრაზე, ბოლო 5 წლიწადში ამდენი ქომაგი ნამდვილად არ მოსულა. სხვადასხვა აქციებით "სუპერლიგა" მოზარდების ყურადღების მიქცევასაც ცდილობს. ბავშვმა პატარაობიდან უნდა იცოდეს, რომ გაიზრდება ჯერ კლუბში ნორმალურ პირობებში ითამაშებს, შემდეგ ჩემპიონატიდან ნაკრებში მოხვედრაც შეეძლება.

- მესამე წრიდან ხომ არაფერი შეიცვლება?

- სუპერლიგა კიდევ უფრო დაიხვეწება, ხოლო მთავარი, რასაც უნდა ველოდოთ, მატჩების სანახაობრივი მხარის ამაღლება იქნება. სამწუხაროდ, ჩემპიონატისთვის სრულყოფილად მოსამზადებლად კლუბებს პირობები არ ჰქონდათ და პირველობის დაწყების შემდეგ შედიან. დასკვნით ორ წრესა და ფლეი ოფებში გუნდები ოპტიმალურ ფორმას მიაღწევენ და ჩემპიონატიც უფრო საინტერესო გახდება. ფედერაცია ცდილობს, მზადებაში ხელი შეუწყოს - 17 იანვარს რუსთავში საკანდელიძე-ქორქიას მემორიალი დაიწყება, ხოლო 26 იანვარს საქართველოს თასი გათამაშდება. თებერვლის პირველი რიცხვებიდან კი პირველობის მესამე წრე იწყება.

- დაბოლოს, სპორტის სასახლის შესახებ. თქვენი ინფორმაციით დარბაზი აგვისტომდე გარემონტდება?

- შარშან ქვეყნის პრეზიდენტი დაგვპირდა, რომ 2007 წლის შემოდგომამდე სპორტის სასახლე სრულიად განახლდება. ქალაქ თბილისის მერიიდან მოგვთხოვეს მოედნის, ფარების, ტაბლოს სტანდარტები. ვფიქრობ, თებერვლიდან სარემონტო სამუშაოებიც დაიწყება.

ვაჟა სიმონიშვილი

ხელბურთი

მერაბ მეტრეველი და მისი გუნდი რუმინეთთან მოგებას გეგმავენ

12 იანვარი. საქართველო-რუმინეთი

ვმასპინძლობთ ფავორიტს

თურქია და დათუკიშვილი გამოირიცხა

საქართველოს ხელბურთელთა ნაკრები აგრძელებს სამზადისს ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის რიგით მესამე მატჩისთვის. ლატვიასთან ორი წაგების შემდეგ გუნდი, ცოტა არ იყოს, ფსიქოლოგიურად გატეხილია, მაგრამ, ამავე დროს, ჟინიც გაუორმაგდა, რათა 12 იანვარს, საკუთარი გულშემატკივრის წინაშე აღარ შერცხვეს და ჯგუფის ფავორიტ რუმინეთს ბრძოლა გაუმართოს.

მართალია, საწყისმა ორმა მარცხმა გვარიანად შეგვიმცირა ფლეი ოფში გასვლის შანსი, მაგრამ წინ კიდევ ოთხი მატჩია თეორიულად და ჯერ კიდევ არაა ყველაფერი დაკარგული. სწორედ რუმინეთთან ზედიზედ ორმა მატჩმა (12 იანვარს თბილისში და 14 იანვარს კონსტანცაში) უნდა გადაწყვიტოს, დაგვრჩება ფლეიოფში თამაშის შანსი თუ ბოლო ორ მატჩს ბულგარეთთან სტატისტების როლში შევეგებებით.

რუმინული ხელბურთის სკოლისა და იქაური ნაკრების სიძლიერე ყველასათვის ცნობილია. ერთ დროს მსოფლიო ჩემპიონს ბოლო წლებში არც ისე ულხინს და ჩვენსავით საკვალიფიკაციო ეტაპიდან იბრძვის ევროპის ჩემპიონატზე მოსახვედრად. თუმცა, საქართველოს ნაკრებისაგან განსხვავებით, რუმინელებს არც საკადრო პრობლემები აწუხებთ, არც ცუდი მოსამზადებელი პირობები აქვთ და უფრო ძლიერი გუნდიც ჰყავთ ბულგარეთიც უკვე ორჯერ დაამარცხეს - 14 და 6-ბურთიანი სხვაობით.

ამ გუნდთან თბილისში მოგება საკმაოდ ძნელი იქნება, მაგრამ სავსებით რეალურიც. ოპტიმიზმის საბაბს ის გვაძლევს, რომ ლატვიასთან პირველი მატჩისაგან განსხვავებით, თბილისში ჩვენმა ნაკრებმა გაცილებით კარგი თამაში აჩვენა და ვიმედოვნებთ, გუნდის პროგრესი მომდევნო მატჩებშიც გაგრძელდება. ძალიან ბევრი რამ იქნება დამოკიდებული გულშემატკივარზეც. სამწუხაროდ, ლატვიასთან შეხვედრაში 1000 ქომაგიც ვერ მოგროვდა სპორტის სასახლეში და ნაკრებს აშკარად აკლდა მხარდაჭერა. არადა, ახლო თუ შორეულ წარსულში ალბათ ბევრს ახსოვს, ხელბურთსა თუ კალათბურთში სპორტის სასახლის სავსე ტრიბუნების თავზარდამცემი ყიჟინით ხელფეხაკანკალებული ჩვენი გუნდების მეტოქეები.

არანაკლებ დიდი მნიშვნელობა ექნება მსაჯობასაც. ლატვიასთან შეხვედრაში ავსტრიელ არბიტრთა ქმედება ნამდვილად არ იყო ისეთი, როგორც მასპინძელს ეკადრება. ხელბურთში ჩვეული ამბავია, რომ მსაჯები მუდამ მასპინძლებს ემხრობიან და ამის გამო, სტუმრად თამაში ორმაგად რთულია. თუმცა მხოლოდ "ლამაზი თვალებისთვის" შენს სასარგებლოდ არავინ დაუსტვენს და მასპინძელს ცოტა "წასამუშავებელიც" აქვს მსაჯებთან. ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ არბიტრებს ქრთამი უნდა მივცეთ...

გულშემატკივართათვის რუმინეთთან მატჩზე დასწრებაც უფასო იქნება. ამას გარდა, ვინც სპორტის სასახლეში მისვლას ვერ მოახერხებს, პირდაპირი რეპორტაჟის ნახვაც შეეძლება ტელეკომპანია "იმედზე". შეგახსენებთ, რომ მატჩი დაიწყება 15:30 საათზე.

ახლა კი უშუალოდ საქართველოს ნაკრებზე გადავიდეთ. გვესაუბრება მთავარი მწვრთნელი მერაბ მეტრეველი:

- დღეში ორჯერად ვარჯიშებს ჩვეულებრივ ვაგრძელებთ ტექნიკური უნივერსიტეტის ბაზაზე. ფლეიოფში გასვლის შანსი, რა თქმა უნდა, საკმაოდ შეგვიმცირდა, მაგრამ ჩვენ მაინც ბოლომდე ვაპირებთ ბრძოლას. დარჩენილი ოთხი მატჩიდან თითოეულში მხოლოდ მოსაგებად გამოვალთ მოედანზე.

- რუმინეთთან მატჩში რა საკადრო ცვლილებებს უნდა ველოდეთ?

- დაგვიბრუნდება ლევან ბერძენიშვილი, რომელსაც ლატვიასთან მეორე მატჩში არ უთამაშია. სხვა ცვლილება, ჯერჯერობით, არ იგეგმება. სამწუხაროდ, კვლავ გაურკვეველია რატი მსხვილიძის საკითხი - მან პირველ თამაშში ტრავმა მიიღო და ჯერაც არ ვიცით, მოასწრებს თუ ვერა 12 იანვრისთვის მწყობრში ჩადგომას. რაც შეეხება უფრო შორეულ მომავალს, ღმერთმა ნუ ქნას და, თუკი რუმინეთთანაც წავაგეთ და ფლეიოფში გასვლის ბოლო შანსიც დავკარგეთ, მაშინ დარჩენილ შეხვედრებში ახალგაზრდებსაც მივცემთ თავის გამოჩენის შანსს, რითაც სამომავლოდ დიდ გამოცდილებას მიიღებენ.

- გარი თურქიასა და სერგო დათუკიშვილის გამოყენების იმედი საბოლოოდ გადაგენურათ?

- სამწუხაროდ, ასეა. მოგეხსენებათ, საბერძნეთის ნაკრებში გამოძახების მიუხედავად, თურქიას ბოლო მომენტამდე ველოდით, მაგრამ მან მაინც საბერძნეთი და იქ დარჩენა არჩია. რაც შეეხება დათუკიშვილს, იგი ლატვიასთან მატჩისთვის თბილისში ჩამოვიდა, თავისი რჩევებითა და გვერდში დგომით გუნდს დიდი სამსახურიც გაუწია, მაგრამ ისიც ვერაფრით დაგვეხმარება. გვქონდა იმედი, რომ ბოლო მატჩებში მაინც ვათამაშებდით, მაგრამ საკმაოდ მძიმე ტრავმა აქვს და ეს ალბათ გამორიცხულია.

- ბულგარეთი-რუმინეთის მატჩის ვიდეოფირი თუ მიიღეთ?

- როგორც უკვე გითხარით, გაბროვოში მყავს მეგობრები, რომლებიც ბულგარეთი-რუმინეთის მატჩის გადაღებას და ფირის გამოგზავნას დამპირდნენ. კასეტა ჯერ არ ჩამოსულა, თუმცა, ვიმედოვნებ, 12 იანვრამდე მივიღებთ.

კობა ხატისაშვილი

ხმა მიეცით ზაზა ფაჩულიას!

ზაზა ფაჩულიას NBA-ს "ყველა ვარსკვლავის" (ALL STAR) შეხვედრაში მონაწილეობის საშუალება ეძლევა.

შედით ვებ-გვერდის (www.nba.com) იმ სექციაში,
(http://www.nba.com/allstar2007/asb/eng/ballot.html?from=sweeps)
სადაც "ყველა ვარსკვლავის" (ALL STAR) კანდიდატთა სრულ სიას გაეცნობით და მიეცით ხმა

იჩქარეთ, საინტერნეტო გამოკითხვა 21 იანვარს დასრულდება.
ხმა მივცეთ ზაზა ფაჩულიას ყოველდღე, რათა მას მაქსიმალური ხმები დაუგროვდეს.

სუმო

იოკოძუნაც წააქცია

იანვრის სუპერტურნირი
ჰაცუ ბაშო.
7-21 იანვარი, ტოკიო (იაპონია)

III დღე: კოკაი - კიოკუტენჰო 0:1 (იორიკირი, 34,4 წამი), დეჯიმა - ასაშორიუ 1:0, ამინიშიკი - კაიო 1:0, ჩიოტაიკაი - როჰო 1:0, ჰაკუჰო - მიაბიამა 1:0, ჰომაშო - კოტოოშუ 1:0, ტოჩიაძუმა - ტოკიტენკუ 1:0, კოტომიცუკი - კისენოსატო 1:0, კოტოშოგიკუ - ბარუტო 1:0, ამა - ასასეკირიუ 1:0, ფუტენო - ტაკამისაკარი 1:0, ტოიონოშიმა - ტოჩინოჰანა 1:0.

სატურნირო მდგომარეობა: 3-0: ამა (მაეგაშირა 4), ტოიონოშიმა (მ 9), ტამაკასუგა (მ 11), ტამონოშიმა (მ 14); 1-2: კოკაი (მ 5).

IV დღე. მნიშვნელოვანი წყვილები: **კოკაი - ამა, ასაშორიუ - ამინიშიკი, ჩიოტაიკაი - დეჯიმა, ჰაკუჰო - კისენოსატო, კოტოოშუ - კიოკუტენჰო, ტოჩიაძუმა - ბარუტო, კაიო - მიაბიამა, კოტომიცუკი - როჰო, კოტოშოგიკუ - ტოკიტენკუ, ტაკამისაკარი - ჰომაშო, კასუგაო - ტოჩინონადა.**

გუშინ იანვრის ბაშოზე მეორე მარცხი იგემა დასავლეთის მეხუთე მაეგაშირა **კოკაიმ** - მან მონღოლ **კიოკუტენჰოსთან** (მ 3) წააგო. ბრძოლა ნახევარ წუთზე მეტ ხანს გაგრძელდა და მონღოლის გამარჯვებით დასრულდა (იორიკირი). კოკაის ბალანსი სამი დღის მერე უარყოფითია - 1-2. ამასობაში ბაშოზე უდიდესი სენსაცია მოხდა - იოკოძუნა **ასაშორიუ** ყოფილმა ოძეკიმ, ვეტერანმა **დეჯიმამ** ეფექტური სროლით გასტყორცნა მაყურებლებში. ბაშოზე სერიოზულ რიკიშთაგან, **ამას** თუ არ ჩავთვლით, დაუმარცხებელი აღარავინაა. მონღოლი ამა კი კოკაის დღევანდელი მეტოქეა. ელიტის უმსუბუქეს ფალავანთან კოკაის 2:1 ბალანსი აქვს.

გუშინ მაკუშიტას (რანგით მესამე) დივიზიონის ახალწვეულმა **ლევან გორგაძემ** პირველი გამარჯვება იზეიმა. ტოჩინოშინმა (59-ე მაკუშიტა) იორიკირის ილეთით **ჰაჯიმეიამა** დაამარცხა. ტოჩინოშინის ბალანსია 1-1. **თეიმურაზ ჯუღელი** (გაგამარუ) გუშინ ისვენებდა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

დეჯიმა ასაშორიუს ამარცხებს

ჩოგბურთი

თითო ნაბიჯი ძირითად ბადემდე

გერმანულ ნუსლოხში "ფიუჩერსის" სერიის წლის პირველი ტურნირი მიმდინარეობს 15-ათასიანი საპრიზო ფონდით. ტურნირში **ლადო ჩიხლაძე** მონაწილეობს, თუმცა ჩვენი მეორე ჩოგანი ჯერ საკვალიფიკაციო ფრონტზე იბრძვის, სადაც მეორე ნომრად არის განთესილი. ლადომ პირველ წრეში დაისვენა, მეორეში კი გერმანელ **პატრიკ ტოუბერტს** (უაილდ ქარდი) მოუგო - 6:0, 7:5, დასკვნით შეხვედრაში კი გერმანელ **საშა კლორს** (731) შეხვდება.

ამერიკულ ტამპაში 25-ათასიანი ქალთა ტურნირის საკვალიფიკაციო ბადეს ქართველთაგან მხოლოდ **ანა ტატიშვილი** შემორჩა, რომელიც პირველ ნომრად არის განთესილი. ანამ მეორე წრეშიც იმარჯვა. ამჯერად, 16 წლის ქართველმა ამერიკელი **ჯოდი კენოიერი** დაამარცხა - 6:3, 7:6 (4). ძირითად ბადეში წასასვლელად ანა რუმინელ **სორინა ჩირსტეას** (353) შეხვდება.

ნ. ნ.



ანა ტატიშვილი

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ᲭᲐᲓᲠᲐᲭᲘ

სამი დანიშვნა და ერთი იუბილე



თამაზ გიორგაძე 60 წლისაა

გუშინ ჭადრაკის ფედერაციაში გამგეობის ყრილობისშემდგომი პირველი სხდომა გაიმართა შემდეგ. რა მოითათბირეს, ამაზე ქვემოთ მოგახსენებთ, მაგრამ იქამდე ერთს ვიტყვი - ორ საათზე მეტი დაყვეს გამგეობის წევრებმა პრეზიდენტის კაბინეტში და საკითხთა სიმწვავისა და აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, ყველაფერმა ისე წყნარად ჩაიარა, გაკვირვება ბევრმა გამოთქვა. თავად პრეზიდენტმაც აღნიშნა და უჩვეულო სიმშვიდე და ასევე გაგრძელებისკენ მოუწოდა ჭადრაკის მსახურთ. სხვათა შორის, გამგეობის სხდომაზე დასწრების საშუალება "ლელოს" კორესპონდენტსაც მიეცა, რაც სიახლეა.

ახალი გამგეობა ძველისგან საკმაოდ განსხვავდება. უპირველესად რიცხოვნობით: **აკაკი იაშვილის** დროს 27 წევრი იყო, ამჟამად - 34. თუმცა სია საბოლოო არ არის და ალბათ შემცირდება - ეს საკითხი გუშინაც დადგა. ძალიან ბევრი ახალგაზრდა, აქტიური მოჭადრაკეა გამგეობაში, რაც სულაც არ არის საკვალდებულოო. მოჭადრაკეთა უმთავრესი მოვალეობა და საზრუნავი სპორტული შედეგებია და არა პოლიტიკის წარმართვა, მათ პირობებზე კი სხვებმა უნდა იზრუნონ.

განსახილველ საკითხთა რაოდენობა ოთხი იყო: ჭადრაკის სასახლის შენობის უზურფრუქტის შესახებ; საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ვალების შესახებ; 2007 წლის სტიპენდიების შესახებ და საქართველოს ქალთა და ვაჟთა ნაკრებების მწვრთნელების დამტკიცების შესახებ.

პრეზიდენტ **რომან სიჭინავას** თავმჯდომარეობით შეიქმნება ჯგუფი, რომელიც ჭადრაკის სასახლის საკითხს მოამზადებს და ეკონომიკის მინისტრს წარუდგენს. ჯერ მხოლოდ იმას გეტყვით, რომ სასახლის დაკარგვა სავსებით რეალურია.

მწვავედ დგას ვალების საკითხიც. ახალ ხელმძღვანელობას დიდი ბრძოლა მოუწევს, რათა სახელმწიფოს ვალი გაუსტუმროს და დაყადაღებული ანგარიში გაათავისუფლოს. სიჭინავამ ერთი სასიამოვნო ინფორმაცია მოგვანოდა: ფინანსთა სამინისტროსთან მოლაპარაკების შედეგად 55 ათასიანი ვალი შემცირდა და დარჩა 22 ათასი. ეს ძირითადი თანხაა, დანარჩენი კი საპროცენტო საურავი იყო. ვალის გასტუმრება სპეციალურად გრაფიკით მოხდება.

ყოველთვის სადავოა მოჭადრაკეთა სტიპენდიების საკითხი. ფედერაციის თანამშრომელმა **თამაზ შანავამ** წარმოადგინა პროექტი, რომლის მიხედვითაც უნდა დანიშნულიყო სტიპენდია. მიუხედავად იმისა, რომ საკითხი საკმაოდ ყურადღებით იყო მომზადებული, გამგეობამ ის დაიწუნა და ახალი პროექტის შედგენის წინადადებით მიმართა პრეზიდენტს. სიჭინავამ ვიცე-პრეზიდენტ **კახა შალამბერიძეს** დაავალა საკითხის საბოლოო ფორმით მომზადება.

დაამტკიცეს ნაკრები გუნდების მწვრთნელებიც. ვაჟთა ნაკრების მთავარ მწვრთნელად **ხვიჩა სუპატაშვილი** დაინიშნა, ქალთა ნაკრებს **ზურაბ სტურუა** დამოძღვრავს, 20-წლამდელთა ნაკრებს - როგორც გოგონებს, ისე ჭაბუკებს **ლაშა ჯანჯღლავა** უხელმძღვანელებს. ამ საკითხმა ვნებათაღელვა გამოიწვია,აღინიშნა, რომ გაურკვეველია 20 წლამდელთა მწვრთნელის მოვალეობა - ასეთი ასაკის ნაკრები არ არსებობს და მხოლოდ ჩემპიონატებზე თუკი უნდა გაჰყვეს ჯანჯღლავა მოჭადრაკეებს, ასეთი მიდგომა არასწორი იქნებაო. ამ საკითხს მომავალში დაუბრუნდებიან.

სუპატაშვილისა და სტურუას საწინააღმდეგო არავის არაფერი ჰქონდა, მაგრამ დასაზუსტებელი გახდა მუშაობის წესი და ფორმა. იყო აზრთა სხვადასხვაობა: ერთნი მიიჩნევდნენ, რომ უკეთესი იქნებოდა, მწვრთნელებს ნაკრებთან უშუალოდ შეჯიბრების წინ ემუშავათ. მეორე ვარიანტით მთელი წლის განმავლობაში მუშაობაა გათვალისწინებული, რაც თითქმის ყოველკვირა ნაკრების კანდიდატებთან ორსამჯერ შეხვედრას უდრის. ხვიჩა სუპატაშვილმა გამგეობის წევრთა მეორე ვარიანტის უპირატესობაში დარწმუნება სცადა, - 2004 წელს ვაჟთა ნაკრებთან ამ წესით ვმუშაობდი და კარგი შედეგიც მივიღეთო. გადაწყდა, რომ ამ საკითხზეც კომპეტენტური კომისია იმსჯელებს - წევრებს ამ დღეებში დაასახელებენ და ალბათ გადაწყვეტილებასაც მალე მიიღებენ.

ბოლოს რომან სიჭინავამ გამგეობას **თამაზ გიორგაძის** იუბილეს შესახებ ამცნო. ცნობილი ქართველი მოჭადრაკე გუშინ 60 წლის გახდა. სიჭინავა იქვე ტელეფონით დაუკავშირდა ბატონ თამაზს და გამგეობის სახელით მიულოცა.

ზვიად ᲨᲐᲗᲘᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲞᲐᲣᲚ ᲙᲔᲠᲔᲡᲘᲡ ᲛᲔᲛᲝᲠᲘᲐᲚᲘ

ᲥᲣᲚᲐᲜᲐᲮᲔᲕᲠᲘᲗ ᲬᲘᲜᲐᲐ

ᲢᲐᲚᲘᲜᲨᲘ, პაულ კერესის მემორიალზე მეოთხე-მეხუთე ტური გაიმართა. ჩვენდა გასახარად, C ჯგუფში მოთამაშე **მაკა ფურცელაძემ** ბრწყინვალედ ითამაშად და კვლავაც იმარჯვა, რის შემდეგაც ხუთიდან ხუთი ქულა გაუხდა! მეოთხე ტურში მაკამ თეთრებით ესტონელი **ლეილი პიარნპუუ** (2190) დაამარცხა. მეხუთეში კი შავებით მოუგო თითქმის თანატოლს, ლიტველ საერთაშორისო ოსტატ **დეიმანტე დამიანეს**.

ტურნირის დასრულებამდე ოთხი ტური დარჩა და ყველაფერია შესაძლებელი, მაგრამ მაკამ უახლოეს მდევარს უკვე ქულანახევრით გაუსწრო - მისმა მდევარმა, ესტონელმა **სერგეი ჟუკინმა** მეოთხე და მეხუთე ტურებში ყაიმებით ითამაშა. ერთნახევარი ქულის გაბათილება ოთხ ტურში რთულია, მაგრამ არა - შეუძლებელი, მით უფრო, რომ მერვე ტურში სერგეი მაკას ხვდება, თუმცა იქამდე ორი პარტია აქვთ სათამაშო...

დღეს ტურნირზე მძიმე დღეა - მოჭადრაკეები ორჯერ მიუსხდებიან დაფებს. მაკა ჯერ ლატვიელ **კატრინა სკინკეს** ხვდება თეთრებით. სკინკეს სამი ქულა აქვს და ურიგო მოჭადრაკედ არ გამოიყურება, თუმცა რეიტინგში 2132-ეა. საღამოს ფურცელაძეს შავებით მოუწევს თამაში ესტონელ **ვალერია გასვინთან** (2252).

სამწუხაროდ, დამარცხდა **მალხაზ სულაშვილი**. მან მთავარი ტურნირის მეოთხე ტურში თეთრებით ლატვიელ **იანის კლივანს** კი აჯობა, მაგრამ მეხუთეში ესტონელ **ოლაფ სეეპთან** ვერაფერი გააწყო. ხუთი ტურის შემდეგ მალხაზს 2.5 ქულა აქვს და სატურნირო მდგომარეობის გამოსასწორებლად დღეს დილით უკრაინელ **ვლადიმირ ონიშჩუკთან** (2469) მოუწევს თამაში, საღამოს კი შავებით ესტონელ **რიპო ლიივას** (2439) ხვდება. A ჯგუფში 3.5 ქულით უკრაინელი **გიორგი ტიმოშენკო** (2563) ლიდერობს, 3 ქულით მეორე ადგილზე ესტონელი ოლაფ სეეპია (2458).

ᲫᲘᲣᲓᲝ

ყველაზე დიდ ინტერესს 90 კილოგრამი იწვევს. საქართველოს ჩემპიონატის ფინალში ირაკლი ცირეკიძემ (მუქ კიმონოში) იოსებ მსხალაძე დაამარცხა

27-28 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲗᲐᲡᲘ

ᲰᲐᲯᲘᲛᲔ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡᲐᲙᲔᲜ!

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

60 კგ. **ხერგიანი, ასუმბანი, ხოსიტაშვილი, შუკვანი.** საქართველოს ჩემპიონატზე ნესტორ ხერგიანს არ უჭიდავია, თუმცა ნაკრებში ადგილი დაჯავშნული ჰქონდა. დანარჩენი სამეული საქართველოს პრიზიორია. იმ ტურნირზე ხერგიანის დასვენებამ კონკურენცია კიდევ უფრო დაძაბა - ქვეყნის ჩემპიონი ასუმბანი გახდა, რომელმაც ფინალში ხოსიტაშვილი დაამარცხა. არადა, აქამდე წონის მეორე ნომერი სწორედ ხოსიტაშვილი გახლდათ. ცხადია, ამ დავაში თბილისის ტურნირს ბევრის გადაწყვეტა შეუძლია - თუ ასუმბანმა ისევ აჯობა კონკურენტს, მეორე ნომრობას ალბათ დაიბევებს. ჯერჯერობით, აქ წონის უდავო ლიდერია ხერგიანია, თუმცა კონკურენტები მას მოდუნების უფლებას წამითაც არ მისცემენ. ნაკრებში მისმა ჩართვამ გუნდიდან ჯერჯერობით ამოაგდო ბათუმელი ამირან პაპინაშვილია, რომელსაც შარშან უცხოეთში ურიგოდ არ უსაპარეზია. ვნახოთ, თუ მისცემენ მომავალში შანსს...

66 კგ. **კედელაშვილი, ხომიზური, ციხელაშვილი, იაკობაშვილი.** ტრავმების გამო საქართველოს ჩემპიონატში კედელაშვილსა და ხომიზურს არ უჭიდავიათ. სავსებით გასაგებია ხაბარელის სურვილი - საქმეში გამოცადოს ორივე ლიდერი და მათ კონკურენციასაც მოუძებნოს გასაღები. ლიდერთა არყოფნაში ქვეყნის ჩემპიონი გახდა ციხელაშვილი, რომელმაც ფინალში იაკობაშვილს აჯობა. ციხელაშვილი ნაკრების თვალსაწიერზე აქამდეც იყო, იაკობაშვილი კი ახალი კაცია.

აქ ყველაზე საინტერესო კედელაშვილს გამოსვლაა - გააგრძელებს თუ არა იგი შარშანდელ ტრიუმფულ სეზონს, როცა ჯერ ევროპის ჩემპიონი გახდა, მერე კი გუნდურში მსოფლიო პირველობის მოგებაშიც ლომის წილი დაიდო. ისიც საინტერესოა, განიკურნა თუ არა საბოლოოდ მსოფლიოს გუნდურ პირველობაზე მიღებული ტრავმებისგან, საინტერესოა აგრეთვე მისი და ხომიზურის დაპირისპირება.

73 კგ. **კობერიძე, დ. ბოდაველი, წიკლაური, ბაიდაური;** ესაა ერთადერთი წონა, სადაც ტურნირი ჩვენთვის საინტერესო მთავარ კითხვას პასუხს ვერ გასცემს - მენისკის ოპერაციის გამო წონის ლიდერი **დავით ქევხიშვილი** ვერ იჭიდავებს. იგი მსუბუქად ვარჯიშს უკვე შეუდგა და ვარაუდობენ, რომ ფორმაში შესვლას აპრილში, ევროპის პირველობისთვის მოასწრებს. ხაბარელსაც მის მეტოქეებზე დაკვირვების მეტი არაფერი დარჩენია. კონკურენტთაგან ერთადერთი უცნობი ბაიდაურია, რომელიც, ბევრისთვის მოულოდნელად, დამაჯერებლად გახდა საქართველოს ჩემპიონი. ფინალში მან ბოდაველი დაამარცხა, კობერიძე და წიკლაური კი პრიზიორები გახდნენ.

აღსანიშნავია, რომ კობერიძემ ქვეყნის პირველობაზე აჭარის სახელით იასპარეზა, რადგან თბილისისთვის გამოყოფილ კვოტაში ვერ მოხვდა.

81 კგ. **ბაინდურაშვილი, შინჯიკაშვილი, მამრიკიშვილი, გავაშელიშვილი.** ვფიქრობთ, ხაბარელის გადაწყვეტილებათაგან ყველაზე დიდ კამათს მამრიკიშვილის დაყენება გამოიწვევს, რომელიც საქართველოს ჩემპიონატზე მხოლოდ მეხუთეზე გავიდა. ამის მიუხედავად, მწვრთნელმა მაინც ჩართო ნაკრებში. სამაგიეროდ, მიღმა **ლევან წიკლაური** დარჩა, რომელმაც ბრინჯაოსთვის ბრძოლაში სწორედ მამრიკიშვილი დაამარცხა.

გვესმის წიკლაურისაც, მაგრამ გვესმის ხაბარელისაც, რომელიც წონის ლიდერს ამ ერთ წაგებას არ გადააყოლებს და ამიტომ მორიგ შანსს აძლევს. თანაც, ლოგიკური ახსნა ქვეყნის ჩემპიონატზე მამრიკიშვილის სუსტ გამოსვლასაც მოეძებნება. თურმე ტურნირამდე ზუსტად ერთი დღით ადრე მას პირველი შვილი, მათე შეეძინა და მომავალმა მამამ დასვენების ნაცვლად მთელი ღამე სამშობიაროსთან გაატარა. მიზეზი საპატიოა და უფერული ჭიდაობა დიდად გასაკვირი არცაა.

ამ წონაში კონკურენცია მართლაც ძალიან დაიძაბა. ხაბარელის მიერ არაერთხელ ნაქები ბაინდურაშვილი ქვეყნის ჩემპიონი გახდა, თუმცა ფინალი შინჯიკაშვილმა უბრძოლველად დაუთმო. ამ ვერცხლით შინჯიკაშვილმაც შეიქმნა საფუძველი ნაკრების პირველკაცობაზე. აქეთ ჭაბუკებში ევროპის ჩემპიონი და ძალზე პერსპექტიული გავაშელიშვილიც მიუჩოჩდა ნაკრებს... მოკლედ, ამ წონაში გამორჩეულად მძაფრი ბრძოლები გველოდება.

90 კგ. **ცირეკიძე, მსხალაძე, ზვიადაური, მ. ბოდაველი.** ხაბარელმა მაყურებელთა ჯილა - ოლიმპიური ჩემპიონი ზვიადაურიც შეიყვანა ნაკრებში. სამაგიეროდ, ამოაგდო საქართველოს პირველობაზე მისი დამმარცხებელი **დავით ლორიაშვილი**. თუმცა, იმ უდიდესი სენსაციის შემოქმედი ლორიაშვილი არა ზვიადაურს, არამედ ბოდაველს შეეწირა - საქართველოს ჩემპიონატზე მესამე ადგილისთვის ბრძოლა მან ზვიადაურთან ნააგო და მეხუთეზე დარჩა. ლოგიკით, თბილისის ტურნირზე ჭიდაობა მასზე მეტად ლორიაშვილს ეკუთვნოდა, მაგრამ ხაბარელი მაინც ნაცად შემადგენლობას ენდობა.

ჩანს, ლორიაშვილს ზვიადაურთან მოგება შემთხვევითობად ჩაუთვალეს, თუმცა, იმედია, რომელიმე ტურნირზე გამოცდიან. ისიც სათქმელია, რომ ბოდაველმა შარშან სამბოში მაქსიმუმი გააკეთა - ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონი გახდა. ეტყობა, მწვრთნელთა საბჭოზე გავლენა ამანაც იქონია. ცხადია, ისინი გვერდს ვერც ცირეკიძეს აუვლიდნენ, როგორც ამ ეტაპზე წონის გამოკვეთილ ლიდერს და ზვიადაურის შემცვლელს. იქნებ ღმერთმა ინებოს და მაყურებელმა ამჯერად მაინც იხილოს აგრერიგად ნანატრი მისი შერკინება ზვიადაურთან.

დაბოლოს, ახალგაზრდა მსხალაძე... მისი საჭიდაო მონაცემებისადმი დიდი სიმპათიების მიუხედავად, არა გვგონია, პეკინის ოლიმპიადამდე მწვრთნელები მასში ცირეკიძის ან ზვიადაურის შემცვლელს ხედავდნენ. მას უფრო გამოცდილების მისაღებად აჭიდავებენ.

100 კგ. **ყიზილაშვილი, ჟორჟოლიანი, ჩიკოიძე, მეტრეველი.** მწვრთნელმა აქ ყველა საუკეთესოს უხმო. საქართველოს ჩემპიონატზე ამ კვარტეტმა საპრიზო ადგილები ზუსტად ასეთივე თანმიმდევრობით გაინაწილა და ესეც მორიგი შანსი შესაძლებლობების დასამტკიცებლად. ბოლო წლებში ამ წონაში საკადრო პრობლემებია, მაგრამ ამ კვარტეტში ოთხივე ძალზე ახალგაზრდაა ანუ წამოვიდა ახალი თაობა, რაც გარკვეულ იმედებს გვიჩენს. მართლაც საინტერესოა, ამჯერად როგორ წარიმართება მათი კონკურენცია? ადრე ხაბარელი დიდ იმედებს ამყარებდა ყიზილაშვილზე, მაგრამ მან შარშანდელი სეზონი ჩაადო. ამ წონაზე საუბრისას მწვრთნელი მუდამ ხაზგასმით აღნიშნავს სამბისტ ჩიკოიძის მზარდ პროგრესს. სპეციალისტები ძალიან აქებენ ჟორჟოლიანსაც და ისიც ამართლებს ავანსებს, ბოლო ხანებში კი მეტრეველზეც ალაპარაკდნენ. ეს ტურნირი ყოველი მათგანისთვის ნაკრებში დამკვიდრების მშვენიერი შანსია.

აღსანიშნავია, რომ ყიზილაშვილი და მეტრეველი ერთად ვარჯიშობენ **გივი კახაბრიშვილთან**.

ᲛᲫᲘᲛᲔ. **გუჯეჯიანი, ხანჯალიაშვილი, ოქრუაშვილი, ჩინჩალაძე.** მწვრთნელთა საბჭომ აქაც უძლიერეს შემადგენლობას უხმო - გუჯეჯიანი მსოფლიოს პრიზიორია, ხანჯალიაშვილმა მენისკის ოპერაციისა და ორწლიანი უქმობის მერე შარშან ევროპის პირველობაზე დამაჯერებლად იჭიდავა და ბრინჯაო მოიპოვა, ოქრუაშვილმა კი იმავე წარმატებას ევროპის აბსოლუტურ პირველობაზე მიაღწია. შესაძლოა, ეს არ იყო ძალზე ძლიერი ტურნირი, მაგრამ მასში კონტინენტის თითქმის ყველა წამყვანი ძიუდოისტი გამოდიოდა და ოქრუაშვილის მიღწევა მაინც მნიშვნელოვანია. თანაც, ის ჯერ ახალგაზრდაა და გამოუცდელი, თუმცა ევროპას თავი კარგად გააცნო.

ამ სამეულს მწვრთნელებიც შესანიშნავად იცნობენ, აი, ჩინჩალაძე კი სამბოს ნაკრებიდან ლამობს ხაბარელის გუნდში მოხვედრას.

NBA . ᲠᲔᲒᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

ᲰᲘᲣᲡᲢᲝᲜᲡ ᲘᲐᲝ ᲐᲠ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ

ᲩᲘ�კᲐᲒᲝ-ᲰᲘᲣᲡᲢᲝᲜᲘ 77:84

18:16, 22:14, 11:24, 26:30

ᲩᲘᲙᲐᲒᲝ: გორდონი (24 ქ. 5 პ), დენგი (20 ქ), ნოჩიონი (11 ქ. 11 მ), სუიტნი (8 ქ. 6 მ), ბ. უოლასი (4 ქ. 10 მ).

ᲰᲘᲣᲡᲢᲝᲜᲘ: მაკგრეიდი (31 ქ. 6 მ. 8 პ), ჯუვან ჰოვარდი (16 ქ. 9 მ), ბატიე (12 ქ), ჰედი (10 ქ. 7 მ), ალსტონი (7 ქ. 7 პ), ჰეიესი (6 ქ. 9 მ), მუტომბო (2 ქ. 16 მ).

"ᲰᲘᲣᲡᲢᲝᲜᲘᲡ" ბოლო მატჩების სტატისტიკას თუ თვალს გადავავლებთ, შეიძლება ისეთი შთაბეჭდილება შეგვექმნას, რომ ამ გუნდს ჩინელი ცენტრი **იაო მინი** არაფერში სჭირდება. რა თქმა უნდა, ვაჭარბებთ, მაგრამ ვერც გუნდის მიერ ბოლო ტურებში ნაჩვენებ შედეგებს გავექცევით - 23 დეკემბრის შემდეგ, როცა აზიელმა გიგანტმა ფეხი მოიტეხა, "როკეტსმა" 8 თამაში ჩაატარა და აქედან 6 თავის სასარგებლოდ დაასრულა.

ეს წარმატებული სერია, პირველ რიგში, ვეტერანი **ტრეისი მაკგრეიდის** დამსახურებაა. გუშინ, ამ კალათბურთელმა "ჩიკაგოს" 31 ქულა ჩაუგდო, რითაც ზედიზედ მეექვსე მატჩში შეძლო 30 ან მეტი ქულის დაგროვება.

არადა, ბოლო მეოთხედამდე ტი-მაკს თამაში არ მისდიოდა. თითქოს ისე ჩანდა, რომ ის გადაღლილი იყო და პირველ ტაიმში მხოლოდ 5 ქულა მიითვალა. მაგრამ ბოლო 12 წუთში მოედანზე მხოლოდ მაკგრეიდი თამაშობდა, რაც მის მიერ დაგროვებულ 15 ქულაში გამოიხატა.

საფინალო სირენამდე წუთითა და 20 წამით ადრე, "ჩიკაგო" 77:75 იგებდა, მაგრამ დარჩენილ დროში სტუმრებმა 9 უპასუხო ქულა დააგროვეს და "ბულსის" ფანებს იმედები გაუცრუეს.

ორივე გუნდმა ტყორცნებისას ძალიან ბევრი შეცდომა დაუშვა. "ჰიუსტონმა" 82-დან მხოლოდ 30-ჯერ ისროლა. ზუსტად, 32 (!) სამქულიანიდან კი, მხოლოდ 8 გამოიყენა. "ჩიკაგოს" ანალოგიური მაჩვენებელი ასეთი იყო: 82-დან 30 ზუსტი ტყორცნა და 15-დან სამი გამოყენებული სამქულიანი.

ᲓᲔᲜᲕᲔᲠᲘ-ᲛᲘᲚᲬᲣᲙᲘ 104:92

35:29, 25:20, 19:19, 25:24

ᲓᲔᲜᲕᲔᲠᲘ: ბოიკინსი (26 ქ. 11 პ), აივერსონი (23 ქ. 2 ჩ), კემბი (19 ქ. 15 მ. 7 დ), რ. ევანსი (13 ქ. 11 მ), კლეიზა (11 ქ. 9 მ).

ᲛᲘᲚᲬᲣᲙᲘ: პატერსონი (29 ქ. 12 მ. 7 პ. 4 ჩ), ილიასოვა (15 ქ), ბლეიკი (11 ქ. 5 მ. 7 პ), ბოგუტი (9 ქ. 11 მ).

მატჩისწინა ინფორმაციების მიხედვით, "მილუოკი" წასაგებად განწირული იყო. ამ გუნდს ტრავმის გამო თავისი ლიდერი - **მაიკლ რედი** დააკლდა. არ უთამაშია ასევე ტრავმირებულ **ჩარლი ვილანუევას**, ხოლო შეხვედრის მსვლელობისას ტრავმა მიიღო **მო უილიამსმა**, რომელიც მეორე ტაიმში მოედანზე საერთოდ არ გასულა. რაც შეეხება "დენვერს", მას **მარკუს კემბი** დაუბრუნდა, რომელმაც ყველაზე დიდი წვლილი შეიტანა თავისი გუნდის გამარჯვებაში. 19 ქულა, 15 მოხსნა და 7 დაფარება - ასეთი იყო "ნაგეტსის" ცენტრალური თავდამსხმელის მონაგარი.

"დენვერმა" პირველ ნახევარში მოიპოვა კომფორტული უპირატესობა და მიუხედავად იმისა, რომ მეოთხე მეოთხედში "მილუოკიმ" ერთ მომენტში 5 ქულამდე შეამცირა ჩამორჩენა, მატჩის გამარჯვებულის ვინაობა ეჭვქვეშ მაინც არ დამდგარა. როგორც კი, სტუმრები მეტოქეს წამოეწივნენ, **ალენ აივერსონმა** მაშინვე ზუსტი სამქულიანით უპასუხა "მილუოკის" ამ "თავხედობას", რითაც "დენვერმა" ხუთმატჩიანი წაგებათა სერია შეწყვიტა.

რაც შეეხება აივერსონს, ჩვეული შედეგიანობით მან ამჯერადაც ვერ ითამაშა. 21-დან მხოლოდ 9 ტყორცნა გამოიყენა და შეხვედრა 23 ქულით დაასრულა. სხვათა შორის, გუშინ, ტრავმის გამო ალენის თამაში სათუო იყო, მაგრამ ყოფილმა ფილადელფიელმა მაინც შეძლო მოედანზე გასვლა. თუმცა, შეიძლება აივერსონს მაინც მოუწიოს მომდევნო ტურში "სან ანტონიოსთან" მატჩის გამოტოვება.

Ნ. ᲝᲠᲚᲔᲐᲜᲘ-ᲙᲚᲘᲞᲔᲠᲡᲘ 90:100

26:15, 25:34, 22:23, 17:28

Ნ. ᲝᲠᲚᲔᲐᲜᲘ: დ. მეისონი (28 ქ), რ. ბატლერი (14 ქ. 5 პ), დ. ბრაუნი (17 ქ. 5 მ. 7 პ), ჩენდლერი (13 ქ. 13 მ), მ. ჯექსონი (10 ქ).

ᲙᲚᲘᲞᲔᲠᲡᲘ: კასელი (31 ქ), მობლი (20 ქ), ბრენდი (18 ქ. 12 მ), ტ. ტომასი (12 ქ), ლივინგსტონი (9 ქ. 7 პ. 2 ჩ), კამანი (4 ქ. 7 მ).

"ნიუ ორლეანი" ცუდ დღეშია ჩავარდნილი. ამ გუნდს სამი წამყვანი კალათბურთელი აკლია - **კრის პოლი, პეჯა სტოიაკოვიჩი** და **დევიდ უესტი**. მიუხედავად ამისა, მასპინძლები სამი მეოთხედის შემდეგ ერთ ქულას უგებდნენ მეტოქეს, თუმცა, დასკვნით ნაწილში "ჰორნეტსის" თამაში მთლიანად მოიშალა. მან 12 წუთში 6 შეცდომა დაუშვა და თამაშიდან ტყორცნების მხოლოდ 33 პროცენტი გამოიყენა. ბოლო მეოთხედის საწყისი მონაკვეთი "კლიპერსმა" 17:3 მოიგო და "ნიუ ორლეანმა" თამაშის გადარჩენა ვეღარ მოახერხა.

სემ კასელი

გამარჯვებულთა რიგებში საუკეთესო იყო **სემ კასელი**. ამ კალათბურთელმა სამკვირიანი პაუზის შემდეგ პირველი მატჩი ჩაატარა და 31 ქულით დაეხმარა თავის გუნდს. მეოთხე მეოთხედში განხორციელებული სპურტის მთავარი სულისჩამდგმელი სწორედ კასელი იყო, რომელმაც იმ მონაკვეთში 10 ქულა დააგროვა.

ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲛᲝᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘ

ეროვნულმა საკალათბურთო ასოციაციამ გასული კვირის საუკეთესო მოთამაშეები დაასახელა.

აღმოსავლეთი კონფერენციის ლაურეატი გახდა დეკემბრის თვის საუკეთესო კალათბურთელი **გილბერტ არენასი**. "ვაშინგტონის" ფორვარდმა გასულ კვირას სამ მატჩში მიიღო მონაწილეობა და საშუალოდ 33.3 ქულას, 7.3 მოხსნას, 7.3 შედეგიან გადაცემასა და 2.7 ჩაჭრას აგროვებდა. ამ სამი შეხვედრიდან დედაქალაქელებმა ორში გამარჯვებას მიაღწიეს.

დასავლეთ კონფერენციაში პირველობა არავის დაუთმო "მინესოტას" ლიდერმა **კევინ გარნეტმა**. ოთხ მატჩში მისი მონაგარი 27.5 ქულას, 14.5 მოხნას, 5.0 შედეგიან პასსა და 1.5 დაფარებას შეადგენდა. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო გარნეტის თამაში ოთხშაბათს, "სან ანტონიოსთან" ოვერტაიმში მოგებულ მატჩში (103:101). კევინმა 27 ქულა, 17 მოხსნა, 7 პასი და 3 დაფარება მიითვალა.

ამ კალათბურთელების გარდა, კვირის საუკეთესო მოთამაშის ტიტულზე პრეტენზიას აცხადებდნენ **დრიუ გუდენი** ("კლივლენდი"), **დირკ ნოვიცკი** ("დალასი"), **რიჩარდ ჰამილტონი** ("დეტროიტი"), **ტრეისი მაკგრეიდი** ("ჰიუსტონი"), **ედი კარი** ("ნიუ იორკი"), **დუაიტ ჰოვარდი** ("ორლანდო"), **მანუ ჯინობილი** ("სან ანტონიო") და **კრის ბოში** ("ტორონტო").



ტრეისი მაკგრეიდი

ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ ᲢᲠᲔᲘᲡᲘ ᲛᲐᲙᲒᲠᲔᲘᲓᲗᲐᲜ

ᲠᲝᲙᲔᲢᲡᲘ ᲡᲐᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲝ ᲒᲣᲜᲓᲘᲐ

ᲢᲘ-ᲛᲐᲙᲘ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲗᲐᲛᲐᲨᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲐᲡ ᲤᲚᲔᲘ ᲝᲤᲨᲘ ᲒᲔᲒᲛᲐᲕᲡ

- რთულია იაოს გარეშე?

- დიახ, რადგან სანამ ზეკე (დიკემბე მუტომბოს მეტსახელი - რედ.) მოედნის ერთი ნახევრიდან მეორემდე ჩამოდის, ორი შეტევის გაკეთებას ვასწრებთ (იცინის).

- დაგვეთანხმეთ, რომ მუტომბოს ასე კარგად ბოლო სამი წლის განმავლობაში არ უთამაშია.

- გეთანხმებით. არადა, იგი ხომ 40 წლისაა! წარმოდგენაც კი არ მინდა, რას დავემსგავსები, მის ასაკს რომ მივუახლოვდები. ალბათ, ფულის გაფლანგვით ვიქნები გართული, მუტომბო კი დღესაც მოტივირებულია და ეს მის ბოლოდროინდელ თამაშზეც აისახა.

- მინი მალე დაბრუნდება, "ჰიუსტონს" კი მის გარეშე საქმეები ძალიან კარგად მისდის.

- მართალი ბრძანდებით. იაო ჩვენი გუნდის მთავარი ვარსკვლავია. მანამდეც მითქვამს და ერთხელაც გავიმეორებ - მინი დღეს მსოფლიოში უძლიერესი ცენტრია. იგი ახალი გენერაციის ცენტრი გახლავთ, რომელიც ძალიან რბილი მაჯის გამო, ბრწყინვალედ ასრულებს საჯარიმოებს, ასეთი სიმაღლის კაცისთვის შესანიშნავ კოორდინაციას ფლობს და რაც მთავარია, იაომ დაცვაში თამაში გააუმჯობესა. ასე რომ, იქამდე, სანამ მინი დაგვიბრუნდება, გუნდური თამაში კიდევ უფრო უნდა გავაუმჯობესოთ, რათა სრული, უძლიერესი შემადგენლობით მეტოქეებს კიდევ უფრო მეტი პრობლემა შევუქმნათ.

- ვერა და ვერ მოერგო შემადგენლობას ბონზი უელსი. მისი აყვანა შეცდომა ხომ არ იყო?

- არა მგონია, რადგან თავისი გამოცდილებით უელსს გუნდისთვის ბევრი სარგებლის მოტანა შეუძლია. დღეს ლიგაში ყველა უნივერსალიზმზე საუბრობს და ბონზი ამისი ნათელი მაგალითია. იგი ნომინალურად მსროლელია, მაგრამ გამთამაშებლით დაწყებული, ცენტრით დამთავრებული, ნებისმიერი ამპლუის მოთამაშის წინააღმდეგ თამაში შეუძლია. ცუდი პერიოდი ყველას გააჩნია და როგორც კი ბონზი ყველაფერ ცუდს ზურგს უკან მოიტოვებს, იგი ჩვენი გუნდის უმნიშვნელოვანესი ფიგურა გახდება.

- დღეს ლიგაში ყველა "დალასისა" და "სან ანტონიოს" დაპირისპირებაზე საუბრობს. "მავერიქსისა" და "სპურსის" მატჩები გულშემატკივრისთვის დაახლოებით იგივეა, რაც 80-იანი წლების "სელტიქსისა" და "ლეიკერსის", მოგვიანებით კი "ბულზისა" და "პისტონზის" პაექრობა. "ჰიუსტონს" კი ფავორიტებში 10-დან 2 კაცი თუ ასახელებს...

- რეალობა ისეთია, რომ ამ ეტაპზე "დალასიცა" და "სან ანტონიოც" ჩვენზე გაცილებით შეკრულ კალათბურთს თამაშობენ. თანაც, "ჰიუსტონისგან" განსხვავებით, ამ გუნდებს ყველა ლიდერი ჯანმრთელი ჰყავთ, რაც ასევე საკმაოდ მნიშვნელოვანია. ვეცდებით, რეგულარულის მსვლელობისას, მერე კი ფლეი ოფში დავაჯეროთ სპეციალისტები და ფანები იმაში, რომ "ჰიუსტონიც" საჩემპიონო დონის გუნდია. შემადგენლობით სხვაზე ნაკლებნი არ ვართ. უბრალოდ, სხვადასხვა პრობლემები ჩვენი სრული პოტენციალის გამოვლენაში ხელს გვიშლის.

- აღმოსავლეთი არასტაბილური და სუსტია. როგორ გგონიათ, დასავლეთი კონფერენციის ჩემპიონობა სუპერფინალში გამარჯვების ასპროცენტიან გარანტიას იძლევა?

- არავითარ შემთხვევაში. ჯერ ერთი, აღმოსავლეთში რამდენიმე ისეთი გუნდია, ვისაც ბევრი ახალი წევრი ჰყავს და შეთამაშების პროცესის დასრულებისთანავე, ეს გუნდები დღევანდელზე გაცილებით სახიფათონი გახდებიან. არ გაგეცინოთ, მაგრამ ჩემპიონობის მთავარ ფავორიტად დღესაც "მაიამი" მიმაჩნია. ამ გუნდს არ ჰყავს შაკი, ძალიან ბევრი შეხვედრა გამოტოვა უეიდმა და როგორც კი ეს წყვილი ფეხზე დადგება, "ჰიტი" ათიდან სადღაც 7-8 მატჩის მოგებას უპრობლემოდ მოახერხებს. გააუმჯობესებს თამაშს "დეტროიტიც" და რატომღაც მგონია, რომ აღმოსავლეთში მთავარი სენსაციის ავტორი წელს "ინდიანა პეისერზი" იქნება.

- ცხადია, ჯერ ძალიან ადრეა ინდივიდუალური ჯილდოების ვინმესთვის გადაცემა, მაგრამ უძვირფასესი მოთამაშის პრიზის მოგების თქვენი მთავარი ფავორიტი ვინ არის?

- გილბერტ არენასი, კობი ბრაიანტი, დირკ ნოვიცკი და სტივ ნეში. ძლიერი შემადგენლობა ჰყავს "სან ანტონიოსაც", მაგრამ ამ გუნდში ინდივიდუალისტებს დიდი გასაქანი არ ეძლევა. შაკის გამოჯანმრთელებასთან ერთად, აღნიშნული პრიზის მოპოვებისთვის უეიდიც იბრძოლებს. ასე რომ, საკმაოდ საინტერესო სია გვაქვს.

- იაო?

- იაო თავში უნდა დამესახელებინა, გამომრჩა. მასაც არაჩვეულებრივი სეზონი აქვს.

- არ გწყინთ, როდესაც სპეციალისტები ხანდახან სიმხდალეში გადანაშაულებენ?

- არა, ამას შევეჩვიე. ვიცი, რომ ბევრი დღესაც ვერ მპატიობს ჩემი "ორლანდოში" ყოფნისას "დეტროიტთან" სერიის წაგებას. მაშინ მეტოქეს პირველი ორი მატჩი მოვუგეთ, მაგრამ საბოლოოდ მაინც დავმარცხდით. იმ სერიამ ძალიან ბევრი რამ მასწავლა. შევიცვალე, რაღაც-რაღაცეები გამოვასწორე, მაგრამ თამაშის გაუმჯობესების რესურსები ჯერ არ ამომიწურავს. ტრეისი მაკგრეიდის საუკეთესო თამაშს ამ წლის ფლეი ოფში იხილავთ.

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲗᲐᲚᲐᲙᲕᲐᲫᲔ

"ᲰᲘᲣᲡᲢᲝᲜ ᲠᲝᲙᲔᲢᲡᲘ" ყოველთვის რომელიმე დიადი მოთამაშის ირგვლივ შენდებოდა ხოლმე. ამ გუნდში 80-იანი წლების პირველი ნახევარი ლეგენდარულმა მოუზეს მელოუნმა გაატარა, მერე და მერე კი, ტეხასელთა ღირსებას იცავდა მოთამაშე, რომელიც გუნდმა იმავე წლის დრაფტზე აირჩია, როდესაც "ჩიკაგო ბულზმა" მაიკლ ჯორდანი აიყვანა. ეს იყო ჰაკიმ ოლაჯუონის ეპოქის დასაწყისი. იმ ეპოქისა, რომელმაც "როკეტსს" ორგზის ჩემპიონობა (1994-95) და ერთხელაც ფინალისტობა არგუნა, თუმცა 1986 წელს, ჰაკიმსა და რალფ სემპსონს ლარი ბერდის, რობერტ პერიშისა და კევინ მაქჰეილის "სელტიქსის" 7-მატჩიან სერიაში ძლევა ნამდვილად არ შეეძლოთ. შემდეგ ოლაჯუონს კლაიდ დრექსლერი შეუერთდა, ვისთან ერთადაც ჰაკიმმა 1995-ში თავის გუნდს ჩემპიონობა შეანარჩუნებინა, ხოლო ერთი წლის შემდეგ, ამ დიდ დუეტს ჩარლზ ბარკლიც დაემატა. დრექსლერი შემდგომში სკოტი პიპენმა შეცვალა, თუმცა "ჰიუსტონი" ჩემპიონი აღარ გამხდარა და სიმართლე ითქვას, მაშინდელი და 21-ე საუკუნის "როკეტსის" შედარება ოდნავ უხერხულიც კი არის. რას წარმოადგენს დღევანდელი "ჰიუსტონი"? ეს, პირველ რიგში, ჩინელი ცენტრი იაო მინია, რომელსაც სადღეისოდ, სავსებით სამართლიანად მიიჩნევენ პლანეტის უძლიერეს ცენტრად. მაგრამ მარტო იაო "როკეტსის" თანადივიზიონელ და თანაკონფერენციელ გრანდებს ვერ აჯობებს. ამისთვის "ჰიუსტონს" ტრეისი მაკგრეიდიც ჰყავს, რომელიც სრულიად არ არის იმისი წინააღმდეგი, რომ გუნდში მეორე პლანზე იყოს გადაწეული.
27 წლის თი მაქი წლევანდელი რეგულარულისას ერთ მატჩში საშუალოდ 22.0 ქულას, 5.3 მოხსნასა და 5.7 შედეგიან გადაცემას აგროვებს და იაოს არყოფნაში იგი "როკეტსის" ულაპარაკო ლიდერად იქცა. გთავაზობთ ინტერვიუს ტრეისი მაკგრეიდისთან, რომელიც ამჯერადაც ჩვენმა საინფორმაციო პარტნიორმა "სლემმა" შემოგვთავაზა.

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

დაუმარცხებელი არავინაა

ლოს ანჯელესი-ედმონტონი 1:2

0:0, 0:1, 1:0, 0:1

გოლები: 0:1 სტოლი-12 (ჰემსკი-22, მ-ა. ბერჟერონი-12), 1:1 პუშკარევი-1 (ვიშნოვსკი-23, კოპიტარი-26), 1:2 ჰეიდა-1 (რ. სმიტი-11, ჰორკოფი-17).

ᲐᲛ ᲗᲐᲛᲐᲨᲘᲡ ინტრიგა იმაში მდგომარეობდა, რომ ახალ წელს ერთადერთი დაუმარცხებელი გუნდი "ლოს ანჯელეს კინგზი" გახლდათ. თუმცა, კალიფორნიელთა სერია გუშინ "ედმონტონმა" შეწყვიტა.

ტურის ერთადერთ მატჩში სამი გოლი გავიდა და აქედან ორი დებიუტანტების ანგარიშზეა. **იან ჰეიდამ** მე-14-ედ ითამაშა "ედმონტონის" შემადგენლობაში და მხოლოდ ახლა შეძლო პირველი გოლის შეგდება. ოვერტაიმის მეორე წუთზე გატანილმა ამ შაიბამ "ოილერზს" მნიშვნელოვანი მატჩი მოაგებინა.

"კინგზის" შემადგენლობაში მესამედ გამოჩნდა 21 წლის **კონსტანტინ პუშკარევი**, რომლემაც ასევე შეძლო თავის გამოჩენა.

"ედმონტონის" გამარჯვება კი, პირველ რიგში, მისი მეკარის - **დუეინ როლოსონის** კარგი თამაშის დამსახურებაა. შარშანდელი სტენლის თასის ერთ-ერთმა გმირმა 34 დარტყმის მოგერიება შეძლო.

მასპინძლებს ხუთჯერ ჰქონდათ რიცხობრივი უპირატესობა, მაგრამ ვერცერთი შანსი ვერ გამოიყენეს. ეს არც არის გასაკვირი - "ედმონტონი" რიცხობრივ უმცირესობაში გაშვებული შაიბების რაოდენობით ლიგის საუკეთესო გუნდია - ამ რეგულარულში "ოილერზთან" შეხვედრებში მეტოქეებს 103-ჯერ ჰყავდათ ყინულზე ერთი კაცით მეტი, მაგრამ მხოლოდ 7 (!) შაიბის გატანა მოახერხეს.

ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲘ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲘ

ტრადიციულად, ორშაბათს ჰოკეის ეროვნულმა ლიგამ გასული კვირის საუკეთესო მოთამაშეების სია გამოაქვეყნა.

წინა შვიდი დღის პირველი ვარსკვლავი "ვანკუვერის" მეკარე **რობერტო ლუონგო** გახდა. მან ოთხივე მატჩში მოაგებინა თავის გუნდს და აქედან ორში, "მშრალად" შეინახა საკუთარი კარი. ლუონგო საშუალოდ შეხვედრაში 1.92 შაიბას უშვებდა და დარტყმების 94 პროცენტს იგერიებდა. სულ ამ სეზონში ლუონგოს 24 მოგება აქვს.

გასულ კვირას, "ოტავას" ლიდერმა **დენი ჰიტლიმ** ორი მატჩი ჩაატარა. ერთ შეხვედრაში სეზონში მესამე ჰეთ-თრიკი შეასრულა, მეორეში კი, დუბლი მიითვალა. გარდა ამისა, ჰიტლის ანგარიშზე 3 შედეგიანი პასიც იყო.

კვირის მესამე ვარსკვლავი კი, "სან ხოსეს" ფორვარდი **ჯო ტორნტონი** გახდა, რომელმაც ორ მატჩში 7 შედეგიანი პასი დააგროვა. ამ სეზონში ტორნტონს 42 შეხვედრაში 42 პასი აქვს გაკეთებული.

რობერტო ლუონგო

რალი-რეიდი

ლისაბონი-დაკარი 2007

III ეტაპი. ნადრი-ერ რაშიდია. 252 კმ.

მანქანები

1. დე ვილიერსი (ს. აფრ)/ფონ ციტცევიცი (გერ, "ფოლკსვაგენი") - 2:46.12; 2. საინსი (ესპ)/პერენი (საფ, "ფოლკსვაგენი") - +0.25; 3. პეტერანსელი (საფ)/კოტრე (საფ, "მიცუბიში") - +3.18; 4. ალფანი (საფ)/პიკარი (საფ, "მიცუბიში") - +3.42; 5. მილერი (აშშ)/პიჩფორდი (ს. აფრ, "ფოლკსვაგენი") - +3.55; 6. სოუზა (პორ)/შულცი (გერ, "ფოლკსვაგენი") - +5:36.

საერთო ჩათვლა: 1. საინსი/პერენი - 5:09.19; 2. დე ვილიერსი/ფონ ციტცევიცი- +1:02; 3. სოუზა/შულცი - +4:26; 4. პეტერანსელი/კოტრე- +6:03; 5. მილერი/პიჩფორდი - +9:12; 6. მასუოკა (იაპ)/შემონი (საფ, "მიცუბიში") - +11.17.

მოტოციკლეები

1. კომა (ესპ, KTM) - 3:07.39; 2. ბლეისი (აშშ, KTM) - +0.56; 3. ესტევი (ესპ, KTM) - +2.57; 4. კასტო (საფ, KTM) - +3.28; 5. სტრიტი (აშშ, PAI) - +6.34; 6. დუკლო (საფ, KTM) - +8.05.

საერთო ჩათვლა: 1. ესტევი - 5:42.12; 2. კომა - +0.26; 3. კასტო - +1.03; 4. სტრიტი - +6.58; 5. ბლეისი - +8.37; 6. როდრიგესი (პორ, "იამაჰა") - +13.57.

ჩოგბურთი

ნადალმა ტრავმა მიიღო

მსოფლიო კლასიფიკაციის მეორე ჩოგან **რაფაელ ნადალისთვის** 2007 წლის სეზონი უიღბლოდ დაინყო. გასულ კვირას, ჩენაის ტურნირზე, ესპანელმა ნახევარფინალში ორი სეტში ნააგო ბელგიელ **ქსავიე მალისთან**, ამჯერად კი, სიდნეიში ტრავმის გამო გამოეთიშა ასპარეზობას. ნადალმა მასპინძელ **კრის გუჩიონესთან** შეხვედრის დასრულება ვერ შეძლო.

როგორც სააგენტო "როიტერი" იტყობინება, რაფაელმა მატჩის მსვლელობისას ორჯერ უხმო ექიმს, შემდეგ კი, მათი რჩევის თანახმად, კორტი დატოვა. მიუხედავად ამისა, ესპანელი ავსტრალიის ღია პირველობაზე გამოსვლის იმედს არ კარგავს.

"ზუთშაბათამდე დარჩენილ დროს მკურნალობას მოვახმარ. იმედი მაქვს, მომავალი კვირის დასაწყისისთვის მწყობრში ვიქნები. ავსტრალიის ღია პირველობა ჩემთვის ერთ-ერთი ყველაზე პრიორიტეტული ტურნირია ამ სეზონში", - ამბობს ნადალი.

კალათბურთი

კიდევ ერთი ტრავმა

ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში გრძელდება წამყვან მოთამაშეთა ტრავმების ეპიდემია. ამჯერად, მუხლი დაიზიანა "მილუოკი ბაქსის" ლიდერმა **მაიკლ რედმა**. ექიმების ვარაუდით, ის 4-6 კვირა ვერ შეძლებს მოედანზე გასვლას.

წლევანდელ რეგულარულ ჩემპიონატში რედი მეხუთე ადგილზე იმყოფება ყველაზე შედეგიან კალათბურთელებს შორის - მის ანგარიშზე საშუალოდ მატჩში 27.7 ქულა მოდის.

მძლეოსნობა

კლუფტი საუკეთესოდ აღიარეს

შვიდჯიდში ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიადის ჩემპიონი **კაროლინა კლუფტი** ევროპის 2006 წლის საუკეთესო მძლეოსნად აღიარეს.

ევროპის მძლეოსნობის ასოციაციის მიერ ჩატარებულ გამოკითხვაში, 23 წლის შვედმა უკან მოიტოვა მეორე ადგილზე გასული ბელგიელი **კიმ გევარი**, რომელმაც წელს ევროპის ჩემპიონატზე 100 და 200 მეტრ დისტანციებზე მოიპოვა ოქროს მედლები. მესამე ადგილი რუსმა ჭოკით მხტომელმა **ელენა ისინბაევამ** დაიკავა.

შეგახსენებთ, რომ ანალოგიურ ტიტულს კაროლინა კლუფტი 2003 წელსაც ფლობდა.

პოკერი

ᲔᲨᲛᲐᲙᲔᲑᲛᲐ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲒᲐᲧᲘᲓᲔᲡ

კომპანია Prudential Financial-თან შეთანხმების თანახმად, "ნიუ ჯერსი დევილზის" ახალ საშინაო არენას სპონსორის სახელი - Prudential Center ერქმევა.

ამის სანაცვლოდ, კლუბის ხელმძღვანელობა 105.3 მილიონ დოლარს მიიღებს. ამ თანხას კომპანია "ნიუ ჯერსის" 20 წლის განმავლობაში გადაუხდის.

ახალი სტადიონის აშენება 375 მილიონი დოლარი დაჯდება და ის 2007-08 წლების სეზონის სტარტზე გაიხსნება.

ᲙᲝᲚᲝᲠᲐᲓᲝᲛ ᲑᲝᲛᲑᲐᲠᲓᲘᲠᲘ ᲛᲪᲕᲔᲚᲘ ᲓᲐᲙᲐᲠ�გᲐ

"კოლორადო ეველანში" თავისი საუკეთესო მცველის გარეშე დარჩა. "მინესოტასთან" კვირას გამართული მატჩში, მარცხენა ფეხი მოიტეხა **ჯონ-მაიკლ ლაილზმა**, რის გამოც ის დაახლოებით ერთი თვე ვერ შეძლებს ყინულზე გასვლას.

ლაილზი ნლევანდელი რეგულარული ჩემპიონატის შედეგიან მცველებს შორის შედის. 41 მატჩში მის ანგარიშზე 29 ქულაა (10 გოლი + 19 შედეგიანი გადაცემა).

ᲙᲐᲠᲝᲚᲘᲜᲐ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲒᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲐᲖᲔ ᲖᲠᲣᲜᲐᲕᲡ

გუშინ, ჰოკეისტების გაცვლა განახორციელეს "ფინიქს კოიოტზმა" და "კაროლინა ჰარიკეინზმა". ფინიქსელებმა მცველი **დენის ზაიდენბერგი** დათმეს, მის ნაცვლად კი, ცენტრალური თავდამსხმელი **კევინ ადამსი** მიიღეს.

სტენლის თასის მოქმედი მფლობელი "კაროლინა", 25 წლის გერმანელი მცველის მეშვეობით დაცვის გაძლიერებას აპირებს. საქმე ისაა, რომ ამ კლუბს სამი მცველი - **ტრანტიშეკ კაბერლე, ტომ გლისონი** და **ბრეტ ჰედიკანი** ჰყავს დამტვრეული.

ზაიდენბერგს ლიგაში 158 მატჩი აქვს ჩატარებული და მის ანგარიშზე 33 ქულაა (8 გოლი + 25 პასი). რაც შეეხება "ფინიქსში" გადასულ ადამსს, მან "კაროლინას" ლირსება 300 მატჩში დაიცვა და 72 ქულა (38 გოლი + 34 პასი) დააგროვა.

მაგიდის ჩოგბურთი

მოძალადე მწვრთნელი

ᲙᲘᲠᲐᲡ, ისრაელის მაგიდის ჩოგბურთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი პოლიციამ დაიკავა. დაკავება 26 წლის სპორტსმენის ჩვენების საფუძველზე მოხდა. ამ მამაკაცმა პოლიციას განუცხადა, რომ 9 წლის ასაკიდან მოყოლებული, ნაკრების მწვრთნელი მას 10 წლის განმავლობაში აუპატიურებდა.

დაზარალებულის თქმით, მწვრთნელი, რომელიც მას ახლობელ ადამიანად მიაჩნდა, ყოველი ტურნირის შემდეგ აუპატიურებდა. ბიჭი თავიდან ვერ ხვდებოდა, თუ რა უბედურება დაატყდა თავს. ხოლო, როცა თავისი ეჭვები მწვრთნელს გაანდო, ამ უკანასკნელმა განუმარტა - ნუ გეშინია, ამაში ცუდი არაფერი არ არისო.

TV ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

10 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ. ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ

SPORT 1 (ᲣᲙᲠᲐᲘ�ნᲐ)

08:30 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ხეტაფე-ბარსელონა.
10:15 სპორტინფორმი.
10:25 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:20 სპორტინფორმი.
11:25 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. ბეტისი-ატლეტიკო.
13:05 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. ვერდერი-ბაიერნი.
14:08 ჩოგბურთი. ATP. ფინალი. ადელაიდა. ავსტრალია.
16:40 სპორტული ტანვარჯიში. ოლიმპიკ გალა. ბელგია.
17:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. ლაციო-უდინეზე.
19:10 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სარაგოსა-სევილია.
20:55 სპორტდღისიე.
21:20 სპორტინფორმი.
21:30 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. ტამპა ბეი-პიტსბურგი.
23:20 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
23:50 სპორტინფორმი.
00:00 ფეხბურთი. ესპანეთის თასი (LIVE).
01:57 სპორტინფორმი.
02:07 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ტურნირი. შახტარი-ოლიმპიაკოსი.
03:59 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
04:30 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ ჯერსი-სენტ ლუისი (LIVE).
07:05 ავტოსპორტი. DTM-ის სერია. III ეტაპი.

EUROSPORT

10:30 რალი-რეიდი. დაკარი 2007. IV ეტაპი.
11:15 მულტისპორტი.
11:30 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/4 ფინალი. სიდნეი. ავსტრალია (LIVE).
13:15 ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი - "ეფეს პილსენის თასი". გალათასარაი-ფეიენოორდი. ანთალია. თურქეთი.
14:15 ბიატლონი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. რბოლა გამოდევნებით. ობერჰოფი. გერმანია.
14:45 ბიატლონი. მსოფლიო თასი. ქალები. რბოლა გამოდევნებით. ობერჰოფი. გერმანია.
15:15 ბიატლონი. მსოფლიო თასი. ქალები. ესტაფეტა. რუპოლდინგი. გერმანია (LIVE).
17:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/4 ფინალი. სიდნეი. ავსტრალია.
18:45 ბიატლონი. მსოფლიო თასი. ქალები. ესტაფეტა. რუპოლდინგი. გერმანია.
20:00 აფროსნობა.
20:05 მულტისპორტი.
20:10 ცხენოსნობა.
20:15 გოლფი. US PGA-ის ტური. ბერლინეისის ჩემპიონატი. კაპალუა. აშშ.
21:15 ეროფი.
21:20 ატრაქციონი.
21:25 მულტისპორტი.
21:30 ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი - "ეფეს პილსენის თასი". მე-3 ადგილისთვის. ანთალია. თურქეთი (LIVE).
23:30 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
00:00 რალი-რეიდი. დაკარი 2007. V ეტაპი (LIVE).
00:45 დართსი. მსოფლიო ჩემპიონატი. ფრიმლი გრინი. ბრიტანეთი.
02:45 რალი-რეიდი. დაკარი 2007. V ეტაპი.

EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
12:00 კალათბურთი. ULEB-ის თასი. ჯგუფური ტურნირი. აკადემიკი (ბულგარეთი)-სიენა (იტალია).
13:00 კალათბურთი. ULEB-ის თასი. ჯგუფური ტურნირი. რეალი (ესპანეთი)-უნიქსი (რუსეთი).
14:00 ახალი ამბები.
16:00 კალათბურთი. ULEB-ის თასი. ჯგუფური ტურნირი. ალბა (გერმანია)-ხიმკი (რუსეთი).
17:00 კალათბურთი. ULEB-ის თასი. ჯგუფური ტურნირი. რეალი (ესპანეთი)-უნიქსი (რუსეთი).
18:00 ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი - "ეფეს პილსენის თასი". ბეშიქთაში-ვერდერი. ანთალია. თურქეთი.
19:00 ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი - "ეფეს პილსენის თასი". გალათასარაი-ფეიენოორდი. ანთალია. თურქეთი.
20:00 ახალი ამბები.
20:30 ექსტრემალური სპორტი.
21:30 ახალი ამბები.
22:00 მულტისპორტი.
22:30 რესტლინგი.
00:00 ტიმბერსპორტი. ევროპის გუნდური ჩემპიონატი. ვილი. შვეიცარია.
00:30 სნოუბორდი. მსოფლიო თასი. ვანაკა. ახალი ზელანდია.
01:00 ახალი ამბები.
01:15 ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი - "ეფეს პილსენის თასი". მე-3 ადგილისთვის. ანთალია. თურქეთი.
02:15 ახალი ამბები.
04:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/2 ფინალი. სიდნეი. ავსტრალია (LIVE).

ᲪᲮᲔᲚᲘ ᲮᲔᲠᲮᲘ

ფეხბურთი

ინგლისი

II ლიგა

ბრიმსპი-ჩესტერი	0:2

თასი

ბარნეტი-კოლჩესტერი	2:1
რიდინგი-ბარნლი	3:2

ლიგის თასი

1/2 ფინალი

ლივერპული-არსენალი	3:6

LDV Vans Trophy

ლინკასტერი-დარლინგტონი	2:0
ბრისტოლ-ბრაიტონი	გადაიდო
შრიუსბერი-რუოლსი	გადაიდო

იტალიის თასი

1/4 ფინალი

ვერონა-ინტერი	0:2

ესპანეთის თასი

1/8 ფინალი

აბლეტიკო-ოსასუნა	1:1

კალათბურთი

ULEB-ის თასი

აკადემიკი-ვონგეკასკი	76:81
აეკ-ნანსი	76:85
პემოუარეი-ბამბერგი	76:64
ანვილი-ბეშიქთაში	74:62
პარკ-ეიფელ გაუერსი	90:88
ალბა-ხიმკი	77:77 დ.დ 90:83
ცრვენა ზვეზდა-ფინსი	96:69
ოსტენდე-პაკოელი (ი)	82:66
სანიდერო-ვენბასილსი	92:93
სტრასბური-ელეზნსი	71:78
ბრან კანარია-ლეგუეზა რიგასი	72:67
რეალი-უნიქსი	77:61

ევროპის თასი

ლინამო (ბ-ო)-რიგა	91:68
ლოკომოტივი-პანიონიოსი	60:62
ბურა ბელეკომი-შარლეროა	81:71
ლიეჟი-ბიაელი	86:82
მარსი-აზოვმაში	72:83
ვირტუსი-ლიეონი	97:77
ესტუდიანტესი-აელ	70:60

პოკერი

გერმანია

პაბერეი-შტრაუბინგი	4:1
პანთერი-ნიურნბერგი	5:7
ინგოლშტადტი-აისბარენი	5:1

ფინეთი

ილვესი-ლუკო	3:4
ოლეარეი-კალპა	8:3
სეი პა-პელიკანი	1:3

ჩეხეთი

ვიტკოვიცე-ჭლინი	4:1
ვეკეინი-პარდუბიცე	0:7
ზნოიმო-სპარტა	1:3
ლიბეინოვი-კალდო	1:4
ბუდეიოვიცე-ბრნინეცი	4:2
ლიბერეცი-კარლოვი ვარი	2:1
სლავია-პლზენი	3:3 დ.დ 3:4

შვეიცარია

აია-ბიეგრა	2:3
ბალეიო-ლენზოკინგი	8:3
ფურიესალი-იურგორდენი	2:5

ჩოგბურთი

ATP. ოკლენდი

გაუდიო-ფერერი	7:5, 3:6, 2:6
ნიემინენი-ო. როხუსი	6:7, 1:6
ბრაჩიალი-სიმონი	6:3, 6:2
კოლშრაიბერი-ორნა	6:4, 7:5
სერა-ლაპენტი	6:3, 1:6, 6:4
მონფილსი-მარტინი	4:6, 4:6
რობრედო-რამირეს იდალგო	6:2, 6:1

ATP. სიდნეი

ბლეიკი-კიმი	6:3, 6:4
გასკე-ბენეტო	6:1, 6:4
კლამენი-მატიო	6:7, 4:6
მოია-ბურჟუა	7:6, 4:6, 7:6
ნადალი-გუჩიონე	5:7, 0:6
შრიჩაფანი-მინარი	2:6, 0:6
მელცერი-სანტორო	6:2, 2:6, 6:4
კუბეკი-ჰილი	3:6, 5:7

WTA. პობარგი

ჟენგი-ბრემონდი	6:1, 6:3
მედინა გარიგესი-ბამერი	4:6, 3:6
ნაკამურა-ბარდინა	4:6, 4:6
პუჩკოვა-ობცილერი	0:6, 6:2, 7:6
სანტანჯელო-კასტანიო	3:6, 2:6
ს. უილიამსი-საფაროვა	6:3, 3:6, 7:6
მოლიკი-ბონდარენკო	6:3, 7:5

WTA. სიდნეი

ვაიდიშოვა-ფედაკი	6:3, 6:1
დემენტიევა-ნა ლი	6:3, 1:6, 5:7
კლაისტერსი-პრატი	6:1, 6:2
კუზნეცოვა-სრებოტნიკი	2:6, 0:6
მორესმო-გოლოვინი	6:7, 7:5, 6:1
შნიდერი-პეერი	6:7, 2:6
იანკოვიჩი-სტოსური	6:2, 7:6
პეტროვა-ივანოვიჩი	2:6, 2:6

ინტერვიუ ჯეიმს ბლეიკთან

მასტერსი სლემზე მნიშვნელოვანია

ლეგენდარული არტურ ეშის შემდეგ, მამაკაცთა ჩოგბურთში ძლიერი შავკანიანი მოთამაშე არ გამოჩენილა. მალივაი ვაშინგტონის გაელვება გაელვებადვე დარჩა, მას მერე კი არცერთ ზანგს არ უჩვენებია ის შედეგი, რომლითაც ეში ჩოგბურთის ისტორიაში სამუდამოდ შევიდა. 1968 წელს მან ამერიკის ღია პირველობა მოიგო, ორი წლის შემდეგ კი, ავსტრალიის ღიას მთავარი პრიზიც აღმართა თავს ზემოთ. ბევრის აზრით, არტურს სულ მალე ჯეიმს ბლეიკი მიუახლოვდება, რომელსაც, მართალია ჯერ არცერთი სასლემო არ მოუგია, მაგრამ ისეთ პროგრესს განიცდის, რომ მისგან რომელიმე დიდი ტურნირის ფინალში გასვლა სენსაცია ნამდვილად არ უნდა იყოს. დიახ, ჯერ მხოლოდ ფინალია მისი მაქსიმუმი, რადგან ჩოგბურთს ერთი გველეშაპი (როჯერ ფედერერი გვყავს მხედველობაში) მანამ არ შეეშვება, სანამ ყველგან და ყოველთვის სხვები "სხვებად" დარჩებიან, სათიხნარო ტურნირების მთავარი ფავორიტი კი რაფაელ ნადალი იქნება. ავსტრალიის ღია პირველობაზე ჯეიმსი მეორე ეშელონის ფავორიტებში კი არის (ჯერ ფედერერი, მერე კი მთელი დანარჩენი საჩოგბურთო სამყარო), მაგრამ თუ ჯეიმსი მარათონული დისტანციისას ოპტიმალური კონდიციების შენარჩუნებას მოახერხებს და არ გადაიღლება, მაშინ მისგან ნებისმიერი სიურპრიზია მოსალოდნელი.

- ჯეიმს, შარშანდელმა სეზონმა კვლავ ფედერერის დომინაციის ნიშნით ჩაიარა. როგორ გგონიათ, რამდენად მოტივირებული იქნება როჯერი ამ სეზონში და რამდენად რეალურია, რომ მას ღირსეული კონკურენტი ჰყავდეს?

- ფედერერს ძალიან ბევრი კონკურენტი ჰყავს. ფქვენის ნებართვით, მათ რიცხვში საკუთარ თავსაც შევიყვან. როჯერის მოტივაციის საკითხი საერთოდ არ უნდა განიხილებოდეს, რადგან ეს ადამიანი ჩოგბურთით ცხოვრობს და აქედან გამომდინარე, ხოლო ჩვენთვის სამწუხაროდ, იგი კორტზე დღესაც უდიდეს სიამოვნებას იღებს. ფედერერის მთავარი კოზირი მისი ფსიქოლოგიური მზადყოფნაა. რთულია ისეთ მოთამაშესთან წარმატებაზე ფიქრი, რომელიც კორტზე გასვლისთანავე გაგრძნობინებს, დღეს უშანსოდ ხარ და ტყუილად ნუ დაიღლებიო. ცხადია, ფედერერის წინააღმდეგ ნებისმიერი მეტოქე ბოლომდე იხარჯება, რადგან მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშის დამარცხება ყველასთვის დიდი ბონუსია. თუმცა ბოლო წლებში როჯერთან წარმატების მიღწევას მხოლოდ ნადალი ახერხებს. რაფაელს მისი კომპლექსი აღარ აქვს. კონკურენტები კი როჯერს ნებისმიერ ტურნირზე ეყოლება. თავისთავად, დიდი სლემის ტურნირებზე ფედერერს უფრო დიდი უპირატესობა აქვს, რადგან მისთვის სამი სეტის მოგება წარმოუდგენლად რთული რამ არის. ავსტრალიის ღია პირველობაზე შვეიცარიელი კვლავ მთავარი ფავორიტი იქნება, თუმცა ოთხი-ხუთი მოთამაშე ჩემპიონობისთვის მაინც იბრძოლებს.

- მხოლოდ 27 წლის ასაკში მოახერხეთ თქვენი პოტენციალის ბოლომდე გამოყენება. რა გიშლიდათ ხელს პირველ ათეულში უფრო ადრე შესვლაში?

- ალბათ, ისევ და ისევ არასაკმარისი ფსიქოლოგიური მომზადება. თანაც, თუ გახსოვთ, როდესაც პროფესიონალებში თამაში დავიწყე, რატომღაც მაშინვე ამერიკის მთავარ იმედად დამასახელეს. ეს უსაფუძვლო განცხადება იყო. მზად არ ვიყავი პერმანენტული ინტერვიუებისთვის. ყურადღება სასიამოვნოა, მაგრამ ყველაფერს საფუძველი უნდა ჰქონდეს. თავიდანვე გამომიჩნდა სპონსორი, რომელიც დღემდე ჩემს გვერდითაა, რაც ერთის მხრივ, დამაიმედებელი იყო, მაგრამ სპონსორი შენგან მაღალ შედეგს მოითხოვს, მე კი არასტაბილურად ვთამაშობდი. იმედი მაქვს, "ნაიკის" წარმომადგენლები ჩემთან თანამშრომლობას მეტი ენთუზიაზმით ეკიდებიან. ვეცდები, შარშან ნაჩვენები შედეგი გავაუმჯობესო და სეზონი პირველ სამეულში დავასრულო. ზედმეტი ფული არავის აწყენს, ხოლო იმ შემთხვევაში თუ დიდი სლემის ტურნირებზე თავს გამოვიჩენ, დარწმუნებული ვარ, სპონსორი ჩემდამი მეტი ნდობით განეწყობა.

- შარშანდელ სეზონის ბოლო მასტერსებზე ძალიან ცუდად ითამაშეთ, არადა, წლის დასაწყისში საკმაოდ დამაჯერებლად გამოდიოდით, ინდიან უელსში ფინალშიც კი გააღწიეთ. თუმცა, მერე მეოთხედფინალშიც არ გასულხართ.

- ინდიან უელსის მთელი ტურნირი მაღალ დონეზე ჩავატარე, მაგრამ ნახევარფინალში რაფაელ ნადალთან იმხელა ენერგია დავხარჯე, რომ ფედედერის წინააღმდეგ ფინალში კორტზე ძლივს დავდიოდი. პირველი სეტის მოგება შემეძლო, მაგრამ მატჩს მაინც წავაგებდი, რადგან როჯერი არაჩვეულებრივად თამაშობდა, მე კი გამოვიფიტე. სხვათა შორის, მომდევნო მასტერსზეც საკმაოდ კარგად ჩავატარე, მაგრამ კვლავ ფედერერთან წავაგე. წინა მატჩისგან განსხვავებით, ამჯერად ორივე სეტში შევძელი მისი მოწოდების აღება, მაგრამ ბრეიკს ეგრეევე საპასუხო ბრეიკი მოსდევდა და საბოლოოდ, დავმარცხდი. მერე რა მოხდა? არაფერი, უბრალოდ, რომსა და ჰამბურგში წავაგე საფარზე, რომელიც არასოდეს ყოფილა ჩემთვის განსაკუთრებულად ახლო. თიხნარზე თამაში დღემდე ჩემი სუსტი წერტილია. ნელ ჩოგბურთში ხანგრძლივი გათამაშებების დასრულებას ერთი სწრაფი დარტყმით ვცდილობ და სწორედ ამის გამოა, რომ აღნიშნულ საფარზე თითქმის ყველა შეხვედრას უამრავი უნებლიე შეცდომით ვასრულებ. ცხადია, მაღალი დონის მოთამაშემ, პირველი ათეულის წევრმა ნებისმიერ საფარზე თამაში უნდა იცოდეს. ვეცდები, ამ სეზონში თიხნარზე შარშანდელზე უკეთ გამოვიდე.

- მადრიდის მასტერსზე კრისტოფ ვლიგენთან ტრავმა მიიღეთ, მაგრამ მატჩი მაინც არ შეწყვიტეთ. ხომ არ ჯობდა, შეხვედრა არ გაგეგრძელებინათ და პარიზის ტურნირისთვის უკეთ მომზადებულიყავით? დაისვენებდით მაინც.

- იმ მომენტში გადავწყვიტე, რომ ვლიგენთან შეხვედრის შეწყვეტის შემთხვევაში ბევრს ვერაფერს მოვიგებდი. თანაც, მადრიდში "ნაიკის" ერთ-ერთ სარეკლამო ვიდეორგოლში მიღებდნენ და ესპანეთში ნებისმიერ შემთხვევაში უნდა დავრჩენილიყავი. მასტერსი განსაკუთრებული ტურნირია, რომელზეც დიდი სლემის შემადგენლობაზე გაცილებით ძლიერი კონტიგენტი იყრის თავს. აქ ნაკლები მონაწილეა და აქედან გამომდინარე, ძლიერ მეტოქესთან შეხვედრა გაცილებით ადრეულ სტადიაზე გიწევს.



ჯეიმს ბლეიკი

- ავსტრალიის ღია პირველობაზე ორგანიზატორები ახალი ბურთების გამოყენებას აპირებენ, თუმცა მოთამაშეები ამის წინააღმდეგნი არიან. თქვენ რას ფიქრობთ?

- ჩემთვის სულ ერთია, რომელი ბურთით მომიწევს თამაში. კარგი იქნება, თუ ჩოგბურთის ბურთით გვათამაშებენ (იცინის).

- ტრადიციული კითხვა ფავორიტების შესახებ. ფედერერის საკითხი გავარკვიეთ. სხვები?

- წარმოდგენა არ მაქვს, ტურნირს ვინ როგორ ფორმაში შეხვდება. მართალია, ეს დიდი სლემის პირველი ტურნირია, მაგრამ იმასაც ნუ დაივიწყებთ, რომ ძალიან ბევრი მოთამაშე ფორმაში სეზონის შუაში შედის, მანამდე კი, იგივე ავსტრალიის ღია პირველობას მხოლოდ მომდევნო ტურნირებისთვის მოსამზადებელ ეტაპად განიხილავს. მათ რიცხვს მე არ მივეკუთვნები, რადგან ავსტრალიაში არის საფარი, რომელზეც თამაში მიყვარს და ვიცი. ასე რომ, ფავორიტებზე საუბარს ამით დავასრულებ.

ზურაბ თალაკვაძე

სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაგაიშვილი

ძართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
გესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა გიგილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუგინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიზოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით ბეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლევან გიგილაშვილი
ლელა ხომასურიძე

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ძეთევან დიდგერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ.: 46 34 48)
ბაძარ გაჩეჩილაძე (ტ.: 899 91 87 17)
შალვა ებანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ გასილია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1984-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
ახმეტელის 10ª, 0159 თბილისი (დიდუბე, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
მ. კოსტავას 14, 0108 თბილისი
ტელეფონი: 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 99 56 14, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge; gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა

კრიზისი

ამერიკა ახალ ვარსკვლავს ელის

გასული საჩოგბურთო სეზონი ნამდვილი კოშმარი იყო ამერიკელი ქალი ჩოგბურთელებისთვის, რომლებმაც, **ლინდსი დავენპორტისა** და **სერენა** და **ვენუს უილიამსების** პრობლემების გადამკიდემ, თავი შეირცხვინეს - დიდი სლემის ოთხივე ტურნირის ნახევარფინალებიც კი მათ გარეშე ჩატარდა, სეზონის ბოლოს კი რეიტინგის მოწინავე ათეულში არცერთი ამერიკელი არ შესულა.

რაც ქალ ჩოგბურთელთა ასოციაცია (ვტა - ვუმენ ტენის ესოსიეიშნ) ჩამოყალიბდა, უამერიკელებოდ რეიტინგის მოწინავე ათეული პირველად დარჩა. სასლემო ტურნირებზე ამერიკელთა "საუკეთესო შედეგი" მეოთხედფინალებში თამაში იყო. ამ ეტაპს ორჯერ (ავსტრალიასა და აშშ-ში) მიაღწია დავენპორტმა, ერთხელ (საფრანგეთში) კი ვენუსმა.

დავენპორტი ახლა პირმშოს ელის და ამბობს, რომ დიდ ჩოგბურთში დაბრუნებას აღარ აპირებს. პროფესიულ ჩოგბურთში გატარებული 13 წლის განმავლობაში მას დიდი სლემის სამი ტურნირი აქვს მოგებული. რაც შეეხება უილიამსებს, ისინი გაცილებით წარმატებული ჩოგბურთელები არიან, თუმცა ხშირი ტრავმების გამო, ისინი იშვიათად ახერხებენ თამაშს და სანამ ფორმაში შესვლას მოასწრებენ, ახალ ტრავმას ღებულობენ.

კინგს ვარსკვლავურ მომავალს უწინასწარმეტყველებენ

უთამაშებლობა კი მათ მოტივაციას უნელებს. თანაც, ორივეს მეორე საქმეც გამოუჩნდა. ისინი სამოდელო საქმიანობით არიან დაკავებულნი და დიდი მონდომებით მუშაობენ ინტერიერისა და ტანსაცმლის დიზაინზე. პარალელურად, უამრავ სარეკლამო აქციაში მონაწილეობენ და სულ უფრო ცოტა დრო რჩებათ ჩოგბურთისთვის.

კრიზისი კიდევ უფრო სავალალოდ მოქმედებს ამერიკელთა ნაკრებზე, რომელსაც ფედერაციის თასი 2000 წლის შემდეგ არ მოუგიათ. თუმცა, ამის მიუხედავად, ყოფილი ჩოგბურთელი, ახლა კი ნაკრების კაპიტანი **ზინა გარისონი** ოპტიმიზმის ნაკლებობას არ უჩივის.

პირველი, რასაც კრიზისზე ლაპარაკის დროს ამბობს, ისაა, რომ რეიტინგის მონინავე ასეულში 11 ამერიკელი ჩოგბურთელია. ის კარგ მომავალს უწინასწარმეტყველებს **ვანია კინგს, შენაი პერის, ეშლი ჰერკლროუდსა** და **ჯამეა ჯექსონს**. ამ კვარტეტიდან კი ყველაზე პერსპექტიულებად კინგსა და ჯექსონს მიიჩნევს.

"ამ ორ ჩოგბურთელს გასულ სეზონში აშკარა პროგრესი ჰქონდა. ვფიქრობ, მათ მალე მონინავეთა შორის ვიხილავთ. ისინი ნიჭიერებიც არიან და შრომისმოყვარეებიც. ეს ის ორი კომპონენტია, რომელთა შეხამებითაც ვარსკვლავებს ვლებულობთ", - ამბობს გარისონი.

ნაკრების კაპიტანი განსაკუთრებით კინგს აქებს, რომელმაც 2005 წელს სეზონი რეიტინგის 721-ე საფეხურზე დაიწყო და 57-ზე დაასრულა. ფედერაციის თასზე მისი დებიუტი შარშან შედგა და მან იქ ოდენ ერთი სეტი წააგო. გასულ სეზონშივე მან პირველად მოიგო ვტას ტურნირი (ბანგკოკში).

"ვანიას ყოველთვის ვეუბნები, რომ ის ლინდსის მაგონებს. ის თავდაჯერებული ჩოგბურთელია. ეს ის თვისებაა, რომლის წყალობითაც, კორტზე დომინაცია შეუძლია. ის შესანიშნავად თამაშობს ხაზიდან, მონოდებას კი თანდათან აუმჯობესებს. დიდი ხანია, ასეთი შემართების მქონე და გულადი ჩოგბურთელი არ მინახავს. მოკლედ, ჩემპიონები ასეთები ხდებიან და ვერ ვხედავ მიზეზს, რამაც შეიძლება მას დიდ ჩოგბურთელად ჩამოყალიბებაში შეუშალოს ხელი," - ამბობს გარისონი.

...

სხვათა შორის, კრიზისი აქვთ ავსტრალიელ ჩოგბურთელებსაც. ამჟამად ოზებში ყველაზე გამორჩეული **ლეიტონ ჰიუიტია,** მაგრამ ამას კრიზისი გაუჭიანურდა, რის გამოც, ახლახანს მწვრთნელმა, მისმა მეგობარმა **როჯერ რაშიდმა** მიატოვა. შინაური სლემ-ტურნირის წინ ეს ლეიტონისთვის სერიოზული პრობლემაა, თუმცა რაშიდის თქმით, ვინც ამავდროულად, ჩოგბურთელის მეგობარიცაა, მასთან მუშაობით ლეიტონი შორს ვერ წავა.

ჰიუიტმაც სასწრაფოდ დაიწყო ახალი მწვრთნელის ძიება და როგორც ახლა ირკვევა, პირველად მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგნისთვის, **პატრიკ რაფტერისთვის** მიუმართავს, მაგრამ ამან მისი შეთავაზება არ მიიღო. საბოლოოდ, ლეიტონმა დროებით შეთანხმებას მიაღწია დევისის თასზე თავის ყოფილ თანაგუნდელ **სკოტ დრეიპერთან,** რომელიც დიდ ტურნირებზე გაუწევს დახმარებას.

რაც შეეხება რაფტერს, მან თავისი უარი შემდეგნაირად ახსნა: *"ძალიან მინდოდა ლეიტონს დავხმარებოდი, მაგრამ ამ ეტაპზე ეს შეუძლებელია. ჩემი ოჯახი ახლა საცხოვრებელს იცვლის და არ იქნებოდა კარგი, თუ გადასვლის დროს მე მელბურნში წავიდოდი".*

დრეიპერი არაფრით გამორჩეული ჩოგბურთელი იყო, თუმცა შერეულ წყვილებში ავსტრალიის ღია პირველობა ერთხელ მაინც მოუგია (თანამემამულე **სამანტა სტოშურთან** ერთად). სკოტმა ორი წლის წინათ საჩოგბურთო ჩოგანს პროფესიონალი გოლფმენობა ამჯობინა. ლეიტონის შეთავაზებამ ის იმდენად დააინტერესა, რომ პრესტიჟულ ავსტრალიურ გოლფ-ტურნირზე გამოსვლაზეც კი უარი თქვა. თუმცა, პრესასთან საუბრისას განაცხადა, რომ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ის გოლფს ტოვებს. უბრალოდ, ძალიან მინდა ლეიტონისთვის დახმარებაო, - ამბობს დრეიპერი.

მერაბ ლორთქიფანიძე